ვალერი ლორია
ბაადურ გელაშვილი
მანანა ბენდელიანი

ადამიანის უფლებები და რელიგია

თბილისი 2006

Valeri Loria
Baadur Gelashvili
Manana Bendeliani

Human Rights and Religion

Tbilisi 2006

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება ავტორთა დიდ გამოცდილებას რელიგიის თავისუფლების პრობლემაზე მუშაობის სფეროში.

წიგნში მასალები დალაგებულია იმ რეკომენდაციების საფუძველზე, რომლებიც ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) სემინარის – **Seminar on Freedom of Religion or Belief in the OSCE Region: Challenges to Law and Practice** (June, 2001) მიერ იქნა გაკეთებული რელიგიის თავისუფლების დაცვის სფეროში ეუთოს წევრი ქვეყნებისათვის. მათ რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც.

ნაშრომში განმარტებულია რელიგიის თავისუფლების არსი, რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო (გაეროს, ევროსაბჭოსა და ეუთოს) სტანდარტები და თანამედროვე ქართული კანონმდებლობა ამ სფეროში. აღნიშნული მასალა პირველად იქნა შეკრებილი ერთ წიგნში, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილიც პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე.

შრომა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა და შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ცნობარი რელიგიის თავისუფლების სფეროში, რითაც უდავოდ დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს მოქალაქეების განათლებას ამ დარგში.

ნაშრომი განკუთვნილია სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის, უნივერსიტეტების ლექტორების, ასპირანტების, სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნაშრომის III თავი ეკუთვნის პროფ. ვ. ლორიას, I თავი და II თავის §1 და §3 – ბ. გელაშვილს, II თავის §2, შესავალი და ბოლოთქმა – მ. ბენდელიანს.

რედაქტორი თეიმურაზ ნერგაძე

რეცენზენტი პროფ. ვანო ჭიაურელი

წიგნი დაიბეჭდა ფონდის – EKD (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ფინანსური მხარდაჭერით

გამომცემლობა „თობალისი“

ISBN 99940-36-38-6

The book "Human Right and Religion" is based on previous experience of the authors they have gotten in the sphere of freedom of religion.
The contents of the book "Human Right and Religion" is following:
Introduction
Chapter 1. Freedom of religion as a human right.
Chapter 2. International standards regarding freedom of religion or belief.
United Nations standards regarding freedom of religion or belief.
Council of Europe standards regarding freedom of religion or belief.
OSCE standards regarding freedom of religion or belief.
Chapter 3. Contemporary Georgian legislation in the sphere of freedom of religion.
Constitution of Georgia about the freedom of religion.
Conclusion
We must especially mention that documents in the book are selected according to the recommendations given at the "Seminar on Freedom of Religion or Belief in the OSCE Region: Challenges to Law and Practice" (June, 2001). It is for the first time that a multitude of materials regarding the freedom of religion is collected in Georgian language and in one book that will make it available for a great number of our citizens. Many related documents have been translated in Georgian language for the first time, so our book is a first attempt in this field.
We have to outline that the language of our book is clear and understandable, which makes it easily penetrable for the Georgian public at large. It is scientific-popular book that can serve as an informational handbook of reference for all our citizens. So, it will play an important role in sphere of the freedom of religion education of Georgian citizens as it is just in time.
The book "Human Right and Religion" is intended for the representatives of different religious confessions, local self-government, police, and other law enforcement bodies, legislative bodies, lecturers, post-graduates, students of the universities and wide range of readers in Georgia.

Chapter III of the book is written by Prof. V. Loria, chapter I, § 1 and §3 of chapter II -by Dr. B. Gelashvili, §2 of chapter II, introduction and conclusion - by Dr. M. Bendeliani.

Editor Teimuraz Nergadze

Reviewer Vano Chiaureli

The book is published by financial assistance of the foundation-EKD (Federal Republic of Germany)

Publishing House "Tobalisi"

ISBN 99940-36-38-6

შესავალი

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში თავი იჩინა რელიგიური ნიშნით წარმოშობილმა დაპირისპირებამ და კონფლიქტებმა. როგორც მსოფლიოს ხალხთა ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რელიგიური საფუძვლის მქონე კონფლიქტები ხშირად გადაიზრდება ეთნიკურ კონფლიქტებში, ხოლო ბოლო პერიოდში კი რელიგია მსოფლიო ტერორიზმის მიმდევართა მიერ გამოყენებულ იქნა თავის დანაშაულებრივ ქმედებათა გასამართლებლად.

კერძოდ, რელიგიური ნიშნით მოტივირებული ფანატიზმის უსაშინლეს გამოვლინებად იქცა 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში ჩადენილი ტერორისტული აქტები. ამდენად, რელიგიურ ფანატიკოსთა მოქმედებანი მსოფლიო ცივილიზაციას უდიდეს საფრთხეს უქმნიან და ხელს უშლიან რელიგიური შემწყნარებლობის განვითარებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

რამდენადაც თანამედროვე მსოფლიოში რელიგიური ნიშნით მოტივირებული ტერორისტული აქტების ტალღა სულ უფრო და უფრო მძაფრდება, სწორედ ამიტომ, მსოფლიო საზოგადოებრიობამ უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა ხელი შეუწყოს რელიგიური შემწყნარებლობის განვითარებას. რელიგიური შემწყნარებლობის განვითარების და რელიგიის თავისუფლების დაცვის საქმეში უდიდესი როლის შესრულება შეუძლია საზოგადოების განათლებას აღნიშნულ სფეროში. ამ მიმართებით უაღრესად საყურადღებოა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის

ორგანიზაციის სპეციალურ კონფერენციაზე გაკეთებული შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

❁ რელიგიამ და მრწამსმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს თანამედროვე და დემოკრატიულ საზოგადოებებში, ცალკეული პიროვნებებისათვის და საზოგადოებისათვის მთლიანად. (....)

❁ ყველა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი პირობების შექმნას, რომელშიც მრავალფეროვანი, მულტიეთნიკური და მულტიკულტურული საზოგადოების ყველა წევრს შეუძლია გამოხატოს თავისი კულტურული თვითმყოფადობა და გამოავლინოს თავისი რელიგიური მრწამსები, რომლებიც ექვემდებარებიან მხოლოდ ისეთ ზუსტ შეზღუდვებს, რაც საერთაშორისო სამართლით არის გათვალისწინებული. (...)

❁ განათლებამ რელიგიის ან მრწამსის თავისუფლების დარგში, წვლილი უნდა შეიტანოს ხალხთა შორის მშვიდობის, სოციალური სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის და მეგობრობის დამყარების მიზნების მიღწევაში, რელიგიასა და მრწამსზე დაფუძნებული შეუწყნარებლობის იდეოლოგიის ან პრაქტიკის აღმოფხვრაში და აზრის, გამოხატვისა და კვლევის თავისუფლების მხარდაჭერაში, ისევე როგორც პლურალიზმის პატივისცემასა და მრავალსახეობის უფრო დიდ აღიარებაში რელიგიის თავისუფლების დარგში.[1]

რელიგიის თავისუფლების საკითხებში საზოგადოების და განსაკუთრებით ახალგაზრდობის განათლების მნიშვნელობაზე უაღრესად გამახვილდა ყურადღება სულ ახლახან, 2006 წლის ივლისში გამართულ რელიგიურ ლიდერთა მსოფლიო სამიტზეც.

მსოფლიოს მასშტაბით განხორციელებული რელიგიური ექსტრემიზმის გახშირებულ ფაქტებთან ერთად

---

1 **Conclusions and Recommendations of the OSCE/ODIHR Conference on the Role of Religion and Belief in a Democratic Society: Searching for ways to Combat Terrorism and Extremism. Baku, October 10-11, 2002.**

გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი დაპირისპირებისა და ძალადობის მრავალი ფაქტი აღინიშნა საქართველოშიც. საქართველო მრავალკონფესიური სახელმწიფოა. ამდენად, სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა შორის წარმოშობილმა კონფლიქტებმა, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეაფერხოს ჩვენს ქვეყანაში რელიგიურად ტოლერანტული და ნამდვილად დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს რელიგიური შემწყნარებლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ჩვენს ქვეყანაში მრავალი საუკუნის მანძილზე ერთმანეთის გვერდიგვერდ მშვიდობიანად ცხოვრობდნენ სხვადასხვა მსოფლიო რელიგიის წარმომადგენლები. სამწუხაროდ, ჩვენში კომუნისტების 70-წლიანი მმართველობის პერიოდში, ქვეყანაში ხელისუფლების მიერ საყოველთაო ათეიზმის მოთხოვნა იყო წამოყენებული და რელიგია უკანა პლანზე იქნა გადასროლილი. ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის გზას დაადგა, ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობას მეტად გაუძნელდა ჩვენში რელიგიური შემწყნარებლობის ისტორიულად არსებული ტრადიციების აღდგენა და მსოფლიოს ცივილური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პლურალური დემოკრატიისათვის შეგუება, რომელიც სხვა თავისუფლებებთან ერთად, აუცილებელი წესით, გულისხმობს რელიგიის თავისუფლებასაც.

წინამდებარე ნაშრომის ავტორებს არაერთი სემინარი გვაქვს ჩატარებული რელიგიის თავისუფლების საკითხებზე ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან — სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონე მორწმუნეებთან, პოლიციელებთან, ჟურნალისტებთან, პედაგოგებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან,

სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობასთან და სხვ.

საქართველოს მრავალ ქალაქსა და რაიონში, მათ შორის, შორეულ პერიფერიულ უბნებში ჩატარებულმა ღონისძიებებმა ნათლად დაგვანახა, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები რელიგიის თავისუფლების საკითხზე არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი დოკუმენტების შესახებ ინფორმაციის უკიდურეს დეფიციტს განიცდიან. ამდენად, მიზნად დავისახეთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისათვის წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში წარმოგვედგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო), ევროპის საბჭოსა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) სტანდარტები რელიგიის თავისუფლების საკითხზე და ასევე მიგვეწოდებინა ინფორმაცია ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზისა და მისი განვითარების პერსპექტივების თაობაზე აღნიშნულ პრობლემასთან კავშირში.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების სტანდარტები ნაშრომში წარმოდგენილია 2001 წლის ივნისში ეუთოს მიერ ჩატარებულ სემინარზე: SEMINAR ON FREEDOM OF RELIGION OR BELIEF IN THE OSCE REGION: CHALLENGES TO LAW AND PRACTICE. მოცემული რეკომენდაციების მიხედვით: Compilation of OSCE and Other International Standards Regarding Freedom of Religion or Belief.

ნაშრომი განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ ის პირველად აძლევს საშუალებას ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, დაწვრილებით გაეცნონ იმ დიდ მუშაობას, რომელსაც ეწევა ეუთო რელიგიის თავისუფლების საკანონმდებლო ბაზის განვითარებისა და მათი პრაქტიკაში დანერგვის უზრუნველსაყოფად ეუთოს მონაწილე ქვეყნებში. აღნიშნული კი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს საზოგადოება აბსოლუტურად არ იცნობს ეუთოს საქმიანობის ამ მხარეს, რომელიც, ამავდროულად, რელიგიის

თავისუფლების პრაქტიკული განხორციელებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მრავალი ასპექტის (კონსტიტუციურის, იურიდიულის და ადმინისტრაციულის, მაგ., რელიგიური თემების მიერ იურიდიული სტატუსის მიღებისა და შენარჩუნების უფლების და სხვ.) განსაზღვრას უკავშირდება და რომელიც საქართველოს კანონმდებლობით ჯერაც არ არის დარეგულირებული. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ ნაშრომში რელიგიის თავისუფლების საკითხზე წარმოდგენილი ინფორმაცია ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში რელიგიის თავისუფლების, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების დაცვას და შეასუსტებს რელიგიის ნიადაგზე ჩვენს საზოგადოებაში ამჟამად არსებულ დაძაბულობას.

ნაშრომი ინფორმაციულ-ანალიტიკური და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა, რათა გასაგები და მისაწვდომი იყოს ჩვენი საზოგადოების ფართო ფენებისათვის; მათ პირველად მიეცემათ საშუალება, მშობლიურ ენაზე ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ რელიგიის თავისუფლების თანამედროვე სტანდარტების შესახებ.

ნაშრომი ხელს შეუწყობს აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების ცოდნის დონის ამაღლებას საზოგადოდ ადამიანის უფლებათა დარგში, რაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგან გაერომ 1995-2005 წლები გამოაცხადა მსოფლიოში ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების ათწლეულად.

ავტორებს იმედი აქვთ, რომ ნაშრომი ხელს შეუწყობს ჩვენში რელიგიურ-ტოლერანტული საზოგადოების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების აღორძინებასა და ჩამოყალიბებას, რომელშიც რელიგიური შემწყნარებლობა თითოეული მოქალაქის რეალური კუთვნილება გახდება და რომელიც კანონის უზანაესობასა და ჭეშმარიტი დემოკრატიის პრინციპებს დაემყარება.

თავი I. რელიგიის თავისუფლება როგორც ადამიანის უფლება

კაცობრიობის ისტორიაში რელიგიის ან მრწამსის საფუძველზე ადამიანთა შევიწროებისა და დევნის უამრავი მაგალითია ცნობილი. შუა საუკუნეების დროსაც კი რელიგიური დევნა სამართლიანად და აუცილებლად იყო მიჩნეული. მაშინ არავინ ფიქრობდა, რომ „ეკლესიის თავისუფლება" თითოეულ ქრისტიანთან მიმართებაში შეიძლება გულისხმობდეს სინდისის თავისუფლებას და რომ თავისუფლების უფლება მეტად არასრული იქნებოდა რელიგიის თავისუფლების უფლების გათვალისწინების გარეშე.

XVI საუკუნის რეფორმაციამ ევროპაში შექმნა ახალი ისტორიული კონტექსტი, რომელშიც რელიგიის თავისუფლების პრობლემამ ახალი გააზრება მიიღო. ეს განპირობებული იყო იმით, რომ თავი იჩინა ქრისტიანული მოძღვრების ახალმა გაგებამ, რომლის ფორმირებაც მარტინ ლუთერის პროტესტების შემდგომმა ისტორიულმა პერიოდმა განაპირობა.

ამ დროს მომხდარი ცვილებების მიზეზს წარმოადგენდა ის „პროტესტანტული სული", რომელიც აშკარად გამოიხატა იმ დროის დიდი რეფორმატორების მოძღვრებაში. თუმცა ამ პერიოდში ჯერ კიდევ მეტად რთული იყო რელიგიის თავისუფლების რაიმე მარცვლის აღმოჩენა ლუთერის, კალვინის, ბეზას, ბულლინგერის, მელანხტონისა და სხვათა შეხედულებებში. რელიგიის თავისუფლება წარმოიშვა რიგ გარემოებათა დამთხვევის შედეგად, რომელიც არავის არც დაუგეგმავს და არც უვარაუდია.

როგორც ისტორიკოსმა თომას კარლეილმა შენიშნა, ახალი ისტორიული მოვლენები ერთი კონკრეტული მიზეზით კი არ წარმოიშობა, არამედ მთელი რიგი, წარსულში არსებული და თანამედროვე მიზეზთა გადახლართვის შედეგია.[1] სწორედ ასეთ სიტუაციასთან გვაქვს საქმე რელიგიის თავისუფლების პრობლემის განხილვის დროს.

---

[1] იხ. Thomas Carlyle, "On History", in Critical and Miscellaneous Essays: Collected and Republished, 7 vols. (London, 1872), p.257.

XVI-XVII საუკუნეებში ევროპაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ გამანადგურებელ რელიგიურ ომებს, რომლებმაც გამოიწვიეს რელიგიური მთლიანობის გახლეჩა და ერთმანეთთან მოქიშპე მრავალრიცხოვანი სექტების წარმოშობა. საბოლოო ჯამში ამან განაპირობა ეროვნულ სახელმწიფოთა ფორმირება, რომელთაც შეეძლოთ ლოიალობა მოეთხოვათ სხვადასვა რელიგიური აღმსარებლობის მქონე ქვეშევრდომთაგან. ევროპაში იმ დროს არსებულმა რელიგიურმა ჯგუფებმა, რომლებიც უარყოფდნენ თავიანთ ქვეყანაში გაბატონებულ რელიგიას, ბევრგან სასტიკი დევნა განიცადეს. ასე, მაგალითად: ჰუგენოტებმა — საფრანგეთში, კათოლიკე და პურიტანელმა სეპარატისტებმა — ინგლისში, ლუთერანებმა გერმანიის კათოლიკურ სამთავრობოებში და ყველამ, ვინც არ ეთანხმებოდა კათოლიკურ ორთოდოქსიას — ესპანეთში.

რელიგიურ ნიადაგზე დევნილი ადამიანები ყველა ქვეყანაში მოუწოდებდნენ ხალხს შემწყნარებლურად მოქცეოდნენ მათ რწმენას, თუმცა თავდაპირველად ეს მოთხოვნები რელიგიის თავისუფლების რაიმე იდეას, არ ეფუძნებოდა. ხელისუფალნი უფლებამოსილნი და ვალდებულნი იყვნენ დაესაჯათ ის ადამიანები, რომელთაც უღალატეს მათ სახელმწიფოში გაბატონებულ რელიგიურ შეხედულებებს.

ასეთი პრაქტიკა სავსებით მიღებული იყო იმ დროის ევროპაში, სადაც თითოეული რელიგიური ჯგუფი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მხოლოდ ის მისდევდა ჭეშმარიტ რწმენას. ყოველ რელიგიურ ჯგუფს მიაჩნდა: მას იმიტომ უნდა მოქცეოდნენ შემწყნარებლად, რომ მართალი იყო. იგი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო მის მოწინააღმდეგეთა დევნა რადგან ისინი სცდებოდნენ. აღნიშნულის თაობაზე ოლივერ კრომველმა აღნიშნა: „თითოეულს სურს თავისუფლება, მაგრამ არავის უნდა მისი მიცემა“.[1]

— [1] იხ. W. Abbott, ed., The Writings and Speeches of Oliver Cromwell, 4 vols. (Cambridge, MA, 1937-1947),p.547.

შექმნილი სიტუაციის შეფასებისას ერთმანეთთან მოქიშპე რელიგიური სექტების შესახებ ჯ. დ. ფიდჯისმა მიუთითა: „არც ერთ მათგანს არ შეეძლო დანარჩენის განადგურება, რამაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყო თავისუფლება"[1] (აქ იგულისხმება რელიგიური თავისუფლება — შენიშვნა ჩვენია).

მომდევნო საუკუნეში ინგლისში შექმნილმა ცვალებადმა და რთულმა მდგომარეობამ ეს ქვეყანა რელიგიის თავისუფლებისათვის ბრძოლის მთავარ ასპარეზად აქცია. ქვეყანაში სულ უფრო ხშირად გაისმოდა მოწოდებები თითოული ადამიანისათვის რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის თაობაზე. ასე, მაგალითად: კრომველის ერთ-ერთი პოლკის კაპელანი რიჩარდ ბაკსტერი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ჯარისკაცებს შორის კამათი ყველაზე ხშირად რელიგიის თავისუფლების შესახებ წარმოებდა. ამასთან, საყოველთაოდ გავრცელდა აზრი, რომ თითოეულ ადამიანს შეუძლია მისდიოს იმ რელიგიას, რომელიც მას სურს, იქადაგოს და შეასრულოს თავისი რელიგიური წეს-ჩვეულებანი.[2]

რელიგიის თავისუფლებისკენ ყველაზე მხურვალე მოწოდება გაისმა როჯერ უილიამისგან, რომელიც კარგად იცნობდა ინგლისში განხორციელებულ რელიგიურ დარბევებს. რ. უილიამსმა აღნიშნა, რომ ღვთის ნებას წარმოადგენს ის, რომ ადამიანებს ყველა სახელმწიფოში მიეცეთ სინდისის, აღმსარებლობისა და ღვთისმსახურების თავისუფლება.[3]

ამ დროს რელიგიური დევნის კრიტიკა სამი ძირითადი სახის არგუმენტების გამოყენებით მიმდინარეობდა. ეს არგუმენტები

---

[1] იხ. J. N. Figgis. Churches in Modern State (London. 1913). 101.

[2] იხ. A. S. P. Woodhouse. ed., Puritanism and Liderty: Being the Arm Debates (1647-1649) from the Clarke Manuscripts (Chicago, 1951). p. 388.

[3] იხ. The Complete Writings of Roger Williams, 7vols (New York, 1963), p.3.

ეფუძნებოდა სკეპტიციზმს, მიზანშეწონილობასა და მოწოდებას ქრისტიანული რწმენის ძირითადი პრინციპების შესრულებისკენ. ამათგან პირველი ორი არგუმენტი წარმოადგენდა მხოლოდ მოწოდებას ერთგვარი შეზღუდული სახის შემწყნარებლობის უზრუნველსაყოფად, ხოლო მესამე არგუმენტი კი – პოტენციურად განაპირობებდა რელიგიური თავისუფლების ერთგულების საფუძვლების ჩამოყალიბებას. სწორედ ეს მესამე არგუმენტი გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი შემწყნარებლობის ჩამოყალიბების საქმეში. საზოგადოებაში სულ უფრო ხშირად გაისმოდა აზრი იმის თაობაზე, რომ რელიგიური დევნის პრაქტიკა გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა თავად იესოს სწავლებას. ამ არგუმენტს ვხვდებით ისეთი მოაზროვნეების შრომებში, როგორებიც იყვნენ: კასტელლიონი,[1] პიერ ბეილი, როჯერ უილიამსი.[2]

ამრიგად, შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებში ნათლად გამოიკვეთა ახალი მსოფლმხედველობის ატმოსფერო, სადაც სასტიკად იყო დაგმობილი რელიგიური დევნა; მიიჩნევდნენ, რომ ის ეწინააღმდეგებოდა ქრისტეს სწავლებას. როგორც ხედავთ, შუა საუკუნეების ევროპის ცხოვრებაში ყველა არგუმენტი არსებობდა იმისათვის, რომ ჩამოყალიბებულიყო მოძღვრება რელიგიის თავისუფლების შესახებ, თუმცა ეს მაინც არ მოხდა.

ამ მიმართებით საბოლოო შედეგის მიღება მოხერხდა მაშინ, როდესაც რელიგიის თავისუფლების ეს ახალი იდეალი შეერწყა ადრეულ სწავლებას ბუნებრივ უფლებათა შესახებ. სინდისის თავისუფლებას ახლა უკვე განიხილავენ როგორც ადამიანის ერთ-ერთ უფლებას, რომელიც გარანტირებულია ბუნებრივი კანონით და განისაზღვრება „გონების შუქით" ან „ბუნებითი

[1] იხ. Castellio, On Heretics, 123; Pierre Bayle's Philosophical Commentary, A. G. Tannenbaum, trans (New York), 1, 3, p. 42.

[2] იხ. Williams, "Bloudy Tenent", in id., Complete Writings, p.219.

შუქით". ბუნებრივ უფლებათა თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენლებად მიჩნეული იყვნენ იმ დროს ცნობილი მოღვაწეები: ჰენრი ვეინი, როჯერ უილიამსი, უილიამ პენი. ეს უკანასკნელი მიუთითებდა, რომ სინდისის თავისუფლება წარმოადგენს ყველა ადამიანის ბუნებრივ უფლებას და ადამიანებს არ შეუძლიათ უარი განაცხადონ ამ უფლებაზე რომელიმე მთავრობის სასარგებლოდ. შესაბამისად, მთავრობას არავითარი კანონიერი ძალა არ გააჩნდა, რათა ხელეყო პიროვნების ეს უფლება.[1]

მოგვიანებით, პენსილვანიის კონსტიტუციამ პირველმა, სიტყვასიტყვით გაიმეორა უილიამ პენის ეს სიტყვები და გამოაცხადა აღმსარებლობის თავისუფლება, როგორც „ბუნებრივი და განუყოფელი უფლება".

ჯონ ლოკმა თავის ცნობილ წერილში „შემწყნარებლობის შესახებ", აგრეთვე მიუთითა, რომ „სინდისის თავისუფლება წარმოადგენს თითოეული ადამიანის ბუნებრივ უფლებას".[2]

ინგლისის ფარგლებს გარეთ სინდისის თავისუფლების უფლებას აქტიურად იცავდნენ პიერ ბეილი და სპინოზა. თავიანთ სწავლებაში ბუნებრივ უფლებათა შესახებ, ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ რელიგიის თავისუფლების უფლება ადამიანის განუყოფელ უფლებას წარმოადგენს.

ამრიგად, XVII საუკუნის ბოლოსათვის უკვე ჩამოყალიბდა რიგი ანსაღლეტურად ადეკვატური თეორიები რელიგიის თავისუფლების შესახებ, მაგრამ მათ პრაქტიკულ განხორციელებას გაცილებით დიდი დრო დასჭირდა. მხოლოდ XIX საუკუნის ლიბერალური

---

[1] Cfr. M. Searle Bates. Religious Liberty: An Inquiry (New York. 1945) p. 297.

[2] Cfr. John Locke: A Letter Concerning Toleration. M. Montuori. ed. (The Hague. 1963). p. 95

რევოლუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი რელიგიის თავისუფლების ფართოდ დამკვიდრება დასავლეთის სახელმწიფოთა კონსტიტუციებში. ხოლო XX საუკუნეში კი, ძირითადმა ქრისტიანულმა ეკლესიებმა განაცხადეს, რომ რელიგიური უფლებები ქრისტიანული რწმენის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

დასავლეთ ევროპის ხალხებმა თავიანთი ისტორიის მანძილზე რელიგიური ძალადობის მრავალი საუკუნე განვლეს და თანდათან მივიდნენ იმ გაგებამდე, რომ აუცილებელია შემწყნარებლობის გამოჩენა სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანთა მიმართ. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მათ რელიგიის თავისუფლებაში დაინახეს ის იდეალი, რომელიც შინაგანად ახასიათებს მათ ტრადიციულ რწმენას.

უდავოდ საინტერესოა იმის გარკვევა, რამდენად მისაღებია დასავლური ქრისტიანული გამოცდილება მსოფლიოსათვის, რომელშიც მრავალი სხვადასხვა რელიგია და კულტურა არსებობს. სულ უფრო ხშირად გამოითქმის აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანის უფლებები (რელიგიის თავისუფლების ჩათვლით), დღევანდელი საერთაშორისო გაგებით, წარმოადგენს საყოველთაო ფასეულობათა დონემდე აყვანილ ამ უფლებათა დასავლურ გაგებას. ამით ნაგულისხმევია, რომ ასეთი ღირებულებები ფასეული უნდა იყოს ყველა სხვა საზოგადოებებისათვისაც, განურჩევლად მათი ისტორიისა და კულტურისა.

მაგრამ თავისუფლების იდეალების ექსპორტი არცთუ ისე ადვილი საქმეა და ამ სფეროში დასავლეთისა და აღმოსავლეთისგანაც ურთიერთობამ არ შეიძლება მხოლოდ ცალმხრივი მიმართულება იქონიოს. ძალადობის აღკვეთის პრაქტიკის სწავლა დასავლეთს, გარკვეულწილად, აღმოსავლეთისგანაც მოუხდა. ასე, მაგალითად: თანამედროვე დასავლური იდეები ადამიანთა რელიგიური ცხოვრებისადმი პატივისცემით მოპყრობის თაობაზე, ნაწილობრივ ინდოეთში გაბატონებული ბუდისტური იდეების გავლენითაა

ჩამოყალიბებული. ამასთან, ჩვენ არ უნდა ვიქონიოთ იმის იმედი, რომ რელიგიურ უფლებათა ინსტიტუციონალიზაციის დასავლური ხერხები ზუსტად იქნება კოპირებული ნებისმიერ აზიურ ან აფრიკულ საზოგადოებაში, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ ინსტიტუციონალიზაციისკენ მიმართული ღონისძიებები თავად დასავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.[1]

როგორც მარტინ ე. მარტი მიუთითებს, მსოფლიოში ამჟამად არსებული მდგომარეობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დასავლეთის მიერ ასეთი ტანჯვით მოპოვებული გამოცდილება ნამდვილად შეიძლება, მთელს მსოფლიოში იქნეს აღიარებული.[2]

სამწუხაროდ, დღევანდელი მსოფლიო კვლავაც შორს არის რელიგიური შემწყნარებლობის იდეალის საყოველთაო გავრცელებისაგან. ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჯერ კიდევ დაუფარავად იდევნებიან რელიგიური უმცირესობები, რომელთათვისაც, ხშირ შემთხვევაში, აბსოლუტურად მიუწვდომელია რიგი სამოქალაქო უფლებები.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება რელიგიური ფუნდამენტალიზმის საფრთხე, რომელიც სასტიკად აშინებს ყველა იმას, ვინც ფუნდამენტალისტების ჯგუფის ფარგლებს მიღმა იმყოფება. ამჟამად მსოფლიოს მრავალ რეგიონში, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, რელიგიური შუღლი ერწყმის ეთნიკურ მტრობას, რაც ქმნის მეტად ფეთქებადსაშიშ სიტუაციას. ამ გზით რელიგიური კონფლიქტები ხშირად ეთნოკონფლიქტებსა და, საბოლოო ჯამში, აშკარა სამოქალაქო ომებში გადაიზრდება.

---

[1] იხ. Браун Тьери. Религиозные права: историческая перспектива. Права человека и Религия. Хрестоматия. Библейско-Богословский Институт Св. Апостола Андрея. М., 2001, стр. 43.

[2] იხ. იქვე, Мартин Э. Марти. Религия и религиозные права человека., стр. 44.

ის გარემოება, რომ თანამედროვე მსოფლიოში რელიგიური კონფლიქტები საყოველთაო არეულობათა ძირითადი მიზეზია, კარგად ჩანს უკანასკნელ დროს მომხდარი მრავალი ფაქტიდან. კერძოდ, როგორც ცნობილია, ამჟამად მთელი მსოფლიო დგას ტერორიზმის საფრთხის წინაშე, რომლისგანაც არც ერთი, მათ შორის, ყველაზე მოწინავე ქვეყნებიც კი, არ აღმოჩნდა დაცული. ტერორისტები თავის მოქმედებას ძირითადად რელიგიურ სარჩულს უდებენ და საკუთარი რელიგიის დაცვის ლოზუნგით გამოდიან. სრულიად აშკარაა, რომ აუცილებელია რელიგიის თავისუფლების უფლების საყოველთაო აღიარება მთელ მსოფლიოში, თუკი ჩვენ მართლაც გვსურს, რომ ოდესმე მაინც მივაღწიოთ მშვიდობიან ცხოვრებას ჩვენს პლანეტაზე.

მსოფლიოს უდიდესი რელიგიების ყველა ფუძემდებლები (ბუდა, იესო, მუჰამედი) ქადაგებდნენ, რომ ადამიანს პატივისცემითა და თანაგრძნობით უნდა მოვექცეთ. სწორედ ეს გახლავთ ერთადერთი და ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი რელიგიის თავისუფლების სასარგებლოდ.

რელიგიის თავისუფლება გულისხმობს ადამიანის უფლებას საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით შეიცვალოს ან აღიაროს ნებისმიერი რელიგია ან მრწამსი და გამოხატოს ის ღვთის-მსახურების, რიტუალურ წეს-ჩვეულებათა დაცვისა და მათი აღსრულების დროს, ერთპიროვნულად ან სხვებთან ერთად, საჯარო თუ კერძო წესით.

აღნიშნული უნდა განხორციელდეს ყოველგვარი დაბრკოლებების, იძულებისა და დისკრიმინაციის გარეშე.

რელიგიის თავისუფლება გულისხმობს ყველა მორწმუნის და, აგრეთვე, არამორწმუნის თანასწორობას კანონის წინაშე. ამასთან, კანონის წინაშე არავის უნდა გააჩნდეს პრივილეგია და არავინ უნდა იდევნებოდეს კანონით თავისი მრწამსის ან რელიგიური კუთვნილების გამო.

როგორც ლორდი ეკტონი აღნიშნავს, „რელიგიის თავისუფლება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იქ, სადაც დასაშვებად არის მიჩნეული სხვადასხვა რელიგიის თანაარსებობა და მათ ერთნაირი უფლებები გააჩნიათ, რათა განახორციელონ თვით-მმართველობა საკუთარი პრინციპების შესაბამისად".[1]

თუ საკითხს ისტორიული და იდეოლოგიური კუთხით განვიხილავთ, ვნახავთ, რომ რელიგიური და პოლიტიკური უფლებები ერთმანეთთან განუყოფლადაა დაკავშირებული. ის გარემოება, რომ რელიგიის თავისუფლება კანონიერი ძალის მქონე პრინციპს წარმოადგენს, აღიარებულია თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ და ითვლება XX საუკუნის ერთ-ერთ მთავარ მონაპოვრად.

თუმცა, მრავალი მტკიცებულების მოყვანა შეიძლება იმის თაობაზე, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით რელიგიის თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფამდე ჯერ კიდევ ძალიან გრძელი გზაა გასავლელი და თანაც, რელიგიის თავისუფლების რეალიზაცია არსად ხდება სრულად. რელიგიის თავისუფლება ხშირად ირღვევა რელიგიის აკრძალვით და ერთი რომელიმე რელიგიის (როგორც წესი, სახელმწიფო) აღსარების იძულებით ან ამ უფლებაზე მკაცრი შეზღუდვების დაწესებით.

რელიგიის თავისუფლების გამოცხადება ნორმად იქცა მსოფლიოს უმრავლეს სახელმწიფოებში, ხოლო მათი უგულებელყოფა კი, ჩვეულებრივ, მორალურად და იურიდიულად უსაფუძვლოდ მიიჩნევა. ამიტომ რელიგიური თავისუფლების გარანტიებს დღეს ჩვენ ეროვნულ კონსტიტუციათა უმრავლესობაში ვხედავთ.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის რელიგიის თავისუფლება დღეს ფართოდაა აღიარებული, რასაც მოწმობს 1948 წელს

---

[1] იხ. John Emerich Edward Dalberg-Acton, The History of Freedom and other Essays (New York, 1967), p. 152.

მიღებული გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და უფრო მეტად, 1981 წლის დეკლარაცია „რელიგიისა და მრწამსის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ", ჯერაც არ არის მიღწეული აზრთა ერთიანობა მათი ინტელექტუალური და ფილოსოფიური საფუძვლების თაობაზე.

რელიგიის თავისუფლებას ადამიანის უფლებათა შორის განსაკუთრებული ადგილი აქვს მიკუთვნებული. ეს მტკიცებულება სულაც არ ამცირებს ეკონომიკური და სოციალური, აგრეთვე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების როლს — ადამიანის ყველა უფლება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

XX საუკუნეში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩატარებულ ბევრ ეკუმენურ კონფერენციაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი დასავლეთში ტარდებოდა, ამტკიცებდნენ, რომ „თავისუფლებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიის თავისუფლებაა".[1] კონკრეტულად კი მიიჩნევენ, რომ რელიგიის თავისუფლება სხვა სამოქალაქო თავისუფლების საფუძველია.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს აზრით, „რელიგის თავისუფლება — ყოველი ჭეშმარიტი თავისუფლების პირობა და გარანტია".[2]

სავსებით ნათელია, რომ რელიგიის თავისუფლების გარეშე, სიტყვის, პრესისა და შეკრებების თავისუფლება საფრთხის ქვეშ დგება. როდესაც არ სცნობენ ადამიანის რელიგიის თავისუფლებას, მაშინ საფრთხე ექმნება თვით განსხვავებულად აზროვნების უფლებას.

---

[1] იხ. Eastern Asia Conference, Bankgok, 1949. Albornoz. The Basis of Religious Liberty. pp. 27-41.

[2] იხ. "Statement on Religious Liberty". Minutes and Reports. Central Committee of the World Council of Churches, Chichester, 1949. p. 15.

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ჩარლზ ევანს ჰიუზის სიტყვებით: „თუ ჩვენ ვკარგავთ უფლებას, ვიყოთ განსხვავებული სხვა ადამიანისაგან, მაშინ ჩვენ ვკარგავთ უფლებას, ვიყოთ თავისუფალნი".[1]

რელიგიის თავისუფლების უფლების პატივისცემა უაღრესად დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოს მხრიდან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებების მიმართ საერთო დამოკიდებულებისა და მათი ფასეულობის განსაზღვრაში.

მართლაც, იცავს რა ადამიანთა რელიგიის თავისუფლებას, სახელმწიფო გამოხატავს თავის მოქალაქეთა ღირსებებისა და მათ ფასეულობათა პატივისცემას. ეს კი არა მარტო სახელმწიფოს პოლიტიკური უფლებამოსილების შეზღუდვის უბრალო აღიარებაა (ტოტალიტარულ სახელმწიფოთა პრეტენზიების საპირისპიროდ), არამედ იმის იმედსაც იძლევა, რომ სახელმწიფო დაიცავს ადამიანის სხვა უფლებებსაც – სამოქალაქოს, ეკონომიკურსა თუ სოციალურს.

რელიგიის თავისუფლების პრობლემასთან მიმართებაში უდავოდ ყურადღებას იმსახურებს ა. ფ. კარილიო დე ალბორნოსის სიტყვები, რომ: „ადამიანისათვის ყველაზე მთავარ ფასეულობათა (ეს კი რელიგიური ფასეულობანია) პატივისცემა, რომელთა ერთგულებაც უდავოდ მეტად მნიშვნელოვანია, წარმოადგენს ყველა დანარჩენ ადამიანურ ღირებულებათა აღიარების საუკეთესო გარანტს. ასე, მაგალითად, თუ ტოტალიტალური სახელმწიფო უარყოფს ყველაზე წმინდა სფეროს – რელიგიას, რომელიც ადამიანის პიროვნების წმინდა თავშესაფარს წარმოადგენს, მაშინ ადვილი მოსალოდნელია,

---

[1] იხ. Anson Phelps Stokes, Church and State in the United States. 3 vds (New York, 1950), p.113.

რომ ის არ იტყვის უარს არც უფრო ნაკლებადმნიშვნელოვან ფასეულობათა და ნაკლებად ინტიმურ სფეროთა გათელვაზეც. ამ თვალსაზრისით, სრულიად კორექტულად გვეჩვენება მტკიცება იმისა, რომ თუკი რომელიმე საზოგადოება პატივს არ სცემს რელიგიას, მაშინ ჩვენ სულაც ვერ ვიქნებით დარწმუნებული იმაში, რომ ის ყოველივე დანარჩენს სცემს პატივს".[1]

რელიგიური თავისუფლების პრობლემას უდიდეს ყურადღებას უთმობს საერთაშორისო თანამეგობრობა. ადამიანის რელიგიის თავისუფლების უფლების აპოლოგია იმაში მდგომარეობს, რომ მას აღიარებს საერთაშორისო კანონმდებლობა და ხელშეკრულებები, სადაც ეს უფლება დამტკიცებულია როგორც საერთო სტანდარტი იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც ამ ხელშეკრულებაზე მოაწერეს ხელი. მართალია, ადამიანები ხანგრძლივი დროის მანძილზე ცდილობდნენ რელიგიის თავისუფლების დაცვას, მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ის იურიდიულად ფართოდ არ იყო გავრცელებული. რელიგიის თავისუფლება მიჩნეულია პოსტულატად, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო კანონმდებლობის მიერ, მაგრამ ახლაც კი არ ხერხდება მისი სრულად დაცვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

რელიგიის თავისუფლების აღიარებას საერთაშორისო კანონმდებლობაში უდიდესი ბიძგი მისცა 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) შექმნამ, რასაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. გაეროს წევრ-სახელმწიფოთა შეთანხმებული ძალისხმევა მიმართული იყო რელიგიის თავისუფლების, როგორც ფუნდამენტური პრინციპის ფორმულირებისკენ, რომელზეც ხელი უნდა მოეწერათ გაეროს ყველა წევრს, რითაც ისინი აღიარებდნენ, რომ რელიგიის თავისუფლებას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საქმეში.

---

[1] იხ. A. F. Carillo de Albornoz, The Basis of Religious Liberty (New York, 1963), p. 41.

როგორც ცნობილია, გაეროს წესდების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი აცხადებს, რომ გაეროს წევრ-სახელმწიფოებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განამტკიცონ პიროვნების ღირსებისა და თანასწორუფლებიანობის რწმენა. ამიტომ ისინი ვალდებულებას იღებენ, განახორციელონ ძალისხმევა როგორც გაეროსთან ერთად, ისე ინდივიდუალურად, მიმართული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის წასახალისებლად და გასავითარებლად ყველასათვის, განურჩევლად რასის, სქესის, ენისა და რელიგიისა.

სწორედ გაეროს დაარსებისა და მის მიერ ადამიანის უფლებათა დარგში უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის — ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების შემდგომ, 1948 წელს, ბოლოს და ბოლოს მრავალმა სახელმწიფომ აღიარა რელიგიის თავისუფლება, როგორც ადამიანის განუყოფელი და წმინდა უფლება.

საერთაშორისო სამართალში რელიგიის თავისუფლების პროგრესირებად აღიარებას თან ახლდა ფართო ეკუმენური მხარდაჭერა ეკლესიების მხრიდან. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პირველი ასამბლეის სხდომაზე ამსტერდამში 1948 წელს გაისმა მტკიცე მოწოდება რელიგიის თავისუფლებისკენ და რელიგიური უფლებების დაცვისკენ - დოკუმენტში, რომლის სათაურიც გახლდათ „დეკლარაცია რელიგიის თავისუფლების შესახებ". ამ დეკლარაციამ მოუწოდა ეკლესიებს, რათა მათ „მხარი დაეჭირათ საერთაშორისო დოკუმენტის მეშვეობით განხორციელებული ნებისმიერი მცდელობისათვის, რომელიც შეეხებოდა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სათანადოდ დაცვის უფლებას, მათ შორის, ადამიანის უფლებას, მისდიოს თავის რწმენას, ან შეცვალოს ის, ასწავლოს სხვებს და დაარწუნოს ისინი, რათა მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარი შვილების რელიგიური აღზრდის თაობაზე". დეკლარაციაში შემდგომ ნათქვამია, რომ რელიგიის თავისუფლება საერთაშორისო სამართლის შემადგენელი მნიშვნე-

ლოვანი ელემენტია, რომელიც აუცილებლად ყველგან უნდა დამყარდეს. მხარს უჭერენ რა რელიგიის თავისუფლებას, ქრისტიანები არავითარ პრივილეგიებს არ ითხოვენ თავისთვის სხვებთან შედარებით.[1]

ამსტერდამის დეკლარაცია ერთხმად იქნა მიღებული. ის წარმოადგენს უარღესად მნიშვნელოვან ეტაპს რელიგიის თავისუფლების ისტორიაში, რადგან სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ მან გავლენა იქონია გაეროს იმ საბოლოო გადაწყვეტილებაზე, რომლითაც რამდენიმე თვის შემდეგ მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მომდევნო ასამბლეებმა არა მარტო დაამტკიცეს ამსტერდამის დეკლარაცია, არამედ გააგრძელეს გამოსვლები რელიგიურ უფლებათა და რელიგიის თავისუფლების სასარგებლოდ.

ადამიანის რელიგიის თავისუფლების საყოველთაო გავრცელებისა და მხარდაჭერის საქმეში უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ვატიკანის მეორე კრებაც. 1965 წელს ვატიკანის მეორე კრებამ დაასაბუთა რა კორპორაციული და ინდივიდუალური რელიგიის თავისუფლების აღიარება, გამოაცხადა, რომ „რელიგიის თავისუფლების უფლება უშუალოდ ეფუძნება ადამიანის პიროვნულ ღირსებას“ და რომ „არ შეიძლება აიძულო ადამიანი, იმოქმედოს საკუთარი სინდისის საწინააღმდეგოდ და არ შეიძლება შეუშალო მას ხელი, იმოქმედოს საკუთარი სინდისის კარნახით“; ხოლო რელიგიურ გაერთიანებებს კი „უფლება აქვთ, არ შეექმნათ დაბრკოლებები, როდესაც ისინი საჯაროდ აცხადებენ საკუთარ მრწამსს, როგორც ზეპირად, ისე წერილობით“.[2]

[1] იხ. Visser't Hooft, ed., The First Assembly of the World Council of Churches, pp. 93-95.

[2] იხ. "A Declaration on Religious Freedom", Documents of Vatican II (New York, 1966, pp. 679-682.

როგორც ჯეიმს ე. ვუდ-უმცროსი მიუთითებს,[1] საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ რელიგიური შემწყნარებლობისა და თავისუფლებისკენ მიმართული მოწოდებანი, უპირველეს ყოვლისა, რელიგიურ უმცირესობათა და დისიდენტებისაგან მომდინარეობდა, ანუ იმ ადამიანებისაგან, ვისაც ჩამორთმეული ჰქონდათ რელიგიური უფლებები და განიცდიდნენ რელიგიურ დევნას. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დიდი წარმატება რელიგიურ უფლებათა და რელიგიის თავისუფლების აღიარების სფეროში მიღწეულ იქნა არა რელიგიური ორგანიზაციების, კონფესიებისა ან სინოდების მიერ, არამედ კონსტიტუციის შემქმნელთა, საკანონმდებლო კრებებისა და სასამართლოთა მიერ.

შუა საუკუნეების დასრულების შემდგომ დაიწყო ნაციონალურ სახელმწიფოთა და ახალი ნაციონალური სულისკვეთების წარმოშობა, რამაც ეკლესიათა პოლიტიკური ხელისუფლება იმდენად დაასუსტა, რომ მათ ამ მიმართებით უკვე ვეღარასოდეს შეძლეს ფეხზე დადგომა. რელიგიის თავისუფლებამ თანდათან შეღწევა დაიწყო თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში (თუმცა, სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა ხარისხით). ამასთან აღსანიშნავია, რომ რელიგიის თავისუფლების პრინციპთან მიმართებაში თავი იჩინა საოცარმა თანხმობამ როგორც რელიგიური ორგანიზაციების, ისე სახელმწიფოთა მხრიდან.

რელიგიის თავისუფლების თეორიულ და პრაქტიკულ აღიარებას დიდად შეუწყო ხელი იმ საერთაშორისო ურთიერთობებმა, რომლებიც წარმოიშვა სახელმწიფოთა შორის დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე. როგორც მ. ს. ბეიტსი მიუთითებს 50 წელზე მეტი ხნის წინათ დაწერილ თავის ფუნდამენტურ შრომაში რელიგიის თავისუფლების შესახებ, „საერთაშორისო

---

[1] იხ. Джеймс Э. Вуд-младший. Апология религиозных прав человека. Права Человека и Религия. Хрестоматия. Библейско-Богословский Институт Св. Апостола Андрея, М., 2001, стр. 111.

სამართალი და რელიგიის თავისუფლება გაიზარდნენ მჭიდრო ურთიერთკავშირში".[1]

აქვე მითითებულია, რომ ავტორთა უმრავლესობა, რომლებიც საერთაშორისო სამართლის სფეროში მუშაობდნენ, სპეციალურად მიუთითებდნენ რელიგიის თავისუფლების თაობაზე თავის დოკუმენტებში.

არსებობს მრავალი ისეთი მაგალითი, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ საერთაშორისო ხელშეკრულებათა როლს რელიგიის თავისუფლების გავრცელებაში. კერძოდ, ასეთი დოკუმენტები გახლავთ: „ბერლინის ხელშეკრულება" (1878 წ.), „გენერალური აქტი აფრიკულ სამფლობელოთა შესახებ" (1885 წ.), „ხელშეკრულება უმცირესობათა შესახებ" (1919-1923 წწ.), რომლებშიც რელიგიის თავისუფლების გარანტიებია წარმოდგენილი.

XX საუკუნის მეორე ნახევარში კი გაეროს, ევროსაბჭოსა და ეუთოს სისტემაში შემუშავებულ იქნა მრავალი სპეციალური დოკუმენტი, რომელშიც რელიგიის თავისუფლების საკითხს სპეციალური ყურადღება აქვს დათმობილი. გაეროს დოკუმენტების ის მუხლები, რომლებიც რელიგიის თავისუფლების პრობლემას ეძღვნება, დეტალურად არის განხილული მოცემული ნაშრომის მეორე თავში.

ამრიგად, ბოლო 50 წლის მანძილზე მთელ მსოფლიოში სახელმწიფოთა სულ უფრო დიდი რაოდენობა ღებულობდა ისეთ საკონსტიტუციო და ხელშეკრულებით პირობებს, რომლებიც მათ ავალდებულებდა დაეცვათ როგორც საკუთარ მოქალაქეთა, ისე უცხოელთა რელიგიის თავისუფლება. ამასთან, აღინიშნებოდა ძირითადი მსოფლიო რელიგიების გავრცელების გაფართოება

[1] იხ. M. Searle Bates, Religious Liberty: An Inquiry (New York, 1945), p. 137.

და თავად რელიგიებიც მკვეთრად უპირისპირდებოდნენ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც უარს უცხადებდნენ ამ რელიგიათა მიმდევრებს საკუთარი რელიგიური უფლებების დაცვასა და რელიგიური თემების შექმნაში.

XX საუკუნის ბოლოსათვის რელიგიის თავისუფლების პრინციპი ერთ-ერთ აქსიომურ ვალდებულებად იქცა, რომელიც, პრაქტიკულად, ყველგანაა აღიარებული. ამჟამად რელიგიის თავისუფლების პრინციპი, მართალია, რამდენადმე მოდიფიცირებული სახით, მაგრამ მაინც თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ არის აღიარებული, როგორც სახელმწიფო კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი. რელიგიის თავისუფლების გარანტიებს შეზღუდული სახით დღეს უმრავლეს სახელმწიფოთა კონსტიტუციები შეიცავს.

მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რელიგიის თავისუფლება და ადამიანის რელიგიურ უფლებათა პატივისცემა თანამედროვე მსოფლიოს რეალობაში ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა სრული განხორციელებისაგან. გულისტკივილს იწვევს ის ფაქტი, რომ სწორედ XX საუკუნეში, როდესაც რელიგიის თავისუფლება და ადამიანის რელიგიური უფლებები საერთაშორისო სამართლისა და მრავალი სახელმწიფოს კანონმდებლობის ნორმად იქცა თანდათან, ადგილი ჰქონდა მათ მასობრივ და უხეშ დარღვევებს მთელ მსოფლიოში. სწორედ XX საუკუნეში, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ზოგიერთ სახელმწიფოში ხელისუფლების სათავეში მოექცნენ მთავრობები, რომელთაც ახასიათებდათ რელიგიის სასტიკი სიძულვილი და მიზნად ისახავდნენ მის ძირფესვიან აღმოფხვრას.

XX საუკუნის ბოლოდან კი დაიწყო მდგომარეობის თანდათანობით შეცვლა, როდესაც ახალი დემოკრატიული ქვეყნები სულ უფრო ფართოდ მიიჩნევდნენ, რომ რელიგიის თავისუფლება წარმოადგენს თავისუფალი საზოგადოების არსებობისა და განვითარების აუცილებელ პირობას. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია განახლებულ ევროპაში. აქ ყველგან შექმნილია სპეციალური კომისიები საკონსტიტუციო

რეფორმის დარგში, რომლებიც ცდილობდნენ უზრუნველეყოთ რელიგიის თავისუფლების, ისევე როგორც ადამიანის, სხვა უფლებათა დაცვის გარანტიები. ზოგიერთი ქვეყნების პარლამენტში კი შექმნილია მუდმივმოქმედი კომიტეტები, სადაც შეიძლება მიმართვა, რათა მიღებულ იქნეს ახსნა-განმარტება რელიგიის შესახებ ახალი კანონების თაობაზე. მრავალი გადაუჭრელი პრობლემის არსებობის მიუხედავად, რელიგიის თავისუფლების საკითხმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ეროვნებათა და სახელმწიფოთა მოძრაობაში თავისუფლებისა და დემოკრატიის მიღწევის გზაზე. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ რელიგიის თავისუფლების პრობლემას მჭიდროდ უკავშირდება ეთნიკური იდენტურობის პრობლემაც, რომელიც რელიგიის თავისუფლების თითქმის თანხვდომილად არის მიჩნეული მრავალ სახელმწიფოში.

სავსებით ცხადია, რომ მსოფლიო თანამეგობრობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე რელიგიის თავისუფლების პრობლემა დიდ ყურადღებასა და დაცვას მოითხოვს. რელიგიის თავისუფლების პრობლემა როგორც თანამედროვე მსოფლიოში, ისე საქართველოშიც, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

რელიგიური პლურალიზმის პრობლემა – კიდევ ერთი პრობლემაა, რომელიც მთელი თავისი სიმძაფრით დაისვა დღეს რელიგიათა წინაშე. სხვადასხვაგვარ სარწმუნოებრივ მოძღვრებათა სულ უფრო ფართო გავრცელება სეკულარიზებულ საზოგადოებებში შეუძლებელს ხდის რელიგიურ იზოლაციას, ხოლო კონფესიათაშორისი კონტაქტები კი გარდუვალი ხდება. მსოფლიოს უმრავლეს სახელმწიფოებში, მათ შორის, საქართველოშიც, ისეთ რელიგიურ თემათა გაჩენა, რომლებიც, პრაქტიკულად, ყველა რელიგიურ ტრადიციებს წარმოადგენენ, ზრდის მათში არსებულ ტრადიციულ რელიგიათა წარმომადგენლების წუხილს მათი რელიგიის თავისუფლების გარანტიებისა და მათ მიმდევართა უფლებების დაცვის გამო და თანაც, ართულებს ამ ქვეყნებში არსებულ რელიგიურ უმცირესობათა მდგომარეობასაც. მკითხველი, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ რელიგიის თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული

პრობლემები ფრიად დამახასიათებელია დღევანდელი საქართველოსათვის.

რელიგიის თავისუფლების დაცვის საქმეში უდიდესი როლის შესრულება შეუძლიათ როგორც თავად რელიგიათა წარმომადგენლებს, ასევე საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებსაც.

საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში დაფიქსირებული რელიგიის თავისუფლების სტანდარტებისა და საქართველოს ადგილობრივი კანონმდებლობის დაცვა ამ მიმართებით გადამწყვეტ როლს შეასრულებს საქართველოში რელიგიურად ტოლერანტული, თავისუფალი საზოგადოების აშენების საქმეში.

თავი II. რელიგიის თავისუფლების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები

§1. რელიგიის თავისუფლების დაცვის გაეროს სტანდარტები

XX საუკუნის მეორე ნახევარში შემუშავებულ იქნა მრავალი გლობალური და რეგიონული დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რომელთა ნაწილი უშუალოდ ეხება ადამიანის რელიგიურ უფლებებს. ამასთან, რელიგიის თავისუფლების დაცვასთან მიმართებაში დღემდე არ არსებობს არავითარი ისეთი შეთანხმება, რომელიც სავალდებულო იქნებოდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ასეთი ხასიათის შეთანხმებასთან ყველაზე ახლოს მდგომად შეიძლება მივიჩნიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) გენერალური ასამბლეის მიერ 1981 წელს მიღებული დეკლარაცია „რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ". თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ ითვალისწინებს მის სავალდებულო შესრულებას, მისმა ცხოვრებაში გატარებამ უდავოდ, საკმაოდ დიდი ძალისხმევა მოითხოვა გაეროს მხრიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო თანამეგობრობა ჯერ კიდევ ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევს ადამიანის რელიგიური უფლებების დაცვას, რაც გამოწვეულია ზოგიერთ რელიგიურ თავისუფლებათა ხასიათსა და მასშტაბებს შორის არსებული ფუნდამენტური შეუთანხმებლობით. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციებს სერიოზული ძალისხმევა დასჭირდათ ისეთი ადეკვატური ზომების მისაღებად, რომლებიც უზრუნველყოფენ რელიგიურ უფლებათა დაცვას ადამიანის დანარჩენ ძირითად უფლებათა თანაბრად. ამ ძალისხმევამ გამოიღო თავისი განსაზღვრული შედეგები.

თანამედროვე მსოფლიოში რელიგიური კონფლიქტები გვევლინება

საყოველთაო უწესრიგობათა ძირითად მიზეზად. სწორედ ამიტომ ადამიანის რელიგიურ უფლებათა აღიარება და დაცვა აუ-ცილებელია, თუკი ჩვენ გვინდა მივაღწიოთ მსოფლიოში წესრიგის დამყარებას. უკანასკნელი 50 წლის მანძილზე საერთაშორისო ცხოვრებაში მომხდარმა მოვლენებმა და ცვლილებებმა გარკვეული გავლენა იქონიეს ადამიანის რელიგიურ თავისუფლებათა დაცვის სამართლებრივ მიდგომაზე.

როგორც ცნობილია, რელიგიამ უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის ისტორიაზე. რელიგიის ემოციურ და პოლიტიკურ ზეგავლენას ვერ გაექცევა ვერც თანამედროვე საერთაშორისო თანამეგობრობა. იმასთან დაკავშირებით, რომ რელიგია უმნი-შვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი დროის იმ ტრაგიკულ კონფლიქტებში, რომლებიც უკავშირდება ეთნიკურ შუღლს, რასიზმსა და თვითგამორკვევას, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1995 წელი გამოაცხადა „გაეროს მიერ შემწყნარებლობისა-თვის ბრძოლის წლად".

თანამედროვე საერთაშორისო კანონმდებლობას ადამიანის უფლებათა სფეროში საფუძვლად დაედო შემდეგი ძირითადი წესი: ცნებები – „რელიგია" და „რწმენა". ისინი გულისხმობენ როგორც თეისტურ შეხედულებებს სამყაროსა და ქცევის ნორმებზე, ისე ათეისტურ, აგნოსტიკურ, რაციონალისტურ ან რაიმე სხვა შეხედულებებს, რომლებიც შეიცავენ ორივე ზემოთ აღნიშნულ ელემენტს. მართალია, თანამედროვე საერთაშორისო სისტემამ ვერ შექმნა ერთიანი სავალდებულო შეთანხმება ადამიანის რელიგიურ უფლებათა დაცვასთან მიმართებაში, მაგრამ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წელს მიღებულია „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ"; კერძოდ, მისი მე-18 მუხლი კანონის სტატუსის მქონეა იმ მრავალი სახელმწიფოსათვის, რომელთაც მოახდინეს მისი რატიფიცირება.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის საკითხს სპეციალურ ყურადღებას უთმობს გაეროს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია", რომელიც მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის 217A (III) რეზოლუციით 1948 წლის 10 დეკემბერს. რელიგიასთან მიმართებაში დეკლარაციის მთავარი მუხლია 18, რომელიც მიუთითებს:

„ყოველი ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით; ეს უფლება მოიცავს საკუთარი რელიგიის ან რწმენის შეცვლის, საკუთარი რელიგიის ან აღმსარებლობის, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვებთან ერთად საჯაროდ ან კერძოდ, მოძღვრების, ღვთისმსახურებისა და რელიგიურ ან რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულების თავისუფლებას".

როგორც ნეემია რობინსონი თავის კლასიკურ კომენტარში მიუთითებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესახებ, მე-18 მუხლი შედგება ორი ნაწილისაგან:

პირველი დებულებით გარანტირებულია აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებათა უფლება;

მეორე დებულება კი იძლევა იმ კონკრეტულ უფლებათა ჩამონათვალს, რომელსაც გულისხმობს ეს თავისუფლება. ამასთან, ეს მეორე დებულება არ არის ამომწურავი. ის მოიცავს მხოლოდ იმ უფლებებს, რომლებიც გაერომ აუცილებლად მიიჩნია ამ დეკლარაციაში ჩასართველად, „რამეთუ მოცემულ მომენტში შესაძლოა, მათი დაცვა ყველგან არ ხდება".[1]

აღნიშნული დეკლარაციის მე-2 მუხლი კი კრძალავს ყოველგვარ დისკრიმინაციას დეკლარაციით მინიჭებულ ყველა უფლებათა

---

[1] იხ. Nehemiah Robinson, The Universal Declaration of Human Rights, New York, 1958, p. 128.

და თავისუფლებათა მიმართ, მათ შორის, რელიგიის საფუძველზეც.

დეკლარაციის 26-ე მუხლი მოიხსენიებს „რელიგიურ ჯგუფებს“ განათლების უფლებასთან მიმართებაში. კერძოდ, მასში ნათქვამია:

„...განათლება ხელს უნდა უწყობდეს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი და რელიგიური ჯგუფების ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობას და მეგობრობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად“.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვასთან გარკვეული მიმართების მქონეა აღნიშნული დეკლარაციის 26-ე მუხლი, რომელშიც დეკლარაციით აღიარებულ უფლებათა შეზღუდვაზეა საუბარი. კერძოდ, მასში ნათქვამია:

„თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, როგორიც კანონითაა დადგენილი მხოლოდ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ უდიდესი როლი შეასრულა XX საუკუნის მეორე ნახევრის სამართლებრივი და პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარებაში. ის წარმოადგენს ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ დოკუმენტს, რომლის შინაარსის უდიდესი ნაწილი ამჟამად საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს დაედო საფუძვლად.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში წარმოდგენილი ვალდებულებანი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხში თავის გამოხატულებას პოულობს გაეროს გენერალური ასამბლეის 2200 (XXI) რეზოლუციით 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული

„საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ". აღნიშნული პაქტი წარმოადგენს გაეროს წევრ-სახელმწიფოთა იურიდიულად დამაკავშირებელ სახელშეკრულებო ვალდებულებას, რომლის დებულებანი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის საკითხებთან მიმართებაში უფრო კონკრეტულია და უფრო საგულდაგულოდაა ფორმულირებული, ვიდრე ეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია.

კერძოდ, აღნიშნული პაქტის მე-18 მუხლი მიუთითებს:

„1. თითოეული ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით. ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ ქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიასა და მრწამსს როგორც ცალკე, ისე სხვებთან ერთად, საჯარო თუ კერძო წესით; ასრულებდეს და გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ლოცვით და მოძღვრებითა და სწავლებით;

2. არავინ უნდა დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას, ჰქონდეს ან მიიღოს საკუთარი არჩევანის რელიგია ან მრწამსი;

3. რელიგიისა და მრწამსის აღიარების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში და საზოგადოების უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით;

4. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას პატივი სცენ მშობელთა და, შესაბამისად, კანონიერ მეურვეთა საკუთარი მრწამსის შესაბამისად, უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა".

მე-18 მუხლი ორი ასპექტით მოიაზრება.

პირველი ასპექტი მოიცავს პიროვნების თავისუფლებას სწამდეს ან იწამოს ნებისმიერი რელიგია ან მრწამსი;

მეორე ასპექტი მოიცავს შესაბამისი რელიგიის ან მრწამსის ქადაგებას და მასთან დაკავშირებული რიტუალების შესრულებას, ღვთისმსახურებას და სწავლებას. ამათგან აღნიშნული უფლების პირველი ასპექტი აბსოლუტური ხასიათის მქონეა და, ამდენად, მისი შეზღუდვა დაუშვებელია ნებისმიერი საბაბით. რაც შეეხება მეორე ასპექტს, ის ატარებს შეფარდებით ხასიათს, რამდენადაც მისი შეზღუდვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ საგანგებო მდგომარეობათა დროს.

პაქტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი აცხადებს, რომ არც ერთი ადამიანი არ შეიძლება დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც შეზღუდავდა მის თავისუფლებას იქონიოს ან მიიღოს ესა თუ ის რელიგია ან მრწამსი საკუთარი არჩევანის საფუძველზე. მოცემული მუხლი, მართალია, არ განმარტავს ტერმინს „იძულება", მაგრამ ის უნდა გავიგოთ არა მხოლოდ როგორც ძალის ან მუქარის გამოყენების შემცველი, არამედ ის შეიძლება გულისხმობდეს არაკანონიერ ზემოქმედებას უფრო ნატიფი ფორმებითაც, როგორიცაა, მაგალითად, მორალური ზეწოლა ან მატერიალური ცდუნება.

პაქტის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი დასაშვებად მიიჩნევს ადამიანის მიერ საკუთარი რელიგიისა და მრწამსის გამოხატვის მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით საზოგადოების უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

ისეთ დელიკატურ სფეროში, როგორიც რელიგიაა, შეზღუდვის საკითხი მეტად სათუთ მოპყრობას მოითხოვს. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთ რელიგიურ ჯგუფებს ახასიათებთ ისეთი

რიტუალები და წეს-ჩვეულებანი, რომლებიც შეიძლება წინააღმდეგობაში შევიდნენ საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან ზნეობის იმ ნორმებთან, რომლებიც დამახასიათებელია საზოგადოების ძირითადი ნაწილისათვის და გამოხატულია ყოველი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში. ამასთან, მუხლის ესა თუ ის გაგება წარმოადგენს კულტურულ და ისტორიულ ფაქტორთა ხანგრძლივი ზეგავლენის შედეგს და საერთაშორისო მინიმალური სტანდარტი ამ მიმართებით, შესაძლოა, ერთნაირად მისაღები როდი იყოს ყველა რელიგიის, ქვეყნისა და ცივილიზაციისათვის.[1]

რაც შეეხება მე-18 მუხლის მე-4 პუნქტს, ის ადგენს მშობელთა უფლებას ბავშვების რელიგიური აღზრდის საკითხში. ამ პუნქტიდან გამომდინარე, საჭიროა თითოეული ქვეყნის კანონში დაწვრილებით იქნეს განსაზღვრული რელიგიური განათლების სამართლებრივი რეგულირება. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ ქვეყნებს, სადაც რელიგიის შესწავლა წარმოებს სახელმწიფო სკოლებში.

რელიგიის თავისუფლების უფლება აშკარად და გამოკვეთილად მოიცავს პიროვნების უფლებას გაერთიანდეს სხვებთან ერთად და „აღიარებდეს თავის რელიგიასა და მრწამსს... სხვებთან ერთად, საჯარო თუ კერძო წესით". მაგრამ ხშირად ავიწყდებათ, რომ რელიგიურ ჯგუფებს აგრეთვე გააჩნიათ ასოციაციებში გაერთიანების თავისუფლებაც. რელიგიის თავისუფლების განსაკუთრებული მდგომარეობა, რაც მრავალგზის დადასტურდა ისტორიულად, ნებისმიერ გარემოებათა დროს გულისხმობს მეტი თავისუფლების მინიჭებას რელიგიასთან დაკავშირებული დაწესებულებებისათვის. ეს დებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას

---

[1] J. Sullivan, "Gender Equality and Religious Freedom: Toward a Framework for Conflict Resolution", New York University Journal of International Law and Politics, 1992. No 24. pp. 795-856. 819.

იძენს იმ კანონების მიმართ, რომლებიც განსაზღვრავენ რელიგიურ გაერთიანებათა სტრუქტურიზაციას.

„ამის გათვალისწინებით შეიძლება მოვიყვანოთ 22-ე მუხლი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტიდან, რომელიც ასოციაციის თავისუფლებას შეეხება. მასში ნათქვამია:

„1. თითოეულ ადამიანს აქვს სხვებთან ასოციაციის უფლება, მათ შორის, უფლება შექმნას და შევიდეს პროფკავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად;

2. ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს და რომლებიც საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვის თუ სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის. ეს მუხლი ხელს არ უშლის შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის შემადგენლობაში მყოფ პირთათვის ამ უფლებით სარგებლობის კანონიერი შეზღუდვების დაწესებას“.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ წარმოდგენილია რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებულ უფლებათა მთელი სპექტრი. ამასთან, თავიდანვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ორივე დოკუმენტი აშკარად აღიარებს და იცავს რელიგიური ცხოვრების თემურ ხასიათს. მართალია, ზოგიერთი ადამიანისათვის რელიგია შეიძლება ღრმად პიროვნული საქმე იყოს, მაგრამ რელიგიურ რიტუალთა უმრავლესობა არ შეიძლება შესრულდეს ერთპიროვნულად.

ასე, მაგალითად, აღნიშნულ დოკუმენტებში ხაზგასმითაა მითითებული, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლება

შეიცავს თავისუფლებას „აღიარებდეს თავის რელიგიასა და მრწამსს როგორც ცალკე, ისე სხვებთან ერთად, საჯარო თუ კერძო წესით...“, გამოხატავდეს თავის რელიგიურ მრწამსს რელიგიური გამოცდილებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უბნებზე, კერძოდ: „...მოძღვრების, ღვთისმსახურებისა და რელიგიურ ან რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულების დროს“.

ამ ნორმების თანახმად უდავოა ის ფაქტი, რომ პიროვნებას უნდა ჰქონდეს საშუალება მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ ცხოვრებაში მსგავსი რელიგიური რწმენის მქონე ადამიანთა გაერთიანებაში და რომ თემური მონაწილეობის ტიპი უნდა განისაზღვრებოდეს რელიგიურ რწმენათა შესაბამისად და არ იყოს ნაკარნახევი, შემოწმებული ან რაიმე სხვა სახით „შელახული“ სახელმწიფოს მხრიდან წამოყენებული მოთხოვნების მეშვეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რელიგიური ცხოვრების მრავალი ასპექტი დაკავშირებულია ადამიანთა გაერთიანებასთან და უდავოდ იმსახურებენ უფრო სერიოზულ დაცვას, ვიდრე ასოციაციასთან დაკავშირებული სხვა უფლებები, რადგან რელიგიის საფუძველზე წარმოშობილი გაერთიანებები მეტად მჭიდროდ უკავშირდება რელიგიურ რწმენას.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ, მართალია, რწმენის აღიარების უფლების მიმართ დასაშვებადაა მიჩნეული გარკვეული შეზღუდვები, მაგრამ ეს შეზღუდვები უნდა შეესაბამებოდეს სამართლებრივ ნორმებს და უნდა დაექვემდებაროს მკაცრ შემოწმებას დემოკრატიულ საზოგადოებაში მათი აუცილებლობის დასაბუთების თვალსაზრისით. ეს ნიშნავს, რომ არ არის საკმარისი მხოლოდ რაიმე კანონიერი მიზეზის მოშველიება იმისათვის, რომ შეიზღუდოს ამა თუ იმ რელიგიის ან რწმენის აღიარება, არამედ რელიგიური თავისუფლების უარყოფის მოთხოვნა შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდვები ისახავენ კანონიერ მიზანს და ნამდვილად „აუცილებელნი“ არიან.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების

შესახებ კიდევ უფრო აძლიერებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებულ რელიგიის თავისუფლების დაცვას და უაღრესად მკაფიოდ მიუთითებს, რომ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო ვალდებულია:

„...პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი უზრუნველყოს წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებებით, რაიმე განსხვავების გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოებათა გამო" (მუხლი 2, პუნქტი 1).

ამასთან, პაქტი არ შემოიფარგლება აღნიშნული დებულებების მხოლოდ ჩამოყალიბებით, არამედ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომების მისაღებად, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს მოცემული პაქტით აღიარებული უფლებების განსახორციელებლად (მუხლი 2, პუნქტი 2).

ქვემოთ, პაქტის 26-ე მუხლში ნათქვამია:

„ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე კანონით თანაბარი დაცვის უფლება აქვს. ამ მხრივ უნდა აიკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტიან დაცვას რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოებების გამო დისკრიმინაციის წინააღმდეგ".

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა, რომლის ოფიციალურ დანიშნულებას წარმოადგენს აღნიშნულ პაქტთან შესაბამისობის მონიტორინგი, ხაზგასმით აღნიშნა თავის ზოგად

შენიშვნებში დისკრიმინაციის დაუშვებლობის უდიდესი მნიშვნელობა №18(37), რომლებიც განმარტავენ პაქტში წარმოდგენილ დებულებებს თანასწორობის შესახებ. აქ მოცემულია თვალსაზრისი, რომ ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვა და კანონით უზრუნველყოფილი ყველა პირის თანასწორი და ეფექტიანი დაცვა ყოველგვარი განსხვავების დაშვების გარეშე შეადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითად და უზოგადეს პრინციპს.

მართალია, თავად პაქტი არ იძლევა დისკრიმინაციის განსაზღვრებას, მაგრამ ადამიანის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს, რომ საერთაშორისო სამართალში ამ ტერმინის საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობის თანახმად, „დისკრიმინაცია" პაქტში ნახმარი მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული, როგორც ნებისმიერ სხვაობათა, გამონაკლისების ან უპირატესობათა აღნიშვნა ნებისმიერი ნიშნით, როგორიცაა, მაგალითად, რასა, ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა მრწამსი, ეროვნული ან სოციალური წარმოშობა, ქონებრივი ან სხვა მდგომარეობა, რომელიც თავის მიზნად ან შედეგად ისახავს ყველა პირთა მიმართ ყველა უფლებათა და თავისუფლებათა ანულირებას ან აღიარების ან სარგებლობის შეზღუდვას თანაბარ საფუძველზე.

ზოგად შენიშვნებში №18(37) ასევე ხაზგასმითაა მითითებული, რომ პაქტი თავის მოქმედებაში არ შემოიფარგლება დისკრიმინაციის აკრძალვით მის მიერ აღიარებულ ძირითად უფლებათა დაცვის მიზნით.

კერძოდ, მაშინ როდესაც მე-2 მუხლი ზღუდავს იმ უფლებებს, რომლებიც უნდა იქნეს დაცული დისკრიმინაციისაგან მათ მიერ, ვინც ჩამოთვლილია პაქტში, 26-ე მუხლი არ მოითხოვს ასეთ შეზღუდვათა დაწესებას. შეიძლება ითქვას, რომ 26-ე მუხლი ამტკიცებს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და რომ ყველა ადამიანს აქვს კანონის მხრიდან თანაბარი დაცვის უფლება ყოველგვარი განსხვავების გარეშე და რომ

კანონმა ყველა ადამიანს უნდა მისცეს ერთნაირი და ეფექტიანი დაცვის გარანტია ნებისმიერი ჩამოთვლილი ნიშნით დისკრიმინაციის განხორციელებისაგან.

ადამიანის უფლებათა კომისიის აზრით, 26-ე მუხლი უბრალოდ კი არ იმეორებს იმ გარანტიებს, რომლებიც უკვე უზრუნველყოფილ იქნა მე-2 მუხლით, არამედ უზრუნველყოფს ავტონომიურ უფლებას. ის კრძალავს დისკრიმინაციას კანონით ან ფაქტით ნებისმიერ სფეროში, რომელსაც არეგულირებენ და იცავენ ხელისუფლების ორგანოები. ამასთან დაკავშირებით, 26-ე მუხლი განიხილავს იმ ვალდებულებებს, რომლებიც ეკისრებათ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობისა და მისი შემდგომი გამოყენების მიმართ. სწორედ ამიტომ, როდესაც პაქტის მონაწილე ქვეყანა იღებს კანონს, ის შესაბამისობაში უნდა იყოს 26-ე მუხლის მოთხოვნებთან დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ და აღნიშნული მუხლის მთელ შინაარსთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის გამოყენება, რომელსაც შეიცავს 26-ე მუხლი, პაქტში მითითებული უფლებებით არ არის შეზღუდული.

27-ე მუხლი უზრუნველყოფს დისკრიმინაციისაგან განსაკუთრებულ დაცვას იქ, სადაც არსებობს „ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობები". მასში ნათქვამია, რომ „პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობებს განეკუთვნებიან, არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ თავიანთი რელიგია, აგრეთვე ილაპარაკონ მშობლიურ ენაზე".

აღნიშნულ დოკუმენტში არ არის მოცემული ტერმინის „უმცირესობების" ზუსტი განსაზღვრა, მაგრამ სტატისტიკის თანახმად, უმრავლეს ქვეყნებში, როგორც წესი, ერთი რელიგიაა მთავარი, ხოლო ყველა დანარჩენი კი მიეკუთვნება უმცირესობებს. ამასთან, არის ზოგიერთი ისეთი ქვეყნებიც, რომლებშიც არც

ერთი რელიგია არ იმყოფება უმრავლესობის მდგომარეობაში. არსებობს ტენდენცია იმისა, რომ უმცირესობა აღქმულ იქნეს როგორც ადვილად იდენტიფიცირებული ჯგუფი, რომლის წევრებიც გაერთიანებულნი არიან საერთო ენის, ტრადიციის, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილების საფუძველზე და ა. შ. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ რელიგიური უმცირესობანი აუცილებლად, იმავდროულად, ეთნიკურ ან ენობრივ უმცირესობათა შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენენ.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგად შენიშვნებში №23(50) მითითებულია, რომ: პაქტის 97-ე მუხლი უზრუნველყოფს იმ პირთა უფლებებს, რომლებიც პაქტის მონაწილე სახელმწიფოებში არსებულ უმცირესობებს განეკუთვნებიან. ეს უფლებები კი იმას ნიშნავს, რომ ყველა იმ პირს, რომლებიც ამ უმცირესობებს განეკუთვნებიან, უფლება აქვთ იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღასრულონ თავიანთი რელიგია და ილაპარაკონ თავიანთ მშობლიურ ენაზე. ამასთან, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ისინი ეკუთვნოდნენ მოცემული ქვეყნის მკვიდრ ერს, ან იყვნენ მოცემული ქვეყნის მოქალაქენი, ან თუნდაც მისი მუდმივი მცხოვრებნი. უბრალოდ, საჭიროა, რომ უმცირესობები საკმაო ხანს ცხოვრობდნენ მოცემულ ქვეყანაში, რათა მათ მიიღონ ის დამატებითი დაცვა დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელსაც უზრუნველყოფს 27-ე მუხლი.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 1993 წელს გამოაქვეყნა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის ზოგადი კომენტარი №22(48).[1] კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა პაქტის სახელმწიფოთა ყურადღება მიეპყრო იმ გარემოებებისადმი, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

---

[1] იხ. GAOR, 48th Session, Supp. No 40, A(48), Annex VI (1993).

საჭიროებს დაცვას აზრისა და სინდისის თავისუფლების უფლების თანაბრად.

პაქტის მე-18 მუხლი თანაბრად იცავს როგორც რელიგიურ, არარელიგიურ და ათეისტურ რწმენებს, ასევე უფლებას, ადამიანმა არ აღიაროს არავითარი რელიგია ან რწმენა. კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტერმინები „რწმენა" და „რელიგია" განმარტებულ უნდა იქნეს ფართო მნიშვნელობით, იმგვარად, რომ უკუგდებულ იქნეს დისკრიმინაციის ნებისმიერი ტენდენცია ნებისმიერი რელიგიის ან რწმენის მიმართ, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ეს დისკრიმინაცია განპირობებული, თუნდაც ეს რელიგია ან რწმენა არც ისე დიდი ხნის წინათ იყოს წარმოშობილი და წარმოადგენდეს რელიგიურ უმცირესობას, რომელმაც შეიძლება არსებული რელიგიური უმრავლეობის მხრიდან მტრული დამოკიდებულება გამოიწვიოს.[1] საკვლევით ცხადია, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტის ეს შენიშვნა მიმართულია იქითკენ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ისეთი სიტუაციები, როდესაც ძველი და მტკიცედ დამკვიდრებული რელიგიური ჯგუფები სარგებლობენ უფრო ფართო სამართლებრივი აღიარებითა და დაცვით, ვიდრე ახლახან წარმოშობილი რელიგიური გაერთიანებები. ეს აგრეთვე შეეხება იმ რელიგიური იდეების გავრცელებასაც, რომლებიც არ სარგებლობენ უმრავლესობის მხარდაჭერით, იმ პირობით, რომ აღნიშნული რელიგიური იდეები არ სცილდება კანონით დადგენილ ფარგლებს.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის ზოგადი შენიშვნები №22(48) რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ბევრ სხვა ასპექტსაც ეხება. ასე, მაგალითად, დოკუმენტში ნათქვამია, რომ „აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება... მეტად

---

[1] იქვე, პარაგრაფი 2.

შორს მიმავალი და კარდინალურია; ის მოიცავს: აზრის თავისუფლებას ნებისმიერი საბაბით, პირად მრწამსსა და რელიგიის ან მრწამსისადმი ერთგულებას, განურჩევლად იმისა, მისი აღსარება საჯაროდ ხდება თუ სხვებთან ერთად". ზოგად შენიშვნებში აგრეთვე მითითებულია, რომ „თავისუფლებათა ფუნდამენტური ხასიათი... აისახება იმაში, რომ ეს დებულება არ შეიძლება ნაწილობრივ გაუქმებულ იქნეს თუნდაც საგანგებო გარემოებათა დროს, როგორც ამას აცხადებს მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი."

ზოგად შენიშვნებში მითითებულია, რომ რელიგიის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვები დასაშვებია მხოლოდ რელიგიის აღსარების უფლებასთან მიმართებაში. საქმე ისაა, რომ 1966 წლის პაქტის მე-18 მუხლი აზრის, სინდისისა და რელიგიის ან მრწამსის თავისუფლებას გამოყოფს რელიგიის ან მრწამსის აღსარების უფლებისაგან. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუშვებელია რაიმე სახით შეიზღუდოს ადამიანის აზრის ან სინდისის თავისუფლება, ან ადამიანის თავისუფლება – ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია საკუთარი არჩევანის საფუძველზე. ეს თავისუფლებები აბსოლუტურად უდავოა, ისევე როგორც თითოეული ადამიანის უფლება გამოხატოს საკუთარი აზრი ვინმეს ჩარევის გარეშე, როგორც ამას აღნიშნავს მე-19 მუხლის I პუნქტი.

ანალოგიურად, „არავინ უნდა დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას, ჰქონდეს ან მიიღოს საკუთარი არჩევანით რელიგია ან მრწამსი, მშობლების ან კანონიერი მეურვეების თავისუფლებას, უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური ან ზნეობრივი აღზრდა". აღნიშნული საკანონმდებლო დებულებას, რომ შინაგანი რწმენა არ შეიძლება იმართებოდეს გარედან, რაც იქიდანაც გამომდინარეობს, რომ აღნიშნული საკითხების განხილვას ცალკე ადგილი აქვს დათმობილი მე-18 მუხლის მე-2 პუნქტში.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგად შენიშვნებში

განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული რელიგიის აღსარების უფლების დასაშვებ შეზღუდვებზე. აღნიშნულ შეზღუდვათა განსაზღვრისას პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უთუოდ უნდა გაითვალისწინონ პაქტით გარანტირებული უფლებების დაცვის აუცლებლობა, მათ შორის, დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და თანასწორობის ჩათვლით. კანონით დადგენილი შეზღუდვები არ უნდა არღვევდნენ მე-18 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებს.

კერძოდ, მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი განმარტებულ უნდა იქნეს მკაცრად განსაზღვრული წესით: რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვა იმ ნიშნებით, რომლებიც აქ არ არის ჩამოთვლილი, ყოვლად დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი დაშვებულია, როგორც პაქტის მიერ დაცულ სხვა უფლებათა (მაგ. სახელმწიფო უშიშროების) შეზღუდვები. შეზღუდვები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რომლისთვისაც ისინი თავდაპირველად იქნა განსაზღვრული; ამასთან, ისინი უნდა წარმოადგენდნენ კონკრეტულ აუცილებლობას და იყვნენ ამ მიზნების პროპორციული. შეზღუდვები არ შეიძლება დაწესებულ იქნეს დისკრიმინაციის მიზნით, ან იმგვარად, რომ მივყავდეთ დისკრიმინაციამდე.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი შენიშვნების ის დებულებანი, რომლებიც არეგულირებენ რელიგიური თემების მიერ იურიდიული სტატუსის მიღების საკითხსა და მათ საერთო მოღვაწეობას, ზოგ შემთხვევაში, გარკვეულწილად ზღუდავენ რელიგიის ან მრწამსის აღმსარებლობის უფლებას. ისევე როგორც რელიგიის თავისუფლების ნებისმიერი სხვა შეზღუდვები, ისინი უნდა დასაბუთდეს ზოგად შენიშვნებში №22 დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. ამასთან საკმარისი როდია იმის აღნიშვნა, რომ კანონებს, რომელნიც რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობას არეგულირებენ, დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების, მოსახლეობის

ჯანმრთელობის დაცვის ან მსგავსი ტიპის სხვა კანონიერი მიზნებისთვის. საჭიროა დამატებით მიეთითოს ისიც, რომ დაწესებული შეზღუდვები ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს დასახულ მიზნებს და ისინი არ უნდა იქნეს გამოყენებული დისკრიმინაციის მიზნით, ან იმგვარად, რომ მივყავდეთ დისკრიმინაციამდე.[1]

გაეროს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ წარმოადგენს რელიგიის საკითხების შემცველ ერთადერთ საყოველთაო ხელშეკრულებას ადამიანის უფლებათა სფეროში, რომელშიც აგრეთვე ჩართულია აღმასრულებელი ზომები.

პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა რეგულარული მოხსენებები და ინდივიდუალური საჩივრები ან შეტყობინებები რელიგიური უფლებების თემაზე ადამიანის უფლებათა კომიტეტს (როგორც პაქტის შესრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს) საშუალებას აძლევს განაახლოს და კომენტარი გაუკეთოს მრავალ ისეთ პრობლემას ადამიანის უფლებათა სფეროდან, რომლებიც რელიგიას შეეხება.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ყოველწლიური მოხსენებები, რომლებიც ქვეყნდება გაეროს გენერალური ასამბლეის ოფიციალური დოკუმენტების დანართებში №40, შეიცავენ მდიდარ ინფორმაციას რელიგიურ უფლებათა სფეროში. სახელმწიფოთა რეგულარული მოხსენებების შესწავლისას კომიტეტის წევრები გულდასმით იკვლევენ კონკრეტულ სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესაბამისობას რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლების დაცვასთან და ასეთ უფლებათა რეალიზაციასთან დაკავშირებულ ფაქტებს. კერძოდ, სხვა

---

[1] იხ. UN Doc. CCPR/C/21/Rev. 1/Add. 4(1993), printed UN Doc.HRI/GEN/1 Rev. 1 at 35 (1994).

სახელმწიფოებში არსებულ დარღვევებთან ერთად ხაზგასმით იქნა აღნიშნული რელიგიურ უფლებათა შეზღუდვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში.[1]

ამ მიმართებით უნდა აღინიშნოს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისარიატში, კერძოდ, მის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში, პაქტის (საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ) მე-40 მუხლის თანახმად, საქართველოს მიერ გაკეთებული მეორე პერიოდული მოხსენების განხილვა და ამ მოხსენებაზე წარმოდგენილი დასკვნითი შენიშვნები.[2]
დასკვნით შენიშვნებში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ აღნიშნულია:

ერთი მხრივ – საქართველოს მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი პირველად წარმოდგენილ მოხსენებასთან შედარებით, რომელიც მოიცავს პოზიტიურ ძვრებს პაქტით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებისათვის საჭირო პოლიტიკურ, კონსტიტუციურ და საკანონმდებლო ჩარჩოებში.

მეორე მხრივ კი – შეშფოთებათა ძირითადი საგნები და რეკომენდაციები, სადაც საქართველოში ადამიანის უფლებათა

---

[1] იხ. GAOR, Forty-fifth Session, (A/45/40), Supp. No. 40, 1990, pp. 26.

[2] იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეორე პერიოდულ მოხსენებასთან დაკავშირებით: საქართველო. 09/04/2002. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, 74-ე სესია, 18.03-5.04, 2002.
კომიტეტმა განიხილა საქართველოს მიერ წარმოდგენილი მეორე პერიოდული მოხსენება (CCPR/C/GEO/2000/2) მის მიერ 1986-ე და 1987-ე შეხვედრებზე (CCPR/C/SR.1986, 1987) 2002 წლის 18 და 19 მარტს.
კომიტეტის 2001-ე და 2002-ე შეხვედრებზე (CCPR/C/SR.2001, 2002), 2002 წლის 28 მარტს მიიღო დასკვნითი შენიშვნები. თარგმნილია Human Rights Watch-ის მიერ.

სხვა დარღვევებთან ერთად შენიშვნების მე-17 მუხლში საუბარია რელიგიის თავისუფლების დარღვევაზე. კერძოდ, მასში მითითებულია, რომ:

„კომიტეტი ღრმა შეშფოთებას გამოხატავს რელიგიის ნიადაგზე შეუწყნარებლობის ფაქტების ზრდისა და სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების, განსაკუთრებით იეღოვას მოწმეების წინააღმდეგ ძალადობის გახშირებასთან დაკავშირებით;

ხელისუფლებამ უნდა მიიღოს საჭირო ზომები, რათა უზრუნველყოს პიროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, როგორც ამას პაქტის[1] მე-18 მუხლი მოითხოვს. მან აგრეთვე უნდა:

ა) გამოიძიოს და სამართალში მისცეს რელიგიურ უმცირესობებზე ძალადობის დოკუმენტებით დასაბუთებული ფაქტები;

ბ) დასაჯოს ამ დანაშაულთა ჩამდენნი;

გ) აწარმოოს რელიგიური შემწყნარებლობის მიზნით საზოგადოებრივი საგანმანათლებლო კამპანიები და განმანათლებლობის მეშვეობით აღკვეთოს რელიგიისა და რწმენის ნიადაგზე არსებული შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია“.

მე-19 მუხლში კი მითითებულია, რომ:

„კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს იმ წინააღმდეგობებთან დაკავშირებით, რომლებსაც აწყდებიან უმცირესობები თავიანთი კულტურული, რელიგიური ან პოლიტიკური თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობების ეფექტიანი დაცვა დისკრი-

---

[1] იგულისხმება გაეროს 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ.

მინაციისაგან და უნდა უზრუნველყოს ასეთი უმცირესობების მიერ საკუთარი კულტურისა და ენის თავისუფალი პრაქტიკა, პაქტის 27-ე მუხლის შესაბამისად."

23-ე მუხლში კი მითითებულია, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებისაგან მესამე პერიოდული მოხსენების წარმოდგენას მოითხოვს 2006 წლის 1 აპრილისათვის.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, გაეროს 1966 წლის საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ნაკისრი ვალდებულებების პრაქტიკაში განხორციელება წევრ-სახელმწიფოებში, მათ შორის, საქართველოში (როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული), გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მუდმივი ზრუნვის საგანს შეადგენს.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბრის 2200 (XXI) რეზოლუციით მიღებული საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, მართალია, ეხება რელიგიურ უფლებებს, მაგრამ შედარებით შეზღუდულია მასშტაბებით.

ამ პაქტში (მე-13 მუხლი, პუნქტი 1) მითითებულია ყველა რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების, შემწყნარებლობისა და მეგობრობის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტი აღნიშნავს, რომ საჭიროა პატივი ვცეთ მშობლების თავისუფლებას, უზრუნველყონ ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი რწმენის შესაბამისად.

რაც შეეხება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ცხოვრებაში გატარების სისტემას, ის არცთუ ისე ეფექტიანი გამოდგა. მართალია, 1986 წელს შეიქმნა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ

უფლებათა კომიტეტი,[1] მაგრამ რელიგიურ უფლებათა და მათ დარღვევათა სფეროში კომიტეტის მუშაობა ჯერჯერობით არცთუ ისე შედეგიანია.

ადამიანის რელიგიურ უფლებათა დაცვის, რელიგიური შეუწყნარებლობისა და რელიგიის ან რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ აქტს ამჟამად წარმოადგენს „დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ", რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებულ იქნა 1981 წლის 25 ნოემბერს 36/55 რეზოლუციით.

მოცემული დეკლარაციის შექმნის ერთ-ერთ პირობად იქცა გაეროს სხვადასხვა ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებები, რომლებიც მოუწოდებენ მომზადებულიყო ერთნაირი ტიპის, მაგრამ ერთმანეთისაგან განცალკევებული დეკლარაციები და კონვენციები, რომლებშიც ასახვას ჰპოვებდა რასობრივი და რელიგიური დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის გამოვლინება. ამ ორი პრობლემის ურთიერთდაცალკევება განაპირობა იმან, რომ ე. წ. „მესამე სამყაროს ქვეყნები" მეტად დაინტერესებულნი იყვნენ რასიზმის თემასთან დაკავშირებული დოკუმენტის მიღებაში, ხოლო რელიგიის თემისადმი შედარებით გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდნენ.[2]

გარდა აღნიშნულისა, ამ მიმართებით გავლენას ახდენდა გაეროში გავრცელებული თეორიული მოსაზრება, რომლის თანახმად, არსებობს პრინციპული განსხვავება რელიგიურ გრძნობებზე დაფუძნებულ შეუწყნარებლობასა და იმ სიძულვილსა თუ

---

[1] იხ. Philip Alston, "The Committee on Economic, Social and Cultural Rights", in Alston, ed., The United Nations and Human Rights, pp. 473-508.

[2] იხ. Lerner, "Group Rights and Discrimination in International Law", p-46.

დისკრიმინაციას შორის, რომელიც რასობრივ სხვადასხვაობას ემყარება. ამ მიზეზებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ გაეროში მეტად სწრაფად მომზადდა ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეეხებოდა რასობრივ დისკრიმინაციას, ხოლო სამართლებრივი აქტების შექმნა რელიგიური დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის სფეროში კი უაღრესად ნელი ტემპით წარიმართა.

გაეროს საქმიანობა რელიგიისა და რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ლიკვიდაციის პრობლემაზე დეკლარაციის შესაქმნელად რამდენიმე წლის მანძილზე ძირითადად ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ დანიშნული ჯგუფების საქმიანობით შემოიფარგლებოდა. ამ კომიტეტმა მხოლოდ 1981 წელს მოახერხა აღნიშნული დეკლარაციის პროექტის მომზადება, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული ორი ათეული წლის უკიდურესად დაძაბული და ინტენსიური მუშაობის შედეგად.

დეკლარაციის მიღებას დიდად შეუწყო ხელი მსოფლიოს რიგი ქვეყნების მთავრობათა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ინტენსიურმა ლობირებამ და ზეწოლამ, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ადამიანის რელიგიურ უფლებათა დაცვის მხარდაჭერით. დეკლარაციის მიღების სულ ბოლო მომენტამდე ტარდებოდა რთული კონსულტაციები და მოლაპარაკებები, რაც განსახილველი პრობლემის სირთულითა და დელიკატურობით იყო განპირობებული.

აღნიშნული დეკლარაციის შედგენისას წამოჭრილ პრობლემათაგან ერთ-ერთი ყველაზე რთულად გადასაჭრელი გახდა ტერმინ „რელიგიის" განმარტება.

კომუნისტური ქვეყნების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ სიტყვის „რელიგია" ხმარება აშკარა სახით არ გულისხმობს შემწყნარებლობის პრინციპის გავრცელებას „ათეისტურ შეხედულებებზე". ისინი მიუთითებდნენ, რომ საჭიროა დეკლარაციამ

უზრუნველყოს აბსოლუტურად თანაბარი მიდგომა როგორც მორწმუნეთა, ისე არამორწმუნეთა მიმართ და რომ ამ მიმართებით ტექსტი ცალმხრივობის მატარებელია;

იმავდროულად, დასავლეთის ქვეყნების, კერძოდ, აშშ-ის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ დეკლარაცია, მართალია, განკუთვნილია ადამიანის რელიგიურ უფლებათა დასაცავად, მაგრამ მასში შეიძლება ადეკვატური ასახვა ჰპოვოს ისეთი ადამიანების უფლებებმაც, რომლებიც არავითარ რელიგიას არ აღიარებენ, მაგალითად, მატერიალისტების, ათეისტებისა და აგნოსტიკოსების შეხედულებებმა. ამ საკითხის მეტად გამარტივებული და კომპრომისული გადაწყვეტილება იმაში გამოიხატა, რომ დეკლარაციის პრეამბულასა და 1-ლი მუხლის 1-ლ პუნქტში სიტყვა „რწმენის" შემდეგ ჩაიწერა სიტყვები: „თავისი არჩევანის მიხედვით".

დეკლარაციის შედგენისას უაღრესად სადავო გახდა საკითხი, რომელიც რელიგიის მიღებას ან მის შეცვლას უკავშირდებოდა. აღნიშნულმა პრობლემამ ადრეც გამოიწვია სირთულეები. კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის სამოქალაქო პაქტის მომზადების დროს. ამ მიმართებით ძირითადი წინააღმდეგობა მუსულმანური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა გასწიეს. მაგრამ, იმის გამო, რომ გაეროს წევრ-სახელმწიფოებს ამ დეკლარაციის მიღების დიდი სურვილი გააჩნდათ, ისინი შეეცადნენ აღნიშნულ საკითხში კომპრომისის მიღწევას, რაც იმაში გამოიხატა, რომ რელიგიის შეცვლის უფლება, თუმცა დეკლარაციაში პირდაპირ არ არის ნახსენები, მაგრამ არ ხდება მისი (რელიგიის შეცვლის უფლების) შეზღუდვაც.

მართალია, გაეროს „დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ" არ წარმოადგენს იურიდიულად

შემაკავშირებელ ვალდებულებას, მაგრამ სრული დამაჯერებლობით შეიძლება ითქვას, რომ მასში ჩამოყალიბებული დებულებები დღეისათვის საყოველთაოდ მიღებულ კანონებად არის ქცეული.[1]

„დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ" გამოაცხადა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, რომელიც:

„მხედველობაში იღებს, რომ თითოეული ადამიანისათვის ღირსებისა და თანასწორობის თანდაყოლილობა გაერთიანებული ერების ქარტიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია და თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ ვალდებულება იკისრა განახორციელოს ერთობლივი და დამოუკიდებელი ღონისძიებები გაერთიანებულ ერებთან თანამშრომლობით, ყველასათვის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემისა და დაცვისათვის, რასის, სქესის, ენის ან რელიგიის ნიშნით რაიმე განსხვავების გარეშე;

მხედველობაში იღებს, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტები აცხადებენ კანონის წინაშე თანასწორობას და დისკრიმინაციის დაუშვებლობას, აგრეთვე აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას;

მხედველობაში იღებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა, კერძოდ, აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უპატივცემულობამ და შელახვამ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, კაცობრიობას შედეგად მრავალი ტანჯვა და ომები მოუტანა, განსაკუთრებით როცა ის გამოიყენებოდა

[1] იხ. Freedom of religion or belief: laws affecting the structuring of religious communities. Organization for Security and Co-operation in Europe, Review Conference, September 1999, Office for Democratic Institutions and Human Rights, Background Paper, 1999/4 by Cole Durhum, p. 12 of 43.

სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევისა და ხალხებსა და ერებს შორის სიძულვილის დანერგვის საშუალებად;

<u>მხედველობაში იღებს,</u> რომ რელიგია ან რწმენა თითოეული მორწმუნისათვის წარმოადგენს მისი ცხოვრებისეული კონცეფციის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს და რომ რელიგიის ან რწმენის თავისუფლება სრულად უნდა იყოს დაცული და გარანტირებული;

<u>მხედველობაში იღებს,</u> რომ აუცილებელია რელიგიის ან რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების აღქმის, მათთან დაკავშირებული შემწყნარებლობისა და პატივისცემის განვითარება და უზრუნველყოფა იმისა, რომ დაუშვებელ იქნეს რელიგიის ან რწმენის გამოყენება ქარტიასთან, გაერთიანებული ერების სხვა შესაბამის დოკუმენტებთან და ამ დეკლარაციის მიზნებსა და პრინციპებთან შეუთავსებელი მიზნით;

<u>დარწმუნებულია,</u> რომ რელიგიის ან რწმენის თავისუფლება ასევე ხელს შეუწყობს მსოფლიოში მშვიდობის, სოციალური სამართლიანობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განვითარებას, აგრეთვე კოლონიალიზმსა და რასობრივ დისკრიმინაციასათან დაკავშირებული იდეოლოგიისა და პრაქტიკის აღმოფხვრას;

<u>შეშფოთებულია</u> მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში შეუწყნარებლობის გამოვლინებით და რელიგიის ან რწმენის ნიადაგზე დისკრიმინაციის არსებობით;

<u>მიზნად ისახავს</u> მიიღოს აუცილებელი ზომები შეუწყნარებლობის ნებისმიერი ფორმისა და გამოვლინების სწრაფი ლიკვიდაციისათვის და თავიდან აიცილოს ან ებრძოლოს რელიგიის ან რწმენის ნიადაგზე ყოველგვარ დისკრიმინაციას".

მოცემული დეკლარაციის 1-ლი და მე-6 მუხლი შეიცავენ იმ უფლებათა ჩამონათვალს, რომლებიც ადამიანის რელიგიურ უფლებათა სფეროში მინიმალურ სტანდარტებს წარმოადგენენ.

მუხლი 1 აგრძელებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის სულისკვეთებას, იმ გამონაკლისის გარდა, რომელიც რელიგიის შეცვლის საკითხს შეეხება.[1]

მოცემული დეკლარაციის 1-ლი მუხლი შეიცავს ტერმინს „თითოეული", ამდენად ეს დეკლარაცია გაგებულ უნდა იქნეს როგორც საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც იცავს როგორც ძირითადი ეროვნების მოქალაქეებს, ისე უცხოელებს, ქვეყანაში როგორც მუდმივად, ისე დროებით მცხოვრებთ.[2] 1-ლი მუხლის პუნქტი 1 აცხადებს სამ ფუძემდებლურ თავისუფლებას: აზრის, სინდისისა და რელიგიის (მათ შორის რწმენის თავისუფლებასაც პიროვნების არჩევანის მიხედვით). რელიგიის გარეგანი გამოვლინების (ღვთისმსახურება, რელიგიურ წეს-ჩვეულებათა დაცვა, პრაქტიკა და სწავლება) უფლების გარანტიები ამ დეკლარაციაში ზუსტად ისევეა ფორმულირებული, როგორც საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და განმარტებულ უნდა იქნეს მოცემული დეკლარაციის მე-6 მუხლში ჩამოთვლილი უფლებების გათვალისწინებით. მასში ნათქვამია:

„თითოეულ ადამიანს გააჩნია აზრის, სინდისისა და რწმენის თავისუფლება. ეს უფლება გულისხმობს ადამიანის თავისუფლებას — აღიარებდეს რელიგიას ან ატარებდეს რწმენას თავისი არჩევანის მიხედვით და თავისუფლებას — გამოხატოს, აღასრულოს, პრაქტიკულად განახორციელოს და ასწავლოს თავისი რელიგია ან ღვთისადმი რწმენა ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ".

მოცემული დეკლარაციის 1-ლი მუხლის პუნქტი 2 კრძალავს

---

[1] იხ. Partsch, Freedon of Consience and Expression, and Politicia Freedoms, p. 209.

[2] იხ. Odio Benito, Study of the Current Dimensions, p. 37.

იძულებას, რომელიც ზიანს აყენებს პიროვნების რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას. კერძოდ, მასში ნათქვამია:

„არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ზიანს აყენებს მის თავისუფლებას – აღიარებდეს რელიგიას ან ჰქონდეს რწმენა თავისი არჩევანის მიხედვით“.

ამასთან, რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლება ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს, როგორც ამას ითვალისწინებს 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი, კერძოდ:

„რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლება დაექვემ-დებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწი-ნებულია კანონით და აუცილებელია საზოგადოებრივი უშიშ-როების, წესრიგის, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.

გაეროს 1981 წლის ამ დეკლარაციის მე-2 და მე-3 მუხლი ერთხელ კიდევ ადასტურებენ საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ წარმოდგენილ ანტი-დისკრიმინაციულ ნორმებს.

მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი მიუთითებს, რომ: „არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს დისკრიმინაციას ნებისმიერი სახელმწიფოს, დაწესებულების, პირთა ჯგუფის ან პირის მიერ რელიგიის ან რწმენის საფუძველზე“. ასაბუთებს რა ამას, დეკლარაცია უფრო აფართოებს საზღვრებს, რადგან ის მხედველობაში იღებს როგორც სახელმწიფოებს, ისე კერძო პირებს.

დეკლარაციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი იმითაა საინტერესო, რომ მასში განსაზღვრულია, თუ რას ნიშნავს „რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია“, რომელიც გულისხმობს რელიგიის ან რწმენის საფუძველზე ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას, შეზღუდვას ან უპირატესობის

მინიჭებას, რომლის მიზანია ან რომელსაც შედეგად მოსდევს თანაბარ საწყისებზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარების, ამ უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის ან მათი გამოყენების შესუსტება ან სრული უარყოფა".

1981 წლის დეკლარაციის მე-3 მუხლი ხაზგასმით აღნიშნავს მე-2 მუხლში მოცემული ანტიდისკრიმინაციული ნორმების მნიშვნელობას და მიუთითებს, რომ: „რელიგიის ან რწმენის საფუძველზე ადამიანის დისკრიმინაცია წარმოადგენს მისი ღირსების შელახვასა და გაერთიანებული ერების ქარტიის პრინციპების უარყოფას, ამიტომ ერთა შორის მეგობრული და მშვიდობიანი ურთიერთობისათვის უნდა დაიგმოს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით გამოცხადებული და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტებით დეტალურად განსაზღვრული უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევა და დაბრკოლება".

დეკლარაციის მე-4 მუხლი, ისევე როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 და მე-3 მუხლი ასაბუთებს, რომ:

„1. ყველა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ქმედითი ზომები სამოქალაქო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარების, სარგებლობის ან გამოყენებისას რელიგიის ან რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის თავიდან აცილების ან ლიკვიდაციისათვის.

2. ყველა სახელმწიფომ უნდა მიმართოს ძალისხმევა ნებისმიერი ასეთი დისკრიმინაციის აკრძალვის მიზნით შესაბამისი კანონმდებლობის მისაღებად, ან თუ საჭიროა, არსებულის გასაუქმებლად და მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობასთან საბრძოლველად".

როგორც ვხედავთ, მე-4 მუხლი ერთხელ კიდევ ადასტურებს და უფრო აკონკრეტებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს ადამიანის რელიგიური თავისუფლებების დარღვევებთან ბრძოლის ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავების თვალსაზრისით.

1981 წლის დეკლარაციის მე-5 მუხლი დეტელურად წარმოგვიდგენს მშობლებისა და ბავშვების უფლებებს მათ რელიგიასა და რწმენასთან მიმართებაში.

ეს ის უფლებებია, რომლებიც წარმოდგენილი იყო 1966 წლის საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, კერძოდ, მას მიეძღვნა მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი.

1981 წლის დეკლარაციის მე-5 მუხლი სრულ შესაბამისობაში იმყოფება აგრეთვე „ბავშვის უფლებათა კონვენციის"[1] შესაბამის მუხლებთან.

1981 წლის დეკლარაციის მე-5 მუხლი მიუთითებს, რომ:

„1. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევაში, ბავშვის კანონიერ მეურვეებს უფლება აქვთ წარმართონ ოჯახური ცხოვრება თავიანთი რელიგიის ან რწმენის შესაბამისად და მისცენ ბავშვს ის მორალური განათლება, რომლის საფუძველზეც, მათი აზრით, უნდა აღიზარდოს იგი;

2. ყოველ ბავშვს აქვს რელიგიისა და რწმენის საკითხებში განათლების ხელმისაწვდომობის უფლება მისი მშობლების, ან

---

[1] „ბავშვის უფლებათა კონვენცია" მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად გაეროს გენერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის 44/25 რეზოლუციით; ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს აღნიშნული კონვენციის მე-5 მუხლი, რომელიც ეხება „შშობელთა უფლებებსა და მოვალეობებს" და მე-14 მუხლი, რომელიც ეძღვნება ბავშვის უფლებას „აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებაზე".

შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურვის სურვილის შესაბამისად და უფლება, არ დაექვემდებაროს აღნიშნული საკითხის იძულებით, სწავლებას მისი მშობლების ან კანონიერი მეურვის სურვილის საწინააღმდეგოდ; ნებისმიერ შემთხვევაში ბავშვის ინტერესებს უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება;

3. ბავშვი დაცული უნდა იყოს რელიგიის ან რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან. იგი უნდა აღიზარდოს ურთიერთგაგების, შემწყნარებლობის, ხალხთა შორის მეგობრობის, მშვიდობისა და საყოველთაო ძმობის, სხვათა რელიგიისა და რწმენის პატივისცემის სულისკვეთებით და იმის გაცნობიერებით, რომ მისი ენერგია და ნიჭი მოხმარდეს მის თანამედროვეობას;

4. იმ ბავშვებთან, რომლებიც მშობლების ან მეურვეების მზრუნველობის ქვეშ არ იმყოფებიან, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს რელიგიასთან და რწმენასთან დაკავშირებით მათ მიერ გამოხატულ სურვილს ან ამ სურვილის არსებობის დამადასტურებელ სხვა გარემოებებს, ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით;

5. რელიგიასა და რწმენასთან დაკავშირებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ბავშვი იზრდება, არ უნდა იყოს საზიანო მისი ფიზიკური ან გონებრივი ჯანმრთელობის ან სრული განვითარებისათვის, ამ დეკლარაციის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მხედველობაში მიღებით".

1981 წლის დეკლარაციის მე-6 მუხლი შეიცავს აზრის, რელიგიის ან რწმენის თავისუფლების უფლებათა კონკრეტულ ჩამონათვალს. ეს გახლავთ უფლებათა დაწვრილებითი ჩამონათვალი, რომელიც აღნიშნულ სფეროში მიღებულ მინიმალურ საერთაშორისო სტანდარტებს ეფუძნება.

მართალია, ეს ჩამონათვალი არ მოიცავს ზოგიერთ უფლებას, მთლიანობაში ის მეტად მრავალმხრივია, თუმცა არა

ყოვლისმომცველი. კონკრეტულად, მე-6 მუხლი მიუთითებს, რომ:

„ამ დეკლარაციის პირველი მუხლისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების შესაბამისად, აზრის, სინდისის, რელიგიის ან რწმენის თავისუფლება გულისხმობს ინტერ ალია, შემდეგ თავისუფლებებს:

ა) აღმსარებლობის ან რელიგიასთან ან რწმენასთან დაკავშირებული შეკრებებისა და ამ მიზნით შესაბამისი ადგილების დაფუძნებისა და შენარჩუნების თავისუფლება;

ბ) შესაბამისი საქველმოქმედო და ჰუმანიტარული დაწესებულებების დაფუძნებისა და შენარჩუნების თავისუფლება;

გ) რელიგიასა და რწმენასთან დაკავშირებული რიტუალებისა და ჩვეულებების შესახებ ყველა აუცილებელი სტატიისა და სხვა მასალის შექმნის, მოპოვებისა და შესაბამისი მოცულობით გამოყენების თავისუფლება;

დ) აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული პუბლიკაციების შექმნის, გამოცემისა და გავრცელების თავისუფლება;

ე) რელიგიისა და რწმენის სწავლების თავისუფლება ამ მიზნისათვის შესაფერის ადგილებში;

ვ) პიროვნებებისა და დაწესებულებებისაგან ფინანსური და სხვა შემოწირულობების მოძიებისა და მიღების თავისუფლება;

ზ) რელიგიისა და რწმენის მოთხოვნილებებისა და სტანდარტების შესაბამისად ლიდერების წვრთნის, დანიშვნის, არჩევის ან გამწესების თავისუფლება;

თ) რელიგიის ან რწმენის წესების მიხედვით დასვენების დღეების დაცვისა და დღესასწაულების აღნიშვნის თავისუფლება;

ი) პიროვნებებსა და საზოგადოებებთან რელიგიის ან რწმენის

საკითხებთან დაკავშირებით ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ურთიერთობების დამყარებისა და შენარჩუნების თავისუფლება".

მე-6 მუხლში მოცემულ ჩამონათვალში არაა ნახსენები ისეთი უფლებები, როგორიცაა ფედერაციების შექმნის უფლება, თითოეული რელიგიის წმინდა ენის შესწავლისა და საზღვარგარეთიდან პედაგოგების მოწვევის უფლება, სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება, რელიგიური მასალებისა და საგნების მიღების უფლება, ქვეყნის ფარგლებში და მის გარეთ რელიგიურ ადგილებში მომლოცველობის უფლება, ადამიანის უფლება, არ მოახდინოს ქორწინება რელიგიური ცერემონიალის შესრულების გზით, თუკი ეს არ შეესაბამება მის რწმენას, დაკრძალვის ცერემონიის ჩატარების უფლება გარდაცვლილი პიროვნების რელიგიის შესაბამისად.

დეკლარაციაში გამოტოვებულ ამ უფლებათაგან ზოგიერთი უკვე შეტანილია გაეროს ახალ კონვენციაში, რომლის მიღებაც მომავალში არის ნავარაუდევი.

მე-6 მუხლი შეიძლება შევადაროთ ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მონაწილე-სახელმწიფოთა ვენის შეხვედრის (1989) შემაჯამებელი დოკუმენტის მე-16 და მე-17 მუხლებს, რომლებიც შეიცავენ დეკლარაციაში გამოტოვებულ რიგ დებულებებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დეკლარაციის მე-6 მუხლი ეხება როგორც ინდივიდუალურ, ისე პიროვნების კოლექტიურ უფლებებსა და აგრეთვე უფლებებს, რომელთა განხორციელება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ჯგუფურად. ამ მიმართებით დეკლარაცია უფრო პროგრესული შინაარსის მქონეა მის წინამორბედ სამართლებრივ აქტებთან შედარებით. მხოლოდ ჯგუფებს შეუძლიათ ღვთისმსახურების ადგილებისა და დაწესებულებების შენახვა, რელიგიური ლიდერების დანიშვნა ან ფრაქციების შექმნა.

ამგვარად, 1981 წლის დეკლარაცია ითვალისწინებს რელიგიურ გაერთიანებათა ანუ კონგრეგაციების საჭიროებებს, რისი დაკმაყოფილებაც ვერ ხერხდება გაეროს არსებობის პირველ წლებში მიღებული სამართლებრივი აქტებით, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალურ უფლებებს ეფუძნებიან.

ამასთან, აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ მე-6 მუხლში მოყვანილი ბევრი მაგალითი, პრაქტიკული თვალსაზრისით, გულისხმობს იურიდიული პირის სტატუსის შეძენის შესაძლებლობას სამართლის სუბიექტებისათვის, რომელთა მეშვეობითაც რელიგიური გაერთიანებები ახორციელებენ თავის საქმიანობას.[1]

ამ მიმართებით გვინდა განვიხილოთ მე-6 მუხლის „თ" პუნქტში წარმოდგენილი „აღმსარებლობის ან რელიგიასთან ან რწმენასთან დაკავშირებული შეკრებებისა და ამ მიზნით, შესაბამისი ადგილების დაფუძნებისა და შენარჩუნების თავისუფლება".

მსოფლიოს ისტორია მრავლად იცნობს ისეთ სახელმწიფოებს, სადაც რელიგიურ ორგანიზაციებს ეკრძალებათ საკუთრების შეძენა ან მისი ფლობა. სავსებით გასაგებია, რომ ამ სახის აბსოლუტური აკრძალვა ლახავს „ა" პუნქტში აღიარებულ რელიგიურ გაერთიანებათა უფლებას, მოიწყონ ადგილები ღვთისმსახურებისა თუ საკულტო რიტუალების ჩასატარებლად. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მიმართებით აბსოლუტური აკრძალვა არ არსებობს, ღვთისმსახურებისათვის ადგილის შეძენა ან მისი იჯარით აღება, თუკი რელიგიურ ორგანიზაციას არ გააჩნია

---

[1] იხ. Freedom of religion or belief: Laws affecting the structuring of religious communities. Organization for Security and Co-operation in Europe. Review Conference. September 1999. Office for Democratic Institutions and Human Rights. Background Paper, 1999/4 by Cole Durhum. p. 17 of 43.

იურიდიული პირის სტატუსი, უაღრესად გაძნელებულია. თეორიულად სავსებით დასაშვებია, რომ მორწმუნეთა ჯგუფმა თავისი შეკრებები და ღვთისმსახურება მოაწყოს შენობაში, რომელიც ერთ-ერთ მორწმუნეს ეკუთვნის, ისევე როგორც მორწმუნეთ შეუძლიათ ისარგებლონ რელიგიური დანიშნულების საგნებით ან ლიტერატურით, რომელიც ერთ-ერთი მათგანის საკუთრებაა. მაგრამ ამ დროს შეიძლება თავი იჩინოს სერიოზულმა პრობლემებმა. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ გარდაიცვალა იმ შენობის მეპატრონე, სადაც რელიგიური ორგანიზაციის წევრები ატარებდნენ ღვთისმსახურებას, ასეთი შენობა გადადის მემკვიდრის საკუთრებაში, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება თანაუგრძნობდეს ან სულაც არ თანაუგრძნობდეს აღნიშნულ მორწმუნეებს; ან შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ისეთ ფაქტებსაც, როდესაც შენობის მეპატრონე აღმოჩნდეს დამნაშავე საგზაო-სატრანსპორტო ან კანონით გათვალისწინებული რაიმე სხვა შემთხვევაში და ღვთისმსახურების ადგილი დაკარგულ იქნეს სასამართლო დავის პროცესში.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მორწმუნეთა ჯგუფის წევრებს შეაქვთ ფულადი შენატანები შენობის შესაძენად ან იჯარით ასაღებად. ამდენად, ასეთი საკუთრების ერთპიროვნული მფლობელობის დაშვება ყოვლად გაუმართლებელია, რადგან მისი მესაკუთრე შეიძლება გამოვიდეს მოცემული რელიგიური გაერთიანებიდან ან აღნიშნული საკუთრება ისეთი მიზნებისათვის გამოიყენოს, რისი წინააღმდეგიც არიან ამ გაერთიანების დანარჩენი წევრები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე სამართლებრივ პირობებში, რელიგიური ორგანიზაციისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია იქონიოს შესაძლებლობა, დააარსოს და გააკონტროლოს იურიდიული პირის სტატუსის მქონე რაიმე სუბიექტი, რომელსაც შეუძლია ფლობდეს ქონებას, დადოს კონტრაქტები და საერთოდ, ფართოდ წარმართოს ორგანიზაციის

საერო საქმიანობა. ასეთი რელიგიური ორგანიზაციის საკუთრებაში შეიძლება იყოს როგორც სწავლების პროცესში გამოყენებული უძრავი ქონება (მუხლი 6, პუნქტი ე), ისე საკუთრება, რომელიც საჭიროა რელიგიური საქმიანობის, საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და საგამომცემლო სფეროებისათვის (მუხლი 6, პუნქტები ბ, დ და I).

ზემოთ აღნიშნული ასევე შეეხება მოძრავ (პირად) საკუთრებას, მათ შორის, წიგნებს, ტანსაცმელს, ტრანსპორტსა და კავშირის სხვა საშუალებებს, საკულტო საგნებსა და მის მსგავს საკუთრებას, რომელიც შეესაბამება მე-6 მუხლის „ა", „ვ" და „ი" პუნქტების კრიტერიუმებს.

აქედან გამომდინარე, ზოგიერთმა სახელმწიფომ უკვე შეიმუშავა ცალკეული რელიგიური ჯგუფების მიერ საკუთრების შეძენისა და მფლობელობის მექანიზმები. მიღებული სტრუქტურები უაღრესად მრავალფეროვანია. აქ შედის ტრესტები, გაერთიანებები, რეგისტრირებული გაერთიანებები, საზოგადოებრივი კორპორაციები, ოფიციალური ეკლესიები და ა. შ. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი სტრუქტურები შეესაბამებიან მე-6 მუხლს, ისინი რელიგიურ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევენ განახორციელონ ყველა სახის რელიგიური საქმიანობა, რომელიც იმავდროულად შესაბამისობაში იმყოფება ისეთ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტთან, როგორიცაა საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დეკლარაციის მე-6 მუხლი სამართლიანად აღიარებს ნებაყოფლობით შემოწირულობათა თხოვნისა და მიღების პრაქტიკულ მნიშვნელობას. ზუსტად ისევე, როგორც რელიგიურ ორგანიზაციას, არ შეუძლია თავისი საერო მოღვაწეობის განხორციელება შესაბამისი იურიდიული სტრუქტურის გარეშე, მას ასევე არ შეუძლია ფუნქციონირება დაფინანსების გარეშეც.

ამდენად, რელიგიური ორგანიზაციის მიერ იურიდიული სტატუსის მიღება იმიტომაც არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ის საშუალებას იძლევა ორგანიზაციამ განკარგოს ფინანსები რელიგიური თემის მრწამსის გათვალისწინებით, აგრეთვე მოიძიოს და გამოიყენოს დაფინანსების წყაროები კონკრეტული სახელმწიფოს საკონსტიტუციო წესრიგისა და იურიდიული სტრუქტურის ფარგლებში.

მე-6 მუხლის „ზ" პუნქტი ეძღვნება რელიგიური ორგანიზაციის შინაგანი საქმიანობის სფეროს და შეიცავს მისი ხელმძღვანელების წვრთნის, დანიშვნის, არჩევის ან გამწესების უფლებას იმისათვის, რომ კანონებმა რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ გაითვალისწინოს სხვადასხვა რელიგიურ თემებს შორის არსებული სხვაობა, საჭიროა ეს კანონები იყოს მეტად მოქნილი და რაიმე სერიოზულ საფრთხეს არ უქმნიდეს საზოგადოებრივ წესრიგს.

ცხადია, აღნიშნული არ უნდა გვესმოდეს ისე, თითქოს დასაშვებია მცდელობა, რელიგიური ორგანიზაცია ვაიძულოთ, რათა მან იქონიოს სახელმწიფო ორგანიზაციათა ანალოგიური სტრუქტურა. ასე, მაგალითად, თუ მოცემული სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგი დემოკრატიულია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა რელიგიური ორგანიზაცია ასევე დემოკრატიული უნდა იყოს. მრავალი რელიგიური თემის სტრუქტურა იერარქიულია და რელიგიის თავისუფლება მოიცავს სხვადასხვა რელიგიური თემების უფლების პატივისცემასაც, იქონიონ ასეთი სტრუქტურა.

აუცილებელია, კანონმდებლობა იურიდიული სუბიექტების საქმიანობის შესახებ იყოს საკმაოდ მოქნილი, რათა რელიგიურ ორგანიზაციებს საშუალება მიეცეთ, იმოქმედონ საკუთარი რელიგიური კულტის შესრულების ჩარჩოების მიღმაც.

მაგალითად, ცნობილია ისეთი ფაქტები, როდესაც რელიგიურ ორგანიზაციებს უკრძალავენ აწარმოონ ქველმოქმედება ან სწავლება. ასეთი შეზღუდვები აშკარად არღვევს რელიგიურ

ორგანიზაციათა უფლებებს, რომელიც მათ რელიგიაში ქველ-მოქმედებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობისათვის უდიდესი მნიშვნელობის მინიჭებას ეფუძნება. ამიტომ საჭიროა, თითოეული ქვეყნის კანონები ხელს კი არ უშლიდნენ, არამედ პირიქით, შესაბამისი იურიდიული სტრუქტურების მოძებნის მეშვეობით ეხმარებოდნენ რელიგიურ ორგანიზაციებს.

იურიდიული პირის ესა თუ ის სტატუსი რელიგიურ ჯგუფებს ხშირად დამატებით უპირატესობებს ანიჭებს. ეს არის პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსება, ისეთი წეს-ჩვეულებების შესრულების უფლება, რომელთაც გააჩნიათ კანონიერი ძალა; მაგალითად, ქორწინება, საპატიმროებსა და საავადმყოფოებში მყოფ ადამიანებზე ზრუნვის უფლება და ა. შ. ევროპის ქვეყნებისათვის სავსებით ჩვეულებრივად ითვლება რელიგიური სუბიექტების მრავალდონიანი სტრუქტურა, რომელიც მათ ისტორიულ და კულტურულ განსხვავებას ასახავს.

კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს რელიგიურ გაერთიანებათა მრავალდონიან სტრუქტურას, უნდა იყოს ისეთი, რომ დაბრკოლებას არ უქმნიდეს „დაბალ დონეებზე" მყოფ ორგანიზაციებს ან მცირე რელიგიურ თემებს, იქონიონ იგივე უფლებები, როგორც „მაღალ დონეებზე" მყოფმა ორგანიზაციებმა ან დიდმა რელიგიურმა თემებმა. მაგალითად, ასწავლონ თავისი თემის წევრებს, მოამზადონ ღვთისმსახურნი, მოინახულონ საავადმყოფოებსა და საპატიმროებში მყოფი პირები და იზრუნონ სამხედრო მოსამსახურეებზე.

სავსებით ნათელია, რომ დეკლარაციის მე-6 მუხლი სრულად არ ამოწურავს რელიგიურ თავისუფლებასთან დაკავშირებულ ყველა იურიდიულ ასპექტს, მაგრამ უდავოდ მოიცავს მათ უმრავლესობას.

ამასთან, თუმცა მე-6 მუხლი პირდაპირ არ შეიცავს იურიდიული პირის სტატუსის მიღების უფლებას, ზემოთ წარმოდგენილი

კომენტარი სავსებით გასაგებს ხდის, თუ რატომ წარმოადგენს ამგვარი სტატუსის მიღების შესაძლებლობა 1981 წლის დეკლარაციის გარდაუვალ შედეგს.[1]

გაეროს 1981 წლის დეკლარაცია „რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ" მნიშვნელოვანი მონაპოვარია რელიგიის სფეროში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფის საქმეში. რა თქმა უნდა, ეს დეკლარაცია არ წარმოადგენს შეთანხმებას და, ამდენად, მას არ გააჩნია სავალდებულო ხასიათი, თუმცა, როგორც გაეროს ოფიციალური და ავტორიტეტული განცხადება. საერთაშორისო თანამეგობრობაში რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან მიმართებაში გაბატონებული დამოკიდებულების გამომხატველია.

დეკლარაცია ნამდვილად გარკვეული სამართლებრივი ეფექტის მქონე დოკუმენტია, რომლის შესრულება იმდენად სასურველადაა მიჩნეული საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი-ქვეყნებისათვის, რომ მასში ჩამოყალიბებული დებულებანი უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს ზოგად საერთაშორისო სამართლის ნორმების გადმოცემად.[2]

რაც შეეხება დეკლარაციის შინაარსს, მასში შესული უფლებათა ჩამონათვალი უაღრესად სასარგებლოა, თუმცა როგორც

---

[1] იხ. Freedom of religion or belief: Laws affecting the structuring of religious communities. Organization for Security and Co-operation in Europe. Review Conference, September 1999, Office for Democratic Institutions and Human Rights. Background Paper 1999/4 by Cole Durhum, p. 14, of 43.

[2] იხ. Stephen Schwebel, "The Effect of Resolutions of UN General Assembly on Customary International Law", American Society of International Law, Proceedings of the 73 rd Annual Meeting. 1979, p. 31.

ადრეც აღვნიშნეთ, არ არის სრული. რამდენიმე რთულ საკითხში აუცილებელი გახდა კომპრომისზე წასვლა და შედეგად, მე-8 მუხლმა, რომელიც იმოწმებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, შესაძლებელი გახადა აღნიშნული დეკლარაციის მიღება გაეროს ყველა წევრი-სახელმწიფოს მიერ.

დეკლარაციაში რამდენიმე მუხლი არადამაკმაყოფილებლადაა ჩამოყალიბებული, რაც წარმოადგენს ხანგრძლივ მოლაპარაკებათა და მრავალრიცხოვან შესწორებათა შედეგს. მაგრამ საბოლოო ჯამში, აღნიშნული დეკლარაცია უდავოდ პროგრესულობის შემცველია ადამიანის უფლებათა ისეთ დელიკატურ სფეროში, როგორიცაა რელიგიისა და რწმენის თავისუფლება. მას სხვებთან შედარებით დიდი ხნის მანძილზე არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ 1981 წლის დეკლარაციამ „რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ" ჯერაც არ მოხსნა დღის წესრიგიდან შესაბამისი კონვენციების მიღების საკითხი. კერძოდ, ასეთი კონვენციის მიღების საკითხი განიხილა დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და უმცირესობათა დაცვის 1984 წლის სემინარმა, რომელიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების გაგების, პატივისცემისა და შემწყნარებლობის მხარდაჭერას ისახავდა მიზნად.[1] გაეროს გენერალურ ასამბლეას, რომელიც ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას ყველა სახის რელიგიური შეუწყნარებლობის აღკვეთაში, ბოლო დროს აღარ წამოუყენებია საკითხი კონვენციის მიღების შესახებ.

---

[1] იხ. Report by Kevin Boyle. UN Doc. ST/HR/Ser. A/16 1984. განსაკუთრებით პარაგრაფი 102 (q) კონვენციის შესაძლებლობის შესახებ.

თავის უკანასკნელ, 1993 წლის 20 დეკემბრის №48/128 რეზოლუციაში ასამბლეამ ყველა სახელმწიფოს მოუწოდა, მიიღონ სათანადო ზომები სიძულვილთან, შეუწყნარებლობასა და ძალადობის აქტებთან საბრძოლველად, მათ შორის, ისეთებთანაც, რომლებიც რელიგიური ექსტრემიზმითაა გამოწვეული. გარდა ამისა, გენერალური ასამბლეა მიესალმა 1981 წლის დეკლარაციის შესასრულებლად გადადგმულ ნაბიჯებს და ადამიანის უფლებათა კომისიას მოსთხოვა, გააგრძელოს მუშაობა ამ დოკუმენტის ცხოვრებაში გასატარებლად, საჭირო ზომების შესამუშავებლად.[1] აქ ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა 1993 წლის ვენის კონფერენციაზე, კონვენციის საკითხი არ ყოფილა განხილული.[2]

ამჟამად კონვენციის დაუმთავრებელი პროექტი იმ სახით, როგორითაც ის შეიმუშავა ადამიანის უფლებათა კომისიამ[3], შეიცავს პრეამბულას და 12 მუხლს, რამდენიმე დამატებით შემოთავაზებულ მუხლსა და აგრეთვე ქვეკომისიის მიერ მომზადებულ წინასწარ პროექტს დამატებითი აღმასრულებელი ზომების შესახებ. აღნიშნული პროექტი ასახავს იმ ტენდენციებს, რომელიც გაეროში ჭარბობდა კონვენციისა და 1981 წლის დეკლარაციის ერთდროულად განხილვის პროცესში. დეკლარაციისა და

---

[1] იხ. UN Press Release, GA/8637, 2 January, 1994, p. 394. თავის 49-ე სესიაზე გენერალურმა ასამბლეამ მიიღო იგივე მიდგომა (1994 წლის 23 დეკემბრის 49.188 რეზოლუცია).
იხ. UN Press Release GA/3860, 31 January, 1995, p. 313. აქამდე, გენერალურმა ასამბლეამ 1986 წლის 4 დეკემბრის თავის 41/20 რეზოლუციაში გამოაცხადა, რომ „საკითხი გადაწყვეტილ უნდა იქნას ჩვეულებრივი წესით, შესაბამისი მომზადების საფუძველზე".

[2] Венская декларация и программа действий. В Сб. Действующее Международное Право. Сборник документов. М., Изд-во Московского Независимого Института Международного Права, 1996, Т. I.

[3] იხ. UN. Doc. A/7930(1970)

კონვენციის პროექტის უმთავრეს მუხლებს შორის არსებული ძირითადი განსხვავება წარმოადგენს იმ შესწორებათა შედეგს, რომლებიც დეკლარაციის მომზადების ბოლო ეტაპებზე იქნა მიღებული.

კონვენციის პროექტით გათვალისწინებული აღმასრულებელი ზომები ანალოგიურია იმისა, რასაც შეიცავს სხვა ანტი-დისკრიმინაციული აქტები. იგი ძირითადად ეფუძნება მოხსენებებისა და ინდივიდუალური პეტიციების შესაძლებლობას, თუკი შესაბამისი მონაწილე-სახელმწიფო ცნობს კომიტეტის კომპეტენციას, რომლის შექმნაც ამ მიზნითაა ნავარაუდევი.

რამდენადაც აღნიშნულ კონვენციაზე მუშაობა შეფერხებულია, მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული 1981 წლის დეკლარაციის შესრულებაზე დაკვირვების ალტერნატიული მეთოდებისა და პროცედურების შემუშავება. ამ მიმართებით თავისი ძალისხმევა შეიძლება გააერთიანონ არასამთავრობო ორგანიზაციებმაც, რათა განახორციელონ საკუთარი დაკვირვება. პაქტის შესაბამისი მუხლების შესრულებასთან დაკავშირებით, ცხადია, თავისი მოვალეობები აკისრია გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიასაც. აღნიშნული მიზნით გაეროში ასევე ნავარაუდევია სამუშაო ჯგუფების შექმნაც, მსგავსად სხვა უკვე არსებული ჯგუფებისა. ნებისმიერ შემთხვევაში, 1981 წლის დეკლარაციით გამოცხადებული უფლებები და თავისუფლებები გათვალისწინებული უნდა იქნეს მონაწილე-სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობაში; მათი კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი საერთაშორისო მინიმალურ სტანდარტებთან, რათა თითოეულს ჰქონდეს ამ უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკაში გამოყენების საშუალება.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ და დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიამ სპეციალური მომხსენებელი დანიშნა დეკლარაციის შესრულების თაობაზე კვლევის ჩასატარებლად და ანგარიშების წარსადგენად.

აღნიშნულ კომისიას მეტად საყურადღებო ანგარიშები წარუდგინეს 1986 წელს დანიშნულმა სპეციალურმა მომხსენებელმა ანჟელო ვიდალ დ'ალმეიდა რიბეირომ,[1] 1993 წელს დანიშნულმა ახალმა სპეციალურმა მომხსენებელმა აბდელფატტახ ამორმა და 1983 წელს დანიშნულმა ქვეკომისიის სპეციალურმა მომხსენებელმა ოდიო ბენიტომ. სწორედ ამ უკანასკნელს დაევალა რელიგიისა და რწმენის საფუძველზე არსებული შეუწყნარებლობის პრობლემის ყოველმხრივი შესწავლა 1981 წლის დეკლარაციის ჩარჩოებში.

სპეციალური მომხსენებლის მიერ გაკეთებულ ანგარიშებში წარმოდგენილია ადამიანის რელიგიურ უფლებათა სფეროში მსოფლიოში არსებული სიტუაციის მეტად ფართო და საყურადღებო სურათი. სპეციალურმა მომხსენებელმა გაეროს წევრ-სახელმწიფოთა შორის გააგზავნა კითხვარები; მათზე მიღებული პასუხები და შეტყობინებები კი საფუძვლად დაედო ამ მომხსენებელთა მიერ გაეროში წარდგენილ ანგარიშებს. გარდა ამისა, მომხსენებლები აანალიზებდნენ რელიგიურ უფლებათა სფეროში არსებულ მდგომარეობას, კომენტარს უკეთებდნენ ცალკეულ შეტყობინებებში ასახულ პრობლემებს, იძლეოდნენ დასკვნებს და შეიმუშავებდნენ რეკომენდაციებს.

სპეციალური მომხსენებელი ოდირ ბენიტო თავის გამოკვლევაში იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ტერმინი „რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია" მოიცავს არა მხოლოდ დისკრიმინაციას, არამედ აგრეთვე იმ მოქმედებებს, რომლებიც ცალკეული პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ სიძულვილის ან დევნისკენ აქეზებენ. მომხსენებელი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში

---

[1] იხ. E/CN. 4/1987/35, 1988/45, 1989/44, 1990/56, 1992/52 და 1993/62, აგრეთვე Corr. 1 და Add 1.

1966 წლის პაქტსა და 1981 წლის დეკლარაციაში წარდგენილი რელიგიის შეცვლის ან საერთოდ, ნებისმიერ რელიგიაზე უარის თქმის უფლება, იდენტური შინაარსის მქონეა. ადამიანის ყველა სხვა უფლებათა განხორციელება მჭიდროდ უკავშირდება აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების განხორციელებას.

მსოფლიო პრაქტიკაში მრავლადაა ცნობილი ისეთი ფაქტები, როდესაც რელიგიურ უფლებათა დარღვევა იწვევს ადამიანის მრავალ სხვა ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევას, მათ შორის, სიცოცხლის უფლების დარღვევასაც. ოდიო ბენიტოს გამოკვლევა შეიცავს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში აღნიშნულ ამგვარ დარღვევათა სრულ ჩამონათვალს, ასევე ეხება ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებას რიგ სახელმწიფოთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ოდიო ბენიტო ვერ იძლევა ზუსტ დასკვნას იმის თაობაზე, მსოფლიოში არსებულ საკონსტიტუციო სისტემათაგან რომელიმე თუ წარმოშობს რელიგიურ შეუწყნარებლობას და რა მასშტაბით, თუმცა ის მიუთითებს, რომ მსოფლიოში არსებული მდგომარეობა მთლიანობაში მაინც არ პასუხობს 1981 წლის დეკლარაციაში წარდგენილ სტანდარტებს.

ოდიო ბენიტო რეკომენდაციას იძლევა, რათა საერთაშორისო თანამეგობრობამ გააგრძელოს თავისი ძალისხმევა რელიგიისა და რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ლიკვიდაციის პრობლემასთან დაკავშირებული სპეციალური კონვენციის შესაქმნელად, რაც სავსებით ეთანხმება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების გაგების, შემწყნარებლობისა და პატივისცემის საკითხების მხარდაჭერისადმი მიძღვნილი გაეროს 1984 წლის სემინარის დასკვნებს. გარდა აღნიშნულისა, ოდიო ბენიტო გაეროს სთავაზობს, ცალკე კვლევა აწარმოოს რიგი პრობლემების თაობაზე, როგორიცაა:

1. ქალთა დისკრიმინაცია ზოგიერთ ეკლესიასა და რელიგიაში;

2. დისკრიმინაცია იმ საუკუნოვან ტრადიციულ რელიგიათა მიმართ, რომლებიც არ მიეკუთვნება „ძირითად რელიგიათა" ჯგუფს;

3. ახალი რელიგიებისა და პრაქტიკულად მოქმედი ჯგუფების დისკრიმინაცია.

ზემოთ აღნიშნული კონვენციის მიღების მოლოდინში, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს აღმასრულებელ ზომებს, საჭიროდ იქნა მიჩნეული სპეციალური საინფორმაციო სისტემის შექნა. ასეთი საინფორმაციო სისტემა ადამიანის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებულ ორგანოებს საშუალებას მისცემს, გულდასმით გააკონტროლონ აღნიშნულ სფეროში შექმნილი სიტუაცია იმ შეთანხმებათა მეშვეობით, რომელთა დადების უფლება გააჩნია ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს გაეროს წესდების 64-ე მუხლის ჩარჩოებში.[1]

გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის წინა სპეციალურმა მომხსენებელმა ანჟელო ვიდალ დ'ალმეიდა რიბეირომ წარმოადგინა შვიდი დაწვრილებითი და დასაბუთებული ანგარიში. ამ ანგარიშებში მან გადმოგვცა რიგი სახელმწიფოებისათვის წაყენებული ბრალდებები მათთან არსებულ იმ სიტუაციებთან დაკავშირებით, რომლებიც არ პასუხობს 1981 წლის დეკლარაციის დებულებებსა და აგრეთვე, შესაბამის მთავრობათაგან მიღებული ახსნა-განმარტებანი მათთვის წაყენებული ბრალდებების თაობაზე. სპეციალური მომხსენებელი მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, იმ პრობლემებისა და ფაქტორების გამოვლენას, რომელთაც შეეძლო დაებრკოლებინა დეკლარაციის შესრულება მთლიანობაში და, მეორე მხრივ, კონკრეტულ სიტუაციათა შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის შეგროვებას. ის მთავრობებს უგზავნიდა კითხვარებს და მიღებული პასუხების საფუძველზე აწარმოებდა მათთან

---

[1] იხ. Elisabet Odio Benito. Study of the Current Dimensions of the Problems of Intolerance and Discrimination Based on Religion or Belief (UN Doc. E/CN.4/Sub. 2/1987/26.3), pp. 21, 25, 37, 49.

დიალოგს. გარდა აღნიშნულისა, ანჟელო რიბეირა უშუალოდ მიმართავდა იმ ქვეყნების მთავრობებს, რომელთაც ჰქონდათ წაყენებული ბრალდება. თავის ანგარიშებში ის ფართოდ იყენებდა აგრეთვე არასამთავრობო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, მათ შორის, ცხადია, რელიგიური ჯგუფებიდან და ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი ინფორმაციის ჩათვლით.

განხილული შემთხვევები შეეხებოდა განსხვავებული სამართლებრივი პოლიტიკური სისტემების პირობებში მცხოვრები ადამიანების სხვადასხვაგვარ რელიგიურ მრწამსს, რაც მსოფლიოს რეგიონთა უმრავლესობაში იქნა გამოკვლეული. როგორც სპეციალურმა მომხსენებელმა მიუთითა, ბრალდებათა უმრავლესობა შეეხებოდა:

1. უფლებას – აღიარებდეს ამა თუ იმ რელიგიას ან მრწამსს თავისი არჩევანის მიხედვით;

2. უფლებას – შეიცვალოს თავისი რელიგია;

3. უფლებას – გამოხატოს, აღასრულოს, პრაქტიკულად განახორციელოს თავისი რელიგიური წეს-ჩვეულებანი, რიტუალები, დღესასწაულები და ცალკეული ცერემონიალები საჯაროდ ან კერძოდ, და საერთოდ, არ დაექვემდებაროს დისკრიმინაციას ზემოთ აღნიშნული მიზეზებით.

1981 წლის დეკლარაციის დებულებათა დარღვევა უარყოფითად აისახა სხვა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე, კერძოდ, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ხშირად გაისმოდა ბრალდებები მასობრივი ძალადობის განხორციელების თაობაზე.

სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა ზოგიერთი დადებითი შედეგიც და ხაზგასმით მიუთითა სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა შორის დიალოგის განხორციელების აუცილებლობაზე.[1]

[1] იხ. Angelo Vidal d'Almeida Ribeiro, 7 ანგარიში, E/CN.4/1987/35, 1988/45, 1989/44, 1990/56, 1992/52 და 1993/62, და აგრეთვე Corr1 და Add1.

თანამედროვე კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა სფეროში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კოლექტიურ და ჯგუფურ უფლებებს, მაშინ, როდესაც გაეროს შექმნის პირველ წლებში საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესთა სფერო არ სცილდებოდა ფუნდამენტურ ინდივიდუალურ უფლებათა სფეროს.

რელიგიისა და რწმენის პრობლემასთან დაკავშირებული ბოლო დროის ღონისძიებებიდან აღსანიშნავია 1993 წლის ივნისში ვენაში გაეროს ეგიდით ჩატარებული ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენცია. ამ კონფერენციას დაესწრო მრავალი მონაწილე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. უშუალოდ კონფერენციის წინ და აგრეთვე მასთან ერთდროულად, მიმდინარეობდა მრავალრიცხოვან არასამთავრობო ორგანიზაციათა, მათ შორის, რელიგიურ ორგანიზაციათა შეხვედრები. ვენის კონფერენციის შედეგებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში.

ვენის დეკლარაცია და მოქმედებათა პროგრამა რელიგიური თავისუფლების საკითხს ერთადერთ პარაგრაფში ეხება.[1] ვენის მსოფლიო კონფერენციამ აღნიშნული დოკუმენტის II ბ.1 ნაწილში (რასიზმი, რასობრივი დისკრიმინაცია, ქსენოფობია და შეუწყნარებლობის სხვა სახეები) ყველა ქვეყნის მთავრობებს მოსთხოვა, ცნონ ყოველი ადამიანის აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; აგრეთვე, მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა, შესაბამისად მათი საერთაშორისო ვალდებულებებისა და საკუთარი კანონმდებლობისა, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ რელიგიისა

---

[1] იხ. Венская декларация и программа действий. В Сб. Действующее Международное Право. Сборник документов. М., Изд-во Московского Независимого Института Международного Права, 1996, Т. I, примечание 104.

და რწმენის საფუძველზე აღმოცენებულ შეუწყნარებლობას და ძალადობას, მათ შორის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციისა და რელიგიურ ადგილთა შეურაცხყოფის, წაბილწვის ჩათვლით. გარდა ამისა, ვენის კონფერენციამ მოუწოდა ყველა სახელმწიფოს, რომ მათ ცხოვრებაში გაატარონ გაეროს დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ.

ვენის 1993 წლის დეკლარაცია შეეხო უმცირესობათა უფლებებსაც, თუმცა ამ მიმართებით ის შედარებით უფრო ნაკლებად კონკრეტული შინაარსის მქონეა, ვიდრე გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1992 წლის 18 დეკემბერს მიღებული დეკლარაცია იმ პირთა შესახებ, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს.[1] ამ დოკუმენტს ნათლად ემჩნევა 1966 წლის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის" გავლენა. ეს პაქტი უდავოდ არ არის ორიენტირებული მორწმუნეთა ჯგუფების უფლებათა დაცვაზე, თუმცა მასში მაინც ვხედავთ გარკვეულ დათმობებს. რაც იმითაა განპირობებული, რომ თანამედროვე პირობებში გადაუდებელ ამოცანად არის მიჩნეული ეთნიკური, რელიგიური ან კულტურული ჯგუფების უფლებების დაცვაზე სპეციალური ზრუნვა. აღნიშნული დოკუმენტის პრეამბულაში ნახსენები 1981 წლის დეკლარაცია და 1-ლი მუხლი მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, დაიცვან უმცირესობათა თავისუფლება, მათ შორის, რელიგიური თვითმყოფადობა და ხელსაყრელი პირობები შეუქმნან მისი მხარდაჭერისათვის.

1992 წლის დეკლარაციის მე-4 მუხლი ადასტურებს, რომ

---

[1] იხ. Natan Lerner, "The 1992 UN Declaration on Minorities", Israel Yearbook on Human Rights, 1993, #23. pp. 111-128.

ადამიანებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, გამოხატონ თავიანთი თავისებურებები და განავითარონ საკუთარი კულტურა, ენა, რელიგია, ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაღაც კონკრეტული პრაქტიკა იწვევს ეროვნული კანონმდებლობის დარღვევას ან ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

მე-2 მუხლი უფლებას ანიჭებს ადამიანებს, რომლებიც ამა თუ იმ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, იქადაგონ და პრაქტიკულად განახორციელონ საკუთარი რელიგია და აქტიური მონაწილეობა მიიღონ კულტურულ, რელიგიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უმცირესობათა წარმომადგენლებს უფლება აქვთ, შექმნან და აფუნქციონერონ საკუთარი გაერთიანებები ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, იქონიონ თავისუფალი და მშვიდობიანი კონტაქტები როგორც თავიანთი ჯგუფის სხვა წევრებთან, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეებთან, რომლებთანაც გააჩნიათ რელიგიური თუ სხვა სახის კავშირები.

როგორც თელ-ავივის უნივერსიტეტის ცნობილი მკვლევარი ნათან ლერნერი მიუთითებს, გაეროს 1992 წლის დეკლარაცია უმცირესობათა შესახებ გარკვეულად კომპრომისული და, ამასთან, პროგრესული შინაარსის მქონეა 1966 წლის პაქტის 27-ე მუხლთან შედარებით და რომ ამ თვალსაზრისით მან გაეროს 1981 წლის დეკლარაციის მნიშვნელოვანი გავლენა განიცადა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გაერომ მეტად მნიშვნელოვნად ჩათვალა ყურადღების გამახვილება ბავშვთა რელიგიურ უფლებებზე. ამას სპეციალური ადგილი დაეთმო „ბავშვის უფლებათა კონვენციაში", რომელიც მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის 44/25 რეზოლუციით.[1]

---

[1] იხ. Geroldine van Bueren, International Law and the Rights of the Child (Dordrecht/Boston/London, 1993).

ბავშვის უფლებათა კონვენციის პრეამბულაშივე მითითებულია, რომ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ბავშვი სრულყოფილად იქნას მომზადებული, ის უნდა აღიზარდოს გაეროს წესდებაში გამოცხადებული იდეალების სულისკვეთებით. მათ – შორის მნიშვნელოვნად არის მიჩნეული შემწყნარებლობაც.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლში კი მითითებულია, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ და უზრუნველყონ მათი იურიდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლება, რომელიც ამ დეკლარაციით არის გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, მათ შორის, განურჩევლად ბავშვის რელიგიისა. ამავე მუხლში მითითებულია, რომ: „მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა დისკრიმინაციის ყველა იმ ფორმისა და სასჯელისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკავშირდება ბავშვის, ბავშვის მშობლის, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა... მიერ... გამჟღავნებულ მრწამსს“ (ცხადია, აქ იგულისხმება რელიგიური მრწამსიც).

ბავშვის რელიგიურ უფლებათა თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა კონვენციის მე-5 და მე-14 მუხლები.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-5 მუხლი ეძღვნება მშობელთა უფლებებსა და მოვალეობებს. კერძოდ, მასში მითითებულია, რომ:

„მონაწილე სახელმწიფოები პატივს მიაგებენ მშობლებისა და შესაბამის შემთხვევებში, ადგილობრივი ადათ-წესების შესატყვისად ფართოდ გაგებული ოჯახის წევრების ან თემის, მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც კანონის მიხედვით პასუხისმგებელნი არიან ბავშვებზე, იმაზე, რომ სათანადოდ ხელმძღვანელობდნენ ბავშვის წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განხორციელებაში და აკეთებდნენ ამას ბავშვის უნართა განვითარების გათვალისწინებით“.

კონვენციის მე-14 მუხლი ეძღვნება ბავშვის „აზრის, სინდისისა და რელიგიური რწმენის თავისუფლებას“. მასში აღნიშნულია, რომ:

„1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის აზრის, სინდისისა და რელიგიური რწმენის თავისუფლებას;

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობელთა და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერ მეურვეთა უფლებებსა და მოვალეობებს, უხელმძღვანელონ ბავშვს მისი უფლებების იმ მეთოდით განხორციელებაში, რომელიც შეესატყვისება ბავშვის განვითარებად უნარს.

3. რელიგიური აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ზნეობისა და ჯანმრთელობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის“.

ბავშვის უფლებათა კონვენცია ყურადღებას ამახვილებს განათლებისა და რელიგიის მიმართებაზე. აღნიშნულ საკითხს ეძღვნება კონვენციის 29-ე მუხლი, რომელშიც მითითებულია, რომ ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს თავისუფალ საზოგადოებაში ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის... ეროვნული და რელიგიური ჯგუფების... მიმართ თანასწორობისა და მეგობრობის სულისკვეთებით ბავშვის შეგუებული ცხოვრებისათვის მომზადებისაკენ.

კონვენციის 30-ე მუხლი კი ეხება იმ ბავშვთა უფლებებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ამა თუ იმ უმცირესობებს, მათ შორის, რელიგიურს. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ: „იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობენ... რელიგიური უმცირესობები... ბავშვს, რომელიც ასეთ უმცირესობას... მიეკუთვნება, არ შეიძლება უარი ეთქვას

უფლებაზე, რომ თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად... აღიაროს თავისი რელიგია და შეასრულოს მისი წეს-ჩვეულებები".

ამგვარად, როგორც ვხედავთ, რელიგიური უფლებების, ისევე როგორც სხვა უფლებების ჩამოყალიბების დროს, გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენცია" წინა პლანზე აყენებს ბავშვის ინტერესების გათვალისწინებას, რადგან ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება განსაკუთრებული დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით.

საჭიროდ მიგვაჩნია, მკითხველს გავაცნოთ ადამიანის რელიგიურ უფლებებთან დაკავშირებული გაეროს გადაწყვეტილებების ის საინტერესო ნაწილი, რომელიც გააკეთა თელავივის უნივერსიტეტის ცნობილმა მკვლევარმა ნათან ლერნერმა.[1]

ნათან ლერნერი მიუთითებს: პირველი, „ჯერ ერთი, გაეროს ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც ადამიანის რელიგიურ უფლებებს ეხება, არ განმარტავს ტერმინს „რელიგია". ეს წარმოადგენს იმ ზოგადი ტენდენციის გამოვლინებას, რომლისთვისაც მეტად დამახასიათებელია იდეოლოგიური და ფილოსოფიური განსაზღვრებისათვის თავის არიდება, რასაც შეუძლია გამოიწვიოს აზრთა სხვადასხვაობა და გააძნელოს თანხმობის მიღწევა ადამიანის ქცევის ამ მეტად დელიკატურ სფეროში. თუმცა, უდავოა, რომ გაეროს სამართლებრივ დოკუმენტებსა და ადამიანის უფლებათა შესახებ თანამედროვე კანონმდებლობაში ტერმინი „რელიგია", რომელსაც, როგორც წესი, თან მოსდევს სიტყვა „რწმენა", აღნიშნავს ათეისტურ რწმენებს და თავის თავში აერთიანებს ტრანსცენდენტალური მსოფლმხედველობისა და ქცევის ნორმატიულ წესებს, ისევე როგორც ათეისტურ,

---

[1] იხ. Натан Лернер, Религиозные права человека в эпоху Организации Объединённых Наций. Права Человека и Религия. М., Библейско-Богословский Институт Св. Апостола Андрея, 2001, стр. 217-218.

აგნოსტიკურ, რაციონალურ და სხვა შეხედულებებს, რომლებიც შეიძლება არც შეიცავდეს ზემოთ ნახსენები ორი ელემენტისაგან არც ერთს.

მეორე, ადამიანის რელიგიურ უფლებათა დაცვის გაეროს ამჟამად არსებული სისტემა რელიგიურ უფლებათა სფეროში რაიმე სპეციალურ შეთანხმებას არ შეიცავს. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 18) და აგრეთვე რელიგიის თემასთან დაკავშირებული გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანოების მიერ მომზადებული რიგი შეთანხმებანი, სავალდებულოა იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც მოახდინეს ამ სამართლებრივი აქტების რატიფიცირება. დღეისათვის მიჩნეულია, რომ ამ აქტებში წარმოდგენილ დებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ზუსტად ასახავს ზოგად საერთაშორისო სამართალს, ხოლო ზოგიერთი მათგანი, როგორიცაა, მაგალითად, დისკრიმინაციის აკრძალვა რელიგიის ნიადაგზე ან რელიგიური ჯგუფების მიმართ განხორციელებული გენოციდის მიჩნევა კანონის საწინააღმდეგოდ, მიეკუთვნება შეზღუდული კატეგორიის **jus cogens.**[1] რელიგიის თავისუფლება — ეს ერთადერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც არ ექვემდებარება შეზღუდვას კრიტიკულ სიტუაციათა დროს. გაეროს საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის ავტორიტეტული კომენტარი წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ ფორმულირებულ აღნიშნული მუხლის "ზოგად კომენტარში".

მესამე, რელიგიურ უფლებათა და თავისუფლებათა საკითხზე სავალდებულო შეთანხმების მიღების აუცილებლობა და ასეთი შეთანხმების უპირატესობათა განხილვა ჯერაც არ არის დასრულებული. ასეთი კონვენციის შექმნის მხარდამჭერი ძირითადი მოსაზრება ემყარება გაეროს წევრ-სახელმწიფოთა სურვილს, უზრუნველყონ რელიგიურ უფლებათა ისეთივე დაცვა, როგორც ეს

---

[1] **jus cogens** – ზოგადსავალდებულო უფლება.

სხვა უფლებათა მიმართ ხორციელდება. კონვენციის შექმნისადმი ამგვარ მიდგომას ამართლებდნენ იმ გარემოებით, რომ რასობრივი დისკრიმინაციის საწინააღმდეგოდ მიმართული კონვენცია, რომელიც დაკვირვებისა და აღსრულების შედარებით ეფექტიან სისტემას შეიცავს, უმრავლეს სახელმწიფოთა მიერ იქნა რატიფიცირებული.

კონვენციის საწინააღმდეგოდ წამოყენებული არგუმენტებიდან არც ერთი არ არის ახალი და, ამასთან, მხოლოდ რელიგიის სფეროთი როდი შემოიფარგლება. ეს არგუმენტები იმ გარემოებას ეყრდნობა, რომ ზოგიერთმა სახელმწიფომ შეიძლება უარი განაცხადოს ისეთი სამართლებრივი აქტის რატიფიცირებაზე, რომელიც, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს მათ ქვეყანაში ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებულ საკანონმდებლო სისტემებს, ძირითადად ოჯახის, პიროვნების სტატუსისა და რელიგიის შეცვლის სფეროში.

დიდი ხნის მანძილზე მიმდინარე ამ დაუსრულებელი კამათის პირობებში, გაეროს ორგანოების მიერ დანიშნულ ექსპერტთა ანგარიშების ან კვლევის სახით არსებული სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს რელიგიურ უფლებათა დაცვის ზომიერ ხარისხს, რომელიც, ცხადია, ვერ შეედრება სავარაუდო შეთანხმების – მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ამ სისტემის სრულყოფისათვის უკვე წამოყენებული იქნა რიგი პროექტები, ძირითადად სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციათა მიერ.

ისინი აყენებენ შემდეგ წინადადებებს:

პირველი – შეიქმნას რელიგიურ უფლებათა დარღვევებზე დაკვირვების ეროვნული ორგანოები;

მეორე, გაეროს წევრ-სახელმწიფოთა მიერ რეგულარული მოხსენებები წარედგინოს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს;

მესამე – გატარდეს რიგი ანალოგიური ზომებისა, რომლებიც არ საჭიროებენ სპეციალური შეთანხმების დადებას.

მეოთხე — გაეროს 1981 წლის დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ მეტად მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ადამიანის რელიგიურ უფლებათა დაცვის სფეროში. დეკლარაციაში შევიდა ბევრი (თუმცა — არა ყველა) ის პრინციპი, რომელიც თავის ფუნდამენტურ გამოკვლევებში ჩამოაყალიბა ერკოტ კრიშნასვამმა 1959 წელს.[1] მის გამოკვლევაში წარმოდგენილია სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან და პრაქტიკაში მის რეალიზაციასთან დაკავშირებულ უფლებათა სრული ჩამონათვალი. დეკლარაცია გაცილებით უფრო შორს მიდის, ვიდრე ამას ითვალისწინებს 1966 წლის საერთაშორისო პაქტის ინდივიდუალური მიდგომა და უახლოვდება ბოლო დროის რიგ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ადამიანის რელიგიურ უფლებათა ჯგუფურ ასპექტებს ცნობენ. ასეთი სახის უფლებანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს დაცული ადეკვატურად, თუკი ჩვენ შევძლებთ ვაღიაროთ და უზრუნველვყოთ რელიგიურ ორგანიზაციათა, გაერთიანებათა და კონგრეგაციათა უფლებების დაცვა მათ ინდივიდუალურ უფლებათა ფარგლებს მიღმაც. ეს გარემოება შეიძლება უაღრესად მნიშვნელოვანი გახდეს რელიგიური წარმოშობის მქონე ისეთი გაერთიანებებისათვის, რომლებშიც რელიგიური ელემენტები ეთნიკურ და კულტურულ თავისებურებებთან ერთად ვლინდება.

მეხუთე — ამ ბოლო წლებში რიგ სახელმწიფოებსა და ძირითადად ეკლესიების, რელიგიებისა და რელიგიური ორიენტაციის მქონე გაერთიანებებს შორის მიღწეულმა შეთანხმებებმა მტკიცე გარანტიები შექმნა მსგავსი ჯგუფებისა და მათი სპეციფიკური უფლებების

---

[1] ერკოტ კრიშნასვამი (Arcot Krishnaswami), რომელიც წარმოშობით ინდოეთიდან იყო, 1956 წელს გაეროს დისკრიმინაციის აცილებისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისამ დანიშნა სპეციალურ მომხსენებლად. მან 1959 წელს გაეროში წარმოადგინა საგულდაგულოდ შესრულებული და ამომწურავი ანგარიში.

იხ. Arcot Krishnaswami, Study of Discrimination in the Matter of Religious Rights and Practices, United Nations. 1960. pp. 4, 12.

აღიარებისათვის. ამგვარ დიფერენციულ მიდგომას, შესაძლოა, თავისი უპირატესობებიც გააჩნდეს, თუ გავითვალისწინებთ უმცირესობათა უფლებების სფეროში დღეს არსებული იმ მრავალ სირთულეს, რომლის აღიარება ჯერაც არ სურს ბევრ სახელმწიფოს.

მეექვსე — არსებობს განსაკუთრებით რთული პრობლემებიც, რომლებიც უთანხმოების წარმოშობის მიზეზი ხდება. მათ რიცხვს მიეკუთვნება შემდეგი პრობლემები: რელიგიური მოქცევა, არჩევანის გაკეთება ამა თუ იმ რელიგიას ან აღიარებულ რელიგიურ გაერთიანებებს შორის, ღვთის გმობა, ქალთა და ბავშვთა უფლებები, სამხედრო სამსახურზე უარის თქმა რწმენის საფუძველზე. ძირითადი პრობლემა (რომელიც ეხება არა მხოლოდ რელიგიურ უფლებებს) მდგომარეობს წონასწორობის მიღწევაში რელიგიური ჯგუფების საწინააღმდეგოდ მიმართული ყოველგვარი წაქეზების აკრძალვასა (რასაც აცხადებს 1966 წლის პაქტის მე-20 მუხლი) და სიტყვისა და გაერთიანებათა თავისუფლებას შორის.

მეშვიდე — კიდევ ერთი წინააღმდეგობა, რომელიც ამ ბოლო დროს გამწვავდა, უნივერსალურობის პრობლემას უკავშირდება, საპირისპიროდ „კულტურული რელატივიზმის" პრობლემისა ანუ იმის სურვილს, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს იმ ცალკეულ ტრადიციულ თავისებურებებსა და რელიგიურ წესებს, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს ადამიანის უფლებებისადმი ე. წ. დასავლური მიდგომისაგან.

საკმაოდ მართლზომიერად გვეჩვენება ჯგუფური ქცევის ზოგიერთი ცალკეული სახის, მათ შორის, რელიგიის პატივისცემა იმ პირობით, რომ ეს არ დაარღვევს მინიმალურ საერთაშორისო სტანდარტებს.

მერვე — მსოფლიოში ამჟამად ხდება უამრავი ტრაგიკული მოვლენა, რომელიც განსხვავებული რელიგიური და კულტურული თვით-მყოფადობის მქონე მილიონობით ადამიანის სიცოცხლესა და კეთილდღეობას შეეხება. სწორედ ამიტომ, მსოფლიო თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მთავრობათა წინაშე მეტად მწვავედ დგება რელიგიური, ეთნიკური და კულტურული ჯგუფების დაცვის პრობლემა.

მეცხრე — რელიგიური და ზოგიერთი სხვა ჯგუფების დასაცავად, შესაძლოა, საჭირო გახდეს სერიოზული ძალისხმევა, რომელიც მიმართულია საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგიერთი წესის მისაღებად და ცხოვრებაში გასატარებლად. ამ სფეროში არსებულ დადებით საერთაშორისო მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ კონვენცია გენოციდის შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ, არ შეიცავს აღმასრულებელ ზომებს. საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა, რომელიც სხვა პრობლემებთან ერთად განიხილავს აგრეთვე ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხებსაც, უდაოდ დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ რამდენადაც მისი უფლებამოსილება შეზღუდულია, გადაუდებელ ამოცანად უნდა დავისახოთ ამ სფეროში უფრო ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გატარება.

§2. რელიგიის თავისუფლების დაცვის ევროსაბჭოს სტანდარტები

1949 წლიდან, თავისი შექმნის დროიდან, ევროპის საბჭო იბრძვის, რათა დაამკვიდროს კანონისა და ადამიანის უფლებების პატივისცემა. ამ მიზნის განსახორციელებლად 1950 წლის 4 ნოემბერს მიღებულ იქნა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია", ანუ როგორც მას მოკლედ მოიხსენიებენ, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია. ადამიანის სხვა უფლებებთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია ყურადღებას ამახვილებს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პრობლემებზეც, რასაც ეძღვნება კონვენციის მე-9 მუხლი. ეს მუხლი თავისი შინაარსით კარგად ეხმიანება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას. მასში ნათქვამია:

„1. ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, შეიცვალოს თავისი რელიგია თუ მრწამსი და თავისუფლებას. აღიაროს თავისი რელიგია თუ მრწამსი როგორც პიროვნულად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძო წესით, ღვთისმსახურებაში, მოძღვრებაში და რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაში.

2. რელიგიისა და მრწამსის აღიარების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი სიმშვიდის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ჯანმრთელობისა და ზნეობის ინტერესებისათვის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად".

კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი სიტყვასიტყვით იმეორებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-18 მუხლს.

მე-2 მუხლში მოყვანილი შეზღუდვები კი, პრაქტიკულად ემთხვევა იმ შეზღუდვებს, რომლებსაც აწესებს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ თავის მე-18 მუხლში, მხოლოდ მასში მოთხოვნა გაძლიერებულია ფრაზით: „დემოკრატიულ საზოგადოებაში". ეს კი პრაქტიკულად ნიშნავს, რომ დებულება „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში" მნიშვნელოვნად ამცირებს რელიგიის თავისუფლების სფეროში ხელისუფლების მიერ თავისი უფლებამოსილების გადაჭარბების დასაშვებ საფუძვლებს. აქ, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, ხაზგასმითაა მითითებული რელიგიური ცხოვრების თემური ასპექტების დაცვის მნიშვნელობაზეც.

როგორც ცნობილია, ხელშეკრულების ხელმომწერ მაღალ მხარეთა მიერ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად ევროსაბჭოს სისტემაში ფუნქციონირებს ადამიანის უფლებათა ევროპის კომისია და სასამართლო.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მიერ ბოლო წლებში განხილულ საქმეთა შორის სწრაფად იზრდება იმ საქმეთა რიცხვი, რომლებშიც გამოიყენება კონვენციის მე-9 მუხლი. ასე მაგალითად, ბოლო დროს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მიერ განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა — რელიგიური აგიტაციის ჩატარების უფლება,[1] ღვთისმსახურების ჩასატარებელი ადგილების დაფუძნება და ფუნქციონირება,[2] მუსულმანი ფუნდამენტალისტის დათხოვნა შეიარაღებული ძალებიდან მთავრობის განკარგულების საფუძველზე, რელიგიური ფიცის დადების მოთხოვნის დაუშვებლობა.[3] იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიის იურიდიულ საქმიანობას, მაშინ

---

[1] იხ. კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ, 1993 წლის 19 აპრილი; ლარისისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 30 იანვარი.

[2] იხ. მანუსსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, 1996 წლის 29 აგვისტო.

[3] იხ. კალასი თურქეთის წინააღმდეგ, 1997 წლის 23 ივნისი.

პრეცედენტური სამართალი, რომელიც მე-9 მუხლს განმარტავს, გაცილებით უფრო ფართოა.[1]

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ევროსაბჭოს სტრუქტურებს კონკრეტულად არ განუხილავთ საკითხი „რელიგიის" ატრიბუტების თაობაზე მე-9 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროკომისიამ განიხილა სამი სახის პრობლემა; იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ რელიგიის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებული რომელი საკითხები შეიძლება იქნეს დაცული კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე.

პირველი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: შეუძლია თუ არა სახელმწიფოს, აიძულოს ესა თუ ის პირი, გახდეს ოფიციალური სახელმწიფო ეკლესიის წევრი ან რაიმე სხვა სახით დაუჭიროს მას მხარი. კომისიამ გამოთქვა აზრი იმის თაობაზე, რომ სახელმწიფომ უნდა დააწესოს მექანიზები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკლესიიდან გასვლის შესაძლებლობას.[2] კომისიამ აგრეთვე გამოთქვა აზრი, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია აიძულოს რომელიმე პირი, რათა მან ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინოს სახელმწიფო ეკლესიას გადასახადების გადახდის ან სხვა სახით.[3]

---

[1] იხ. მე-9 მუხლის მოქმედების სფეროსთან დაკავშირებული საინტერესო მაგალითები ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკიდან (ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიის გადაწყვეტილებათა ჩათვლით) შეიძლება ინახოს: Gunn, T. Jeremy, Adjudicating Rights of Conscience Under the European Convention on Human Rights, in: van der Vyver, Johan D./With John Jr; Religious Human Rights in Global Perspective:Legal Perspectives, The Hague etc., 1996, გვ.305-330, Harris, D. J./O'Boyle, M./Warbrick, C., Law of the European Convention on Human Rights, London etc., 1995, გვ.356-371, Shav Macolm N., Freedom of Thought, Conscience and Religion, in Macdonald, R. St. J/Matscher, F./Petzdd, H. (eds), The European System for the Protection of Human Rights, Dortrecht etc, 1993, გვ.445-463, van Dijk, P.van Hoof, G.J. Theory and Practice of the European Convention on Human Rights, Deventer etc., 1990, გვ.397-407.

[2] იხ. No.10616/83, Dec. 14, 12, 84. D. R. 40, p. 284.

[3] იხ. No.9781/82, Dec. 14.5.84. D. R. 37, P. 42, No. 11581/85, Dec. 11.4.88. D. R. 56, p. 166.

მეორე მხრივ, სასამართლო არავითარ სურვილს არ ამჟღავნებს, რათა განიხილოს ასეთი საკითხები. მაგალითის სახით განვიხილოთ საქმე: დარბი შვედეთის წინააღმდეგ. განმცხადებელი დარბი იყო ბრიტანული წარმოშობის მქონე ფინეთის მოქალაქე, რომელიც 1977-1986 წლებში მუშაობდა შვედეთში. 1979-81 წლების განმავლობაში ის შვედეთის ხელისუფლებას უხდიდა საეკლესიო გადასახადს, როგორც თავისი მუნიციპალური გადასახადის შემადგენელ ნაწილს. იმ პირებს, რომლებიც განმცხადებლის მსგავსად, შვედეთის ეკლესიის წევრები არ იყვნენ, გააჩნდათ მათთვის დაწესებული გადასახადის შემცირების უფლება. ამასთან ერთად, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, განმცხადებელს შეეძლო ესარგებლა გადასახადის შემცირების ამ უფლებით, რადგან ის არ იყო რეგისტრირებული როგორც შვედეთში მცხოვრები. ადამიანის უფლებათა ევრო-კომისიაში მან განაცხადა მე-9 მუხლის (რელიგიის თავისუფლების უფლება) და მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევათა თაობაზე. კომისიამ გამოთქვა აზრი, რომ ადგილი ჰქონდა მე-9 მუხლისა და მე-14 მუხლის დებულებათა დარღვევას მე-9 მუხლთან დაკავშირებით.[1] თუ გავითვალისწინებთ, რომ, როგორც განმცხადებელი მიუთითებდა, მისი საჩივრები შეეხებოდა შვედეთის საგადასახადო კანონმდებლობის დისკრიმინაციულ ხასიათს, სასამართლომ უფრო ლოგიკურად მიიჩნია საქმის განხილვა კონვენციის მე-14 მუხლის ფარგლებში ოქმი №1-ის პირველ მუხლთან ერთობლივად; იგი პიროვნების მიერ პროფესიის თავისუფლად გამოყენების უფლებას შეეხება.

---

[1] იხ. დარბი შვედეთის წინააღმდეგ. Comm. Report 9. 5. 89, paras. 42-71, Eur. Court H. R., Series A, No. 187, p. 17-22.

სასამართლომ გაითვალისწინა საქმის გარემოებანი და მე-14 მუხლისა და №1 ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილება, აუცილებლად არ მიიჩნია განმცხადებლის საჩივრის განხილვა არც მე-9 მუხლით გარანტირებული რელიგიის თავისუფლების დარღვევის თაობაზე და არც მე-14 მუხლის დარღვევით დისკრიმინაციის განხორციელების თაობაზე, რასაც განმცხადებლის აზრით, ადგილი ჰქონდა აღნიშნული უფლების მის მიერ განხორციელებისას.[1]

მეორე კითხვა მდგომარეობს შემდეგში: შეუძლია თუ არა ცალკეულ პიროვნებას, დაიმოწმოს მე-9 მუხლის დებულება რელიგიის თავისუფლების თაობაზე ნებისმიერი ისეთი მოქმედების გასამართლებლად, რომელიც არ ეწინააღმდეგება მისი რელიგიის წეს-ჩვეულებებს. ასე მაგალითად: სასამართლომ მიიჩნია, რომ შეუძლია მოსთხოვოს ორთოდოქსალურ ებრაელს, განქორწინების დროს ყოფილ მეუღლეს გადასცეს წერილი, რომ განქორწინება მოხდა ცალმხრივი განცხადების საფუძველზე, ან იმ შემთხვევაში, თუ ის უარს აცხადებს ამის — ამ ქალბატონს აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი. კომისიამ ჩათვალა, რომ სახელმწიფომ არ დაარღვია ამ ადამიანის უფლებები მე-9 მუხლთან მიმართებაში, რადგან ამგვარი მოქმედება, თანახმად იუდაიზმის ნორმებისა, მართებულად ითვლება. კომისიამ აგრეთვე განიხილა, თუ რამდენად საფუძვლიანია სამღვდელოების პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ეკლესია თავად არღვევს მე-9 მუხლის დებულებებს, როდესაც ითხოვს მათ მონაწილეობას ცალკეული წეს-ჩვეულებების შესრულებაში. კომისიამ მიიჩნია, რომ სახელმწიფო არ არღვევს მე-9 მუხლით დაცულ რაიმე

---

[1] იხ. გადაწყვეტილება დარბის საქმეზე, 1990 წლის 23 ოქტომბერი, Series A, No. 187, p. 13. paras. 34-35.

უფლებას, რადგან სამღვდელობის ამ წარმომადგენლებს უფლება აქვთ დატოვონ ეკლესია.[1]

მესამე კითხვა მდგომარეობს შემდეგში: რამდენად შეუძლია ეკლესიას, განსაზღვროს თავის მოქმედებათა სფერო მოცემული რელიგიის ამა თუ იმ წეს-ჩვეულებათა შესრულების აუცილებლობასთან დაკავშირებით. ამ მიმართებით ყურადღებას იმსახურებს საბერძნეთის მოქალაქის მინოს კოკკინაკისის საქმე.[2] განმცხადებელი კოკკინაკისი და მისი მეუღლე, რომლებიც იყვნენ „იეჰოვას მოწმეთა" რელიგიური თემის წევრები, მივიდნენ მართლმადიდებელი ქრისტიანი ქალბატონის ნ-ის სახლში. საბერძნეთის ეროვნული სასამართლოების მიერ შემდგომ გაკეთებული დასკვნების თანახმად, განმცხადებელმა დაჟინებით მოითხოვა, რომ ქალბატონ ნ-ს ისინი სახლში შეეშვა; ხოლო ამის მერე დაიწყო მასთან კამათი, რომლის დროსაც შეეცადა, ეს ქალბატონი მოექცია თავის სარწმუნეობაზე. იგი უკითხავდა სხვადასხვა ტექსტებს წიგნებიდან და ახალ წიგნებსაც აძლევდა წასაკითხად. ქალბატონ ნ-ის მეუღლემ გამოიძახა პოლიცია, რომელმაც დააკავა განმცხადებელი და მისი მეუღლე. მათ წაუყენეს ბრალდება პროზელიტიზმში. ისინი გაასამართლეს და მიუსაჯეს პატიმრობა და ჯარიმის გადახდა. აპელაციის შემდგომ, განმცხადებლის მეუღლე გამართლებულ იქნა, ხოლო განმცხადებლის მიმართ გამოტანილი განაჩენი კი იქნა დადასტურებული. საბერძნეთის მთავრობის აზრით, სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც პროზელიტიზმს ეხება, მიმართულია

---

[1] იხ. No. 7374/76, Dec. 8.3.76. D. R. 5, p. 157 (158) 'სოგიერო ბაპტისტურ წესჩვეულებებთან დაკავშირებით და No. 110-45/84, Dec. 8.3.85. D.R. 42, p. 247 და No. 12356/86, Dec. 8.9.88. D. R. 57, p. 172.

[2] იხ. გადაწყვეტილება კოკკინაკისის საქმეზე, 1993 წლის 25 მაისი, Series A, No. 260-A, p. 21, para 48.

მე-9 მუხლის კანონიერი მიზნის მისაღწევად, კერძოდ კი – „სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებათა დასაცავად". მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობს განსხვავება ქრისტიანული პოსტულატების დამოწმებასა და არამართლზომიერ პროზელიტიზმს შორის, როგორიცაა, მაგალითად, „ამა თუ იმ ეკლესიაში ახალ წევრთა მიზიდვის მიზნით ადამიანებისათვის მატერიალური და სოციალური სარგებლობის შეთავაზება, ან არამართლზომიერი ზეწოლის განხორციელების გასაჭირში მყოფ ადამიანებზე... ან ძალადობისა და იდეოლოგიური დამუშავების გამოყენება".[1] რადგან საბერძნეთის სასამართლოებმა კონკრეტულად ვერ მიუთითეს, თუ რელიგიური მრწამსის საკითხზე კამათის პროცესში განმცხადებელმა როგორ გამოიყენა არამართლზომიერი საშუალებანი, ევროსასამართლომ ვერ აღმოაჩინა კოკკინაკისისათვის მსჯავრის დადების რაიმე აუცილებელი სოციალური მოთხოვნილება. ამრიგად, ეს გადაწყვეტილება არ იყო დასახული კანონიერი მიზნის თანაზომიერი. აქედან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ადგილი ჰქონდა კონვეციის მე-9 მუხლის დებულებათა dar R vevas.[2]

კონვენციის მე-9 მუხლის ანალიზის დროს ამოსავალ დებულებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ პუნქტი შეზღუდვათა თაობაზე შეეხება მხოლოდ რელიგიის აღიარების უფლებას. მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული „აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება" აბსოლუტური ხასიათის მქონეა მანამ, ვიდრე ის არ შეეხება რელიგიის აღმსარებლობის

---

[1] იხ. გადაწყვეტილება კოკკინაკისის საქმეზე, 1993 წლის 25 მაისი, Series A, No. 260-A, p. 21, para 48.

[2] იხ. გადაწყვეტილება კოკკინაკისის საქმეზე, 1993 წლის 25 მაისი, Series A, No. 260-A, p.19, para. 49.

უფლებას.[1] როგორც ვან დიეკმა და ვან ხუფმა შენიშნეს, ეს განსხვავება მრავალრიცხოვან პრაქტიკულ შედეგებს იწვევს. კერძოდ, მათ მიუთითეს, რომ „აზრის თავისუფლება... გულისხმობს, რომ არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ მოქმედებებს, რომელიც მიმართულია აზროვნების შესაცვლელად; აკრძალულია ნებისმიერი იძულება აზრის გამოთქმასთან, აზრის შეცვლასთან ან რელიგიურ შეხედულებათა გახმაურებასთან დაკავშირებით, აგრეთვე არავითარი სანქციები არ შეიძლება იქნეს გატარებული რელიგიის ან თვალსაზრისის შეცვლის მიზნით".

მეორე ძირითადი საკითხი, რომელსაც მე-9 მუხლი იხილავს, შეეხება რელიგიის თავისუფლების დასაშვებ შეზღუდვებს. კერძოდ, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში მოყვანილია ის სამი კრიტერიუმი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს რელიგიის აღმსარებლობის უფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, რათა ჩაითვალოს, რომ მათ მიერ რელიგიისა და მრწამსის უფლების გაუქმება – დასაბუთებულია. ეს კრიტერიუმებია:

1. შეზღუდვები განსაზღვრული უნდა იყოს კანონით. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ საჭიროა, შეზღუდვები ეფუძნებოდეს კანონის უზენაესობას.[2] შესაბამისად, ამ კრიტერიუმს შეიძლება კანონიერების კრიტერიუმი ეწოდოს;

2. ეს არის დასაშვებ დასაბუთებათა მკაცრად განსაზღვრული ნაკრები. კერძოდ, შეზღუდვები შეიძლება განხორციელდეს „საზოგადოებრივი სიმშვიდის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ჯანმრთელობისა თუ ზნეობის ინტერესებისათვის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად". მართალია, ეს

---

[1] იხ. Van Dijk/Van Hoof, გვ. 397.

[2] იხ. Malone Case, 82 Eur. Ct, H. R. (ser. A) at 321984.

ჩამონათვალი რამდენადმე ამცირებს იმ სახელმწიფო ინტერესების სფეროს, რომლითაც შეიძლება გამართლებულ იქნეს რელიგიური თავისუფლების შემცირება ან გაუქმება (ასე, მაგალითად: მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების ინტერესები ვერ ჩაითვლება საკმარისად), თუმცა აღნიშნული სფერო სინამდვილეში უაღრესად ფართოა. ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე კატეგორიაში არ ხვდება მეტად მცირე რაოდენობის ისეთი შეზღუდვები, რომელთა გამოყენებასაც ისურვებდა სახელმწიფო.

3. მესამე კრიტერიუმია — „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში". იგი გამოიყენებოდა ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ განხილული შეზღუდვა ეწინააღმდეგებოდა მე-9 მუხლს, რაც გადამწყვეტ კრიტერიუმად იქნა მიჩნეული. სასამართლოს აზრით, დემოკრატიული საზოგადოება აუცილებელი წესით გულისხმობს რელიგიურ პლურალიზმს. რელიგიის ან მრწამსის თავისუფლებაზე საუბრისას სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ „ეს არის მორწმუნეთა თვითგამორკვევისა და ცხოვრებაზე მათ წარმოდგენათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტი, მაგრამ იმავდროულად, ეს გახლავთ ათეისტების, აგნოსტიკოსების, სკეპტიკოსებისა და ყველა დანარჩენთათვის უდიდესი მონაპოვარიც. პლურალიზმი, რომელიც განუყოფელია დემოკრატიული საზოგადოებისაგან და რომლის მოპოვებასაც მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა დასჭირდა, სწორედ ამაზეა დამოკიდებული.[1] ანალოგიურად, სასამართლო აღიარებს „პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და მასშტაბური აზროვნების" დიდ მნიშვნელობას, რომელთა გარეშეც დემოკრატიულ საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა.[2]

---

[1] იხ. A-260-A (1993), ჯ.31.

[2] იხ. მანუსსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, ჯ. 41.

ცხადია, რომ სასამართლო ცნობს იმ ფარგლებსაც, რომლებშიც შეიძლება მოხდეს კულტურულ განსხვავებათა გათვალისწინება. ევროპაში ინტეგრაციის პროცესის თანდათანობითი განხორციელებისათვის აუცილებელია კულტურისა და რელიგიის სფეროში არსებული განსხვავებისადმი პატივისცემის შენარჩუნება. თუმცა, როგორც სასამართლო მიუთითებს, ამ საზღვრების დადგენისას „აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ აქ დღის წესრიგში დგება პლურალიზმის დაცვის აუცილებლობა, რაც თავისთავად, დემოკრატიული საზოგადოების გაგებიდან გამომდინარეობს".[3] სასამართლო აღნიშნავს, რომ მოთხოვნა „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში" გულისხმობს, განხილული შეზღუდვა „გამართლებულ იქნეს გადაუდებელი საზოგადოებრივი აუცილებლობით კონკრეტულ სიტუაციაში", ხოლო მიღებული ზომები კი უნდა იყოს „დასახული კანონიერი მიზნის პროპორციული".[1] უფრო მეტიც, ამ „პროპორციულობის შეფასების დროს საჭიროა ჩატარდეს მკაცრი შემოწმება".[2]

იურიდიული პირის სტატუსთან დაკავშირებით წარმოშობილ სიტუაციათა ტიპური მაგალითია მანუსსაკისის საქმე".[3] ამ საქმეში განიხილებოდა იეჰოვას მოწმეთა რელიგიური თემის მიმართ წაყენებული ბრალდება ღვთისმსახურების ჩასატარებელი შენობის უკანონო გამოყენების თაობაზე, რადგან თემს არ გააჩნდა სათანადო ნებართვა სამლოცველო სახლის მოსაწყობად. სინამდვილეში, იეჰოვას მოწმეთა თემი წლების მანძილზე ცდილობდა ასეთი ნებართვის მიღებას, მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები წლიდან წლამდე ამტკიცებდნენ, რომ

---

[3] იხ. მანუსსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, პ. 41.

[2] იხ. კოკინაკისი, A 260-A(1993), პ. 50.

[3] იხ. მანუსსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, პ. 44.

მათ „არა აქვთ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საშუალება“.[1] სასამართლოს დადგენილებით, არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს იმის გარკვევა, რომ „განხილული შეზღუდვები კანონითაა გათვალისწინებული, ან კანონიერ მიზნებთან (მაგ., როგორიცაა მიგრაცია, საზოგადოებრივი წესრიგი) აქვთ თუ არა მათ კავშირი, რადგან სახელმწიფოს მოქმედება, რომელმაც არ გასცა ნებართვა სამლოცველო სახლის გახსნის თაობაზე, არ აკმაყოფილებს კრიტერიუმს — „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

კონკრეტულად, სასამართლომ მიუთითა, რომ განაჩენი ამ რელიგიური თემის მიმართ არ არის სამართლიანი და აუცილებელი დემოკრატული საზოგადოების სინამდვილეში და იგი „შეთხზულ“ იქნა თავად სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფომ აიძულა მოსარჩელეები, მათ ჩაედინათ დანაშაული და პასუხი ეგოთ ამ დანაშაულზე მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი რელიგიური შეხედულებების გამო. ამდენად, დასაწყისში სრულიად უცოდველი მოთხოვნა ღვთისმსახურების ჩასატარებელი შენობის ფლობის ნებართვის მიღების შესახებ, უბრალო ფორმალობიდან გადაიქცა რელიგიის თავისუფლების უფლების საწინააღმდეგოდ მიმართულ მომაკვდინებელ იარაღად. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ რელიგიური თემისათვის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით განათლებისა და რელიგიის საკითხთა მინისტრის მოქმედებათა განსაზღვრა როგორც მხოლოდ შენელებულის, პრობლემის მეტად რბილი შეფასება იქნებოდა, რადგან სახელმწიფოსა და დომინირებული ეკლესიის საქმეში ჩარევამ და ამის შედეგად საქმის ჩახშობამ, კონვენციის მე-9 მუხლი სრულიად გამოუყენებელი გახადა“.[2]

---

[1] იხ. მანუსსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, ჰ. 33.

[2] იქვე, ჰ. 41.

აღნიშნულ დადგენილებასთან დაკავშირებით, ODIHR-ის 1999 წლის კონფერენციამ[1] მიუთითა: სასამართლომ დაასაბუთა, რომ გამოტანილი განაჩენი წარმოადგენს მე-9 მუხლის დარღვევას. მან გამოყო რამდენიმე მომენტი, რომელიც მეტად დამახასიათებელია სამლოცველო სახლის გახსნასა და ფუნქციონირებაზე ნებართვის მიღების ამჟამად არსებული სქემისათვის. განვიხილოთ ისინი უფრო დაწვრილებით, რადგან მათ გააჩნიათ უფრო ზოგადი შედეგები, ვიდრე მმართველობის სხვა სქემებს (მაგალითად, როგორიცაა კანონები რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ), რომელთაც ასევე შეუძლიათ დაბრკოლებები შეუქმნან მორწმუნეთა რელიგიურ ცხოვრებას.

მანუსსაკისის საქმესთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო დადგენილებიდან კარგად ჩანს, რომ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, დაუშვას დარღვევები, ერთი შეხედვით, თითქოს უცოდველი ფორმალობებით მანიპულირების მეშვეობით, რომლის მიზანსაც შეადგენს რელიგიური ცხოვრებისათვის დაბრკოლებათა შექმნა.

სასამართლომ აგრეთვე პროტესტი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ადგილობრივი კანონმდებლობა დასაშვებს ხდის „პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და საეკლესიო ხელისუფალთა ჩარევას რელიგიური თავისუფლების საკითხებში, რასაც მოჰყვება შორს მიმავალი შედეგები“ და ანიჭებს მათ „უაღრესად დიდი თვითნებობის“ განხორციელების შესაძლებლობებს“.[2] პროტესტს იწვევს ის ფაქტიც, რომ ხელისუფალთ შეუძლიათ განუსაზღვრელი დროით გადადონ ნებართვის გაცემა სამლოცველო სახლის

---

[1] იხ. Freedom of Religion or Belief: laws affecting the structuring of religious communities. Organization for Security and Co-operation in Europe. Review Conference, September 1999. Office for Democratic Institutions and Human Rights, Background Paper, 1999/4 by Cole Durhum, p. 22 of 43.

[2] იხ. მანუსსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, ბ. 45.

გახსნის თაობაზე.[1] ამასთან, ზოგიერთი გამოყენებული კრიტერიუმი განსაკუთრებულ პროტესტს ბადებს. მაგალითად, სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლებს უფლება აქვთ „შეაფასონ, განსახილველ რელიგიურ თემს ნამდვილად თუ გააჩნია ეკლესიის გახსნის აუცილებლობა.[2] სასამართლო ამტკიცებს, რომ რელიგიის თავისუფლების პრობლემასთან მიმართებაში ხელისუფლების ორგანოები ხშირად გადაამეტებენ ხოლმე თავის უფლება-მოსილებას. კერძოდ, სასამართლომ დაასაბუთა, რომ „კონვენციით გარანტირებული რელიგიის თავისუფლების უფლება, სახელმწიფოს მხრიდან გამორიცხავს ნებისმიერ თვითნებობას იმ საკითხის განსაზღვრასთან დაკავშირებით, არის თუ არა ლეგიტიმური მოცემული რელიგია ან ის საშუალებები, რომელთა გზითაც ეს რელიგია გამოიხატება".[3] ამასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ მოთხოვნა სამლოცველო სახლის გახსნის უფლების მიღების თაობაზე შეიძლება ეთანხმებოდეს კონვენციის მე-9 მუხლს მხოლოდ იმ ზომამდე, რამდენადაც ის მინისტრს საშუალებას მისცემს დარწმუნდეს, რომ ფორმალური პირობები შესრულებულია.[4]

თუ ანალოგიიას გავატარებთ იმ კანონებთან, რომლებიც აწესრიგებენ იურიდიული პირის სტატუსის მიღების საკითხს, დასაშვებად შეიძლება იქნას მიჩნეული წესდებათა და ორგა-ნიზაციული ხასიათის მქონე სხვა დოკუმენტების ფორმალური ნიშნების საფუძველზე გაკეთებული შეფასება, მხოლოდ იმ პირობით, რომ რელიგიის შეფასება არ მოხდება მისი შინაარსობრივი მაჩვენებლების საფუძველზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ასევე სრულიად დაუშვებელია ნებართვის გაცემა

---

[1] იხ. მანუსსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, პ. 47

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სხვა ეკლესიის წარმომადგენელ ღვთისმსახურთა დადებითი რეცენზია (რის მოთხოვნასაც ტექნიკურად აყენებს კანონი).[1]

ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიას ხშირად უხდება ახალგაზრდა ვაჟების პეტიციების განხილვა; ისინი პრეტენზიას გამოთქვამენ მე-9 მუხლში მოცემული სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა და აგრეთვე მე-4 მუხლის 36-ე პუნქტის იმ დებულებასთან დაკავშირებით, რომელიც უფლებას აძლევს, მაგრამ არ ავალდებულებს ხელშეკრულების ხელმომწერ მაღალ მხარეებს, კანონით აღიარონ სარწმუნოების ნიშნით მოტივირებული უარი სამხედრო სამსახურში გაწვევაზე ან დააწესონ ალტერნატიული სამსახური. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიამ, როგორც ევროკონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მაკონტროლებელმა ორგანომ, დღემდე ვერ აღმოაჩინა მე-9 მუხლის ვერავითარი დარღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფომ (შვეიცარიამ) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრა ადამიანს, რომელმაც უარი განაცხადა სამხედრო სამსახურში გაწვევაზე[2] და არც ალტერნატიული სამსახურისაგან გაათავისუფლა იგი.[3]

ამასთან, იყო ერთი ისეთი შემთხვევაც, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიამ განიხილა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად დისკრიმინაციული ხასიათის მქონეა შვედეთის კანონები, რომლებიც შეეხება სამხედრო სამსახურში გაწვევაზე უარის თქმას რელიგიური აღმსარებლობის საფუძველზე. საქმე იმაშია, რომ არსებითად, ეს კანონები საშუალებას იძლევა,

---

[1] იხ. მანუსსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, ჯ. 50-51.

[2] იხ. No. 10640/83,Dec. 9.5.84. D. R. 38, p. 219 (222-223).

[3] იხ. 10410/83,Dec.5.7.77. D. R.9, p. 196 (203-204)

განსაზღვრული რელიგიური თემის წევრები გათავისუფლებულ იქნან როგორც სამხედრო, ისე ალტერნატიული სამსახურისაგან. პეტიციის შეტანის მომენტისათვის შვედეთი ამ კანონს იყენებდა მხოლოდ „იეჰოვას მომწეთა" რელიგიური თემის წევრების მიმართ. რამდენადაც განმცხადებელმა თავისი პრეტენზია კონვენციის მე-9 და მე-14 მუხლების საფუძველზე გამოთქვა, რომელთაგან უკანასკნელი კრძალავს დისკრიმინაციას კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას, კომისიამ განიხილა „იეჰოვას მოწმეთა" რელიგიური თემის წესჩვეულებანი, რათა განესაზღვრა, თუ რამდენად სწორად ახორციელებს თავის უფლებამოსილებას შვედეთის ხელისუფლება.[1]

კომისიამ გააკეთა შემდეგი დასკვნა: აღნიშნული რელიგიური თემის წევრები თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში განუხრელად მისდევენ მთელ რიგ ყოვლისმომცველ ქცევის წესებს, რომლებიც მათი ცხოვრების მრავალ ასპექტს მოიცავს. ამ წესების დაცვა მკაცრ არაოფიციალურ საზოგადოებრივ კონტროლს ექვემდებარება თემის წევრთა მხრიდან. ერთ-ერთი ამ წესთაგანი მოითხოვს უარის თქმას სამხედრო და ალტერნატიულ სამსახურზე. აქედან კი გამომდინარეობს, რომ მოცემული რელიგიური თემის წევრობა დამაჯერებელი საბუთია ამ უარისთვის, რაც ჭეშმარიტ რელიგიურ რწმენას ეფუძნება. კომისიამ მიუთითა, რომ შვედეთის არც ერთ სხვა რელიგიურ თემს არ ახასიათებს ზემოთ აღნიშნულის ანალოგიური ნიშნები.[2]

კომისიამ ჩათვალა, რომ შვედეთის მიერ მოცემული კანონის გამოყენება ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ წარმოადგენს მე-9

---

[1] იხ. Donna Gomien, David Harris, Leo Zwaak. Law and Practice of the European Convention on Human Rights and the European Social Charter. Council of Europe Publishing, 1998, p. 347.

[2] იხ. No. 10410/83, Dec. 11.10.84. D. R. 40, p. 203 (207-208).

მუხლის დებულებათა დარღვევას; ამასთან, კომისიამ მეტად მკაცრი დამადასტურეებელი სტანდარტი დააწესა ალტერნატიულ სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული მომავალი საჩივრების განხილვისათვის. ახლა კომისია უკვე აღარ მოითხოვს სახელმწიფოსაგან იმის დადგენას, თუ რამდენად ჭეშმარიტია ამა თუ იმ ინდივიდის რელიგიური მრწამსი, რომელსაც ის იზიარებს საკუთარი სინდისის კარნახის საფუძველზე სანაცვლოდ, კომისია ნებას რთავს სახელმწიფოებს, ამ ჭეშმარიტების დამამტკიცებელ საკმარის საბუთად მიიჩნიონ ოფიციალური და ოფიციალურად გაფორმებული რელიგიებისადმი კუთვნილება.

მეორე მხრივ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა თავის რეკომენდაციაში №R(87)8 რელიგიური აღმსარებლობით მოტივირებული უარი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევაზე ახსნა „სინდისის დაჟინებული კარნახით" და თანაც დააზუსტა, რომ ეს ტერმინი რელიგიური, ეთნიკური, მორალური, ჰუმანიტარული და ფილოსოფიური ხასიათის მიზეზებს მოიცავს.

ცალკე გვინდა აღვნიშნოთ პატიმართა უფლებები რელიგიისა და მრწამსის თავისუფლებასთან მიმართებაში. ევროსაბჭოს სტრუქტურები ძირითადად თავის წევრ-სახელმწიფოებს ანდობენ პატიმართა უფლებებზე შეზღუდვების დაწესებას კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად. ადამიანის უფლებათა ევროკომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მე-9 მუხლის დარღვევას ადგილი არ აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ითვალისწინებს სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, და უარს აცხადებს პატიმრისათვის ისეთი წიგნის გადაცემაზე, რომელიც ამა თუ იმ რელიგიის აღსრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გარდა, შეიცავს ინფორმაციას ხელჩართული ბრძოლის ხელოვნების შესახებაც,[1] ან იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო უარს აცხადებს ამა თუ იმ აღმსარებლობის პატიმართათვის

[1] იხ. No 6886/75.Dec.18.5.76. D. R.5, p. 100 (101).

განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებაზე. როგორც მაგალითად, ორთოდოქსალური ებრაელის მოთხოვნის შემთხვევაში, მისთვის განსაკუთრებული საკვების მიცემის თაობაზე.[1]

მე-9 მუხლის დებულებათა შესაბამისად, პატიმრის უფლებების განსაზღვრის დროს ადამიანის უფლებათა ევროკომისია მნიშვნელოვანწილად ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, თუ რამდენად „აუცილებლია" მოცემული რელიგიისათვის მისი ამა თუ იმ ფორმის აღიარება ან მისი ამა თუ იმ წეს-ჩვეულების შესრულება.[2] კონვენციის მე-9 მუხლის ასეთმა ზოგადმა განმარტებამ, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს პატიმართა უფლებებზე იმ შემთხვევებში, როდესაც რელიგიური რწმენა და წეს-ჩვეულებანი სცილდება ორგანიზაციულად გაფორმებულ ოფიციალურ რელიგიათა ფარგლებს.[3]

ვარაუდობენ, რომ ადამიანის უფლებათა ევროკომისია და ევროსასამართლო მომავალში განსახილველად მიიღებს ისეთ საქმეებსაც, რომლებშიც ცალკეული პირები და რელიგიური ჯგუფები დააყენებენ არატრადიციული ან არადასავლური მრწამსის აღიარების და ადათ-წესების შესრულების დაცვის მოთხოვნას კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად. ამ საქმეთაგან მრავალი დაკავშირებული იქნება კონვენციის სხვა მუხლებთანაც, როგორიცაა მუხლი 12, რომელიც იცავს დაქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლებას (როგორც ცნობილია, მრავალი რელიგია დასაშვებად მიიჩნევს პოლიგამიას, თუმცა ასეთი რამ დღეისათვის ევროსაბჭოს წევრ არცერთ ქვეყანაში არ არის დაშვებული), ან

---

[1] იხ. No 5947/72,Dec.5.3.76. D. R.5, p. 8 (9).

[2] იხ. No 5442/72,Dec.20.12.74. D. R.1, p.41 (41-42), რომელიც შეეხებოდა ბელ-ისტი პატიმრის უფლებების დარღვევას.

[3] იხ. Donna Gomien, David Harris, Leo Zwaak, Law and Practice of the European Convention on Human Rights and the European Social Charter. Council of Europe Publishing, 1998, p. 349

კიდევ, ევროკონვენციის №1 ოქმის მუხლი 2, რომელიც იცავს მშობელთა უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი შვილების სწავლა-განათლება საკუთარი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისად (ასე მაგალითად, ევროპაში ზოგიერთ მუსულმანურ თემს შექმნილი აქვს სპეციალური სკოლები გოგონებისათვის, რომლებშიც არ ხდება სახელმწიფოს მიერ სხვა სასწავლო დაწესებულებებისათვის დადგენილი საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვა). ასევე სავსებით მოსალოდნელია, რომ პატიმრობაში მყოფი პირები, რომლებიც რელიგიურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, კვლავაც შეეცდებიან დავის საგნად აქციონ შეზღუდვები, რომელთაც სახელმწიფო უწესებს მათ უფლებებს კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად.

ბოლოს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაწესებული შეზღუდვები შეეხება მხოლოდ რელიგიის ან მრწამსის აღიარებას, რის გამოც ღია რჩება საკითხი იმის თაობაზე, თუ რა გარემოებათა (თუკი ისინი საერთოდ არსებობს) დროს შეუძლია სახელმწიფოს, შეზღუდოს სხვა უფლებათა განხორციელება მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მაგალითად, როგორიცაა რელიგიისა და მრწამსის შეცვლის თავისუფლება.[1]

ამრიგად, ევროკონვენციის მე-9 მუხლი ადამიანის ინტელექტუალური და სულიერი ყოფის საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს, როგორიცაა „აზრი", „მრწამსი", „სინდისი", „რელიგია". თუმცა, ტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მის მთავარ შინაარსს შეადგენს ამა თუ იმ რელიგიის აღიარება და საკუთარი რელიგიურობისა და მრწამსის გამოვლენა (მანიფესტერ) რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულების გზით

---

[1] იხ. Donna Gomien, David Harris, Leo Zwaak, Law and Practice of the European Convention on Human Rights and the European Social Charter. Council of Europe Publishing, 1998, p. 350.

ევროკონვენციის მე-11 მუხლს, რომელიც ასოციაციის თავისუფლებას ეძღვნება, ასევე გარკვეული დამოკიდებულება გააჩნია ჩვენს თემასთან. მასში კონკრეტულად ნათქვამია:

„1. ყოველ ადამიანს აქვს მშვიდობიანი კრებების თავისუფლებისა და სხვებთან ასოციაციის თავისუფლების უფლება. მათ შორის უფლება, შექმნას პროფკავშირები და შევიდეს პროფკავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

2. ამ უფლების განხორციელება არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვას იმათ გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, არეულობისა და დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა თუ ზნეობის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ეს მუხლი არ უშლის ხელს ამ უფლებების კანონიერ შეზღუდვათა შემოღებას, თუ მას განახორციელებენ შეიარაღებული ძალების, პოლიციისა და სახელმწიფო მმართველობის შემადგენლობაში მყოფი პირები“.

ევროსასამართლოს მიერ 1998 წელს მიღებული გადაწყვეტილებანი ისეთ საქმეებზე, როგორიც იყო – თურქეთის გაერთიანებული კომუნისტური პარტია თურქეთის წინააღმდეგ[1] და სიდიროპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ,[2] მნიშვნელოვან ეტაპებს წარმოადგენენ ასოციაციის თავისუფლების სფეროში, რაც თავის მხრივ, უშუალოდ უკავშირდება კანონებს რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ. სიდიროპულოსის საქმესთან დაკავშირებით, სასამართლომ კატეგორიულად მიუთითა, რომ „გაერთიანებათა შექმნის უფლება წარმოადგენს ასოციაციის თავისუფლების განუყოფელ ნაწილს“ და მოქალაქეებს უნდა

---

[1] იხ. A-260-A7 ჯ. 33.

[2] იხ. იქვე, ჯ. 40

ჰქონდეთ შესაძლებლობა, დააარსონ სამართლის სუბიექტები, რათა საშუალება მიეცეთ, ერთობლივად იმოქმედონ საერთო ინტერესების სფეროში. ეს წარმოადგენს ასოციაციის თავისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს, რომლის გარეშეც ეს უფლება ყოველგვარ აზრს დაკარგავდა. ის ხერხი, რომლითაც ეროვნული კანონ-მდებლობა იცავს ამ უფლებას და ის, თუ როგორ ხდება ხელისუფლების მიერ პრაქტიკულად მისი გამოყენება, მიუთითებს დემოკრატიის მდგომარეობაზე ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანაში. რა თქმა უნდა, სახელმწიფოებს უფლება აქვთ დარწმუნდნენ, რომ გაერთიანების მიზანი და საქმიანობა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ წესებს, მაგრამ ამასთან, სახელმწიფოები მოვალენი არიან, ეს მოქმედებანი შეუთავსონ მათ მიერ კონვენციის ხელმოწერისას ნაკისრ ვალდებულებებთან, რომელიც ექვემდებარება შემოწმებას კონვენციის ორგანიზაციათა მხრიდან.[1]

სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ ასოციაციის უფლების განხილვისას (ისევე, როგორც რელიგიის აღიარების უფლების შეზღუდვათა შემთხვევაში), მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში მოყვანილი გამონაკლისები დაწვრილებით უნდა იქნას გაანალიზებული, მხოლოდ დამაჯერებელი და უტყუარი მიზეზებით შეიძლება იქნას გამართლებული ასოციაციის თავისუფლების შეზღუდვები.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ასოციაციის თავისუფლება ძირითადად თეორიული და ილუზორული ხასიათის მატარებელი იქნებოდა, თუკი ის შემოიფარგლებოდა მხოლოდ გაერთიანების შექმნით, რადგან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები შესძლებდნენ დაუყოვნებლივ დაეთხოვათ ეს გაერთიანება

---

[1] იხ. Freedom of religion or belief: laws affecting the structuring of religious communities. Organization for Security and Co-operation in Europe. Review Conference. September 1999. Office for Democratic Institutions and Human Rights, Background Paper. 1999/4 by Cole Durham, p. 24 of 43.

კონვენციასთან თავის მოქმედებათა ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული დაცვა გაერთიანების არსებობის მთელი ხნის მანძილზე უნდა იქნეს მიცემული, ამდენად, ეს განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანიზაციათა მიერ გაერთიანების სტატუსის როგორც მიღებას, ისე მის შენარჩუნებას. თუკი სადავო პოლიტიკურ და კულტურულ ორგანიზაციებში გაერთიანებულ მოქალაქეებს (როგორც ეს სიდოროპულოსისა და კომუნისტური პარტიის პროცესზე იქნა განხილული), თანახმად მე-11 მუხლისა, იურიდიულ პირთა დაფუძნების უფლება გააჩნიათ, მაშინ რელიგიურ გაერთიანებებს მით უფრო უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი სტატუსის მიღების უფლება. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ მოითხოვონ დაცვა ორივე (მე-9 და მე-11) მუხლით. ამრიგად, როგორც თავად კანონები რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ, ისე ამ კანონების პრაქტიკული გამოყენება, მკაცრ შემოწმებას ექვემდებარება ორივე აღნიშნული მუხლით.

დღევანდელ საქართველოში კანონმდებელთა და საზოგადოების ფართო მსჯელობის საგნად არის ქცეული საკითხი „რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ კანონის" მიღების თაობაზე. ამიტომ, ჩვენი მკითხველისათვის უდავოდ საინტერესო იქნება ის დასკვნები, რომლებიც ამ პრობლემასთან მიმართებით გააკეთა კოულ დიურამმა ევროპაში თანამშრომლობისა და უშიშროების ორგანიზაციის (ეუთოს) დემოკრატიული ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს მიერ რელიგიისა და მრწამსის თავისუფლების პრობლემატიკისადმი მიძღვნილი კონფერენციის ანგარიშში 1999 წლის სექტემბერში.[1] კოულ დიურამი მიუთითებს, რომ, როდესაც ვახდენთ რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ ეუთოს წევრ-სახელმწიფოებში არსებული კანონების ანალიზს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ევროკონვენციის რიგი სხვა დებულებანიც.

[1] იხ. Freedom of religion or belief: laws affecting the structuring of religious communities. Organization for Security and Co-operation in Europe, Review Conference, September 1999, Office for Democratic Institutions and Human Rights, Background Paper, 1999/4 by Cole Durhum, p. 25 of 43.

კერძოდ, კანონები, რომლებიც უკრძალავს რელიგიურ ორგანიზაციას მიმართოს დამოუკიდებელ სასამართლო ინსტანციებს იურიდიული სტატუსის მიღებაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების დროს; არღვევს რელიგიური ორგანიზაციის მიერ სასამართლოში მიმართვის უფლებას, რომელსაც აღიარებს მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, მე-9, მე-11 და მე-13 მუხლები, რომლებშიც ეფექტური ზემოქმედების უფლებაა წარმოდგენილი.

კოულ დიურამი აღნიშნავს, რომ თავისი სტრუქტურიდან გამომდინარე, კანონები რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ შეიძლება არღვევდეს ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის ანტიდისკრიმინაციულ დებულებებს, კერძოდ, მის პირველ და მე-14 მუხლებს. დღეს ევროპის მრავალ სახელმწიფოში ჯერ კიდევ არსებობს სისტემა – სახელმწიფო ეკლესია, თავისი რთული ფინანსური სქემით, რაც ხშირ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებს დომინანტურ რელიგიებს მცირერიცხოვან ან ბოლო ხანს წარმოშობილ რელიგიურ ჯგუფებთან შედარებით. ამასთან, რადგან ეს საქმეები ჯერ კიდევ ევროკონვენციის შექმნამდე არსებობდა, მათი გაუქმება სასამართლოს მიერ ახლო მომავალში მოსალოდნელი არ არის. ცხადია, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ცალკეული რელიგიური უმცირესობების მიმართ მიდგომა ეფუძნება გონივრულ და ობიექტურ კრიტერიუმებს, სადაც არ აღინიშნება აშკარა და მიზანმიმართული დისკრიმინაცია და სადაც ნაკლები პრივილეგიების მქონე ასეთ რელიგიურ ჯგუფებს იმის საშუალება მაინც ეძლევათ, რომ თავისუფლად განახორციელონ ყველა სახის რელიგიური საქმიანობა და შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

ამ მიმართებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ევროსასამართლოში ბოლო ხანს განხილული ერთ-ერთი საქმე, სადაც ფიგურირებდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. ეს გახლავთ საქმე

– კანეის კათოლიკური ეკლესია საბერძნეთის წინააღმდეგ.[1] ამ სარჩელის თანახმად, რომის კათოლიკურმა ეკლესიამ თავის ორ მეზობელს ბრალი დასდო იმაში, რომ მათ ეკლესიის გარშემო აშენებული კედლებიდან დაანგრიეს ერთი კედელი. ამის საპასუხოდ მეზობლებმა განაცხადეს, რომ რადგან კათოლიკური ეკლესია არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, მას არ გააჩნია სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. ამ საქმის თაობაზე ევროსასამართლოს მიერ გაკეთებულ ანგარიშში დეტალურადაა გაანალიზებული სხვადასხვა აზრი იმის თაობაზე, ფლობს თუ არა ზემოთ აღნიშნული ეკლესია იურიდიული პირის სტატუსს. თავის დასკვნით ანალიზში კი ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოში საქმის განსახილველად შეტანის უფლების ჩამორთმევა იწვევს მე-6 მუხლის პირველი პუნქტით მინიჭებული – სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ჩამორთმევას, რაც ყოვლად დაუშვებელია. სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს თავისი პოზიცია ეკლესიამ შემდეგნაირად გამოხატა: „ეკლესია, განურჩევლად მისი სარწმუნოებრივი კუთვნილებისა, უნდა სარგებლობდეს დაცვის უფლებით, რომელიც შეესაბამება მის ბუნებასა და მიზნებს. თუკი ეკლესია შექმნილ იქნა თავისი რელიგიის კანონების შესაბამისად, მაშინ ასეთ ეკლესიას, როგორც მოსარჩელეს, შეუძლია განახორციელოს ისეთივე კანონიერი მოქმედებები, როგორც ჩვეულებრივ იურიდიულ პირებს; ანუ, ამ ეკლესიას არ სჭირდება რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა იმის შესახებ, რომ მას მიღებული აქვს იურიდიული პირის სტატუსი კანონით დადგენილ ფორმალობათა შესრულების საფუძველზე...[2]

---

[1] იხ. A-260-A, კანეის კათოლიკური ეკლესია საბერძნეთის წინააღმდეგ, 1997 წლის 16 დეკემბერი, პ. 35.

[2] იქვე.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პოზიციას, ის იმაში მდგომარეობდა, რომ რელიგიურ ჯგუფებს უფლება აქვთ მმართველობა აწარმოონ საკუთარი წესდების საფუძველზე; რაც შეეხება მათ ურთიერთობას სახელმწიფოსთან, ამ შემთხვევაში ისინი მოვალენი არიან დაემორჩილონ სახელმწიფო კანონმდებლობას.[1]

როგორც სასამართლომ აღნიშნა, ამ ეკლესიის იურიდიული სტატუსი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არავის დაუყენებია ეჭვქვეშ. სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში დარღვეულ იქნა სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. ეკლესიას უფლება მიეცა დაყრდნობოდა არსებულ პრეცედენტებსა და ადმინისტრაციულ პრაქტიკას, რომლებშიც ადრე არავითარი ეჭვი არ ყოფილა გამოთქმული მისი იურიდიული სტატუსის თაობაზე. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში ეკლესიას აქვს საკმაო იურიდიული სტატუსი, მიმართოს სასამართლოს, რადგან მას გააჩნია სასამართლოსათვის მიმართვის უფლება; წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნებოდა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

გარდა ამისა, კოულ დიურამი მიუთითებს, რომ, რადგან საბერძნეთის სასამართლომ არ ცნო კანეის კათოლიკური ეკლესიის იურიდიული პირის სტატუსი, ეს წარმოადგენს კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას, რომელიც განიხილება მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან ერთად. საბერძნეთის კანონმდებლობის თანახმად, საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია და საბერძნეთის ებრაული თემი ავტომატურად ღებულობენ იურიდიული პირის სტატუსს ისე რომ, მათ არ სჭირდებათ ამისათვის სპეციალური განცხადების გაკეთება, განსხვავებით საბერძნეთში მოქმედი კათოლიკური ეკლესიისაგან. ამის თაობაზე ევროპის სასამართლომ აღნიშნა, რომ „უსამართლოდ უნდა

[1] იხ. A-260-A, კანეის კათოლიკური ეკლესია საბერძნეთის წინააღმდეგ, 1997 წლის 16 დეკემბერი, პ. 35.

მივიჩნიოთ საბერძნეთში არსებული მდგომარეობა, როდესაც საბერძნეთში მოქმედ კათოლიკურ ეკლესიას არ შეუძლია არავითარი იურიდიული მოქმედებების განხორციელება თავისი საკუთრების დასაცავად ფორმალურ პროცედურათა დაცვის გარეშე, მაშინ, როდესაც საბერძნეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და ებრაულ თემს ასეთ ფორმალობათა დაცვას საბერძნეთის კანონმდებლობა არ სთხოვს".[1]

კოულ დიურამი აღნიშნავს, რომ კანეის კათოლიკური ეკლესიის მაგალითი მართლაც უნიკალურია. ამ ეკლესიის ისტორია საუკუნეებს ითვლის და არასოდეს არავის გასჩენია ეჭვი მის იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებით. ძნელია იმის თქმა, თუ რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა სასამართლო იმ შემთხვევაში, თუ მას საქმე ექნებოდა უფრო ახალგაზრდა ეკლესიასთან, რომელსაც არ გააჩნია კანონის ფარგლებში მოქმედების წარსული გამოცდილება. მიუხედავად ამისა, მოცემული შემთხვევა გულისხმობს, რომ არსებობს იურიდიული პირის სტატუსის ასპექტები, რომლითაც ეკლესიას შეუძლია ისარგებლოს ყოველგვარ ფორმალობათა დაცვის გარეშე. ამიტომ, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული შემთხვევა, ისევე როგორც რიგი სხვა შემთხვევები, რომლებშიც ასოციაციის თავისუფლების უფლება იქნება განხილული, უზრუნველყოფენ იურიდიული სტატუსის უფლების სერიოზულ მხარდაჭერას ევროკონვენციის საფუძველზე.[2]

რელიგიური თავისუფლების პრობლემასთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა

---

[1] იხ. A-260-A, კანეის კათოლიკური ეკლესია საბერძნეთის წინააღმდეგ, 1997 წლის 16 დეკემბერი, პ. 47.

[2] იხ. Freedom of religion or belief: laws affecting the structuring of religious communities. Organization for Security and Co-operation in Europe. Review Conference. September 1999. Office for Democratic Institutions and Human Rights. Background Paper. 1999/4 by Cole Durhum. p. 26 of 43.

დაცვის ევროპის კონვენციის ოქმი №1, რომელიც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობათა მიერ 1952 წლის 20 მარტს იქნა ხელმოწერილი. ამ ოქმის მე-2 მუხლში ნათქვამია:

„არავის არ შეიძლება ეთქვას უარი უფლებაზე მიიღოს განათლება. სახელმწიფო, ნებისმიერი ფუნქციის შესრულებისას, რომელსაც ის თავის თავზე ღებულობს სწავლა-განათლების დარგში, პატივს სცემს მშობლების უფლებას უზრუნველყონ შვილების ასეთი განათლება თავისი სარწმუნოებრივი და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისად".

რელიგიისა და მრწამსის თავისუფლებასთან მიმართებაში ასევე მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1995 წლის 1 თებერვალს მიღებული „ჩარჩოკონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ". აღნიშნული ჩარჩოკონვენცია ეძღვნება ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას და მათ შორის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებულ რიგ პრობლემებსაც. ჩარჩოკონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია:

„1. მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ საჭირო პირობები შეუქმნან პირებს, ეროვნულ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან, რაც ხელს შეუწყობს მათი კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებას და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ კი მათი რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას".

მომდევნო, მე-6 მუხლში კი ვკითხულობთ:

„1. მონაწილენი მხარს უჭერენ შემწყნარებლობისა და კულტურათშორისი დიალოგის სულისკვეთებას და ქმედით ზომებს იღებენ ურთიერთპატივისცემის, გაგებისა და თანამშრომლობის ხელშესაწყობად მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირს შორის, დამოუკიდებლად

მათი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი ან რელიგიური კუთვნილებისა, კერძოდ კი განათლების, კულტურისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დარგში.

2. მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ სათანადო ზომები მიიღონ იმ პირთა დასაცავად, რომლებიც შეიძლება გახდნენ მუქარის ან დისკრიმინაციული აქტების, მტრობისა თუ ძალმომრეობის ობიექტები მათი ეთნიკური, კულტურული, რელიგიური ან ენობრივი კუთვნილების გამო".

რელიგიის თავისუფლების პრობლემატიკას ეძღვნება ჩარჩოკონვენციის მე-7 და მე-8 მუხლებიც. კერძოდ, მე-7 მუხლში აღნიშნულია:

„მონაწილენი უზრუნველყოფენ ყოველი პირის, ეროვნულ უმცირესობას რომ ეკუთვნის, პატივისცემის, მშვიდობიანი კრების თავისუფლების, ასოციაციების თავისუფლების, გამოთქმის თავისუფლებისა და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლებას".

ჩარჩოკონვენციის მე-8 მუხლში კი აღიარებულია ეროვნულ უმცირესობათა უფლება, აღიარონ საკუთარი რელიგია და თავიანთი სარწმუნოებიდან გამომდინარე, შექმნან რელიგიური დაწესებულებები, ორგანიზაციები და ასოციაციები. კერძოდ:

„მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ აღიარონ, რომ ყოველ პირს, ეროვნულ უმცირესობას რომ ეკუთვნის, აქვს უფლება თავისი სარწმუნოების ან მრწამსის აღმსარებლობისა და რელიგიური დაწესებულებების, ორგანიზაციების და ასოციაციების შექმნისა".

ჩარჩოკონვენციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტში წარმოდგენილია ვალდებულება იმის თაობაზე, რათა ხელი შეეწყოს ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს. დაამყარონ კონტაქტები სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ პირებთან, რომლებთანაც აკავშირებთ საერთო ეთნიკური კუთვნილება, კულტურა, ენა თუ რელიგია. კერძოდ, მე-17 მუხლის პირველ პუნქტში ვკითხულობთ:

„1. მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ ხელი არ შეუშალონ პირთ, ეროვნულ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან, დაამყარონ და მხარი დაუჭირონ თავისუფალ ტრანსსასაზღვრო კონტაქტებს პირებთან, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, კერძოდ იმ პირებთან, რომლებთანაც მათ აკავშირებთ საერთო ეთნიკური კუთვნილება, კულტურა, ენა თუ რელიგია ან საერთო კულტურული მემკვიდრეობა“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, რელიგიისა და მრწამსის თავისუფლების დაცვის ევროსაბჭოს სტანდარტები ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით, ცალკე დოკუმენტშია წარმოდგენილი, რომელიც ზუსტად ასახავს მათ უფლებებსა და თავისუფლებებს ამ მიმართებით.

§3. რელიგიის თავისუფლების დაცვის ეუთოს სტანდარტები

რელიგიის ან მრწამსის თავისუფლების დაცვა წარმოადგენს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. ამას ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ ეუთოს რიგ ძირითად დოკუმენტებში ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, შევჩერდებით „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის" დასკვნით აქტზე[1], რომელიც მიღებულ იქნა ჰელსინკში 1975 წლის 1 აგვისტოს. აღნიშნული დოკუმენტის იმ განყოფილებაში, რომელიც ევროპის უშიშროების საკითხებს ეძღვნება, წარმოდგენილია დეკლარაცია იმ პრინციპებისა, რომლებითაც მონაწილე სახელმწიფოები ერთმანეთთან ურთიერთობაში იხელმძღვანელებენ. ამათგან მე-7 პრინციპი ეძღვნება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა, მათ შორის, აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პატივისცემას. აქ, კერძოდ, ნათქვამია:

„მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ჩათვლით,

(...)

ამ ჩარჩოებში მონაწილე სახელმწიფოები სცნობენ და პატივს სცემენ პიროვნების თავისუფლებას აღიარებდეს, ერთპიროვნულად ან სხვებთან ერთად, რელიგიას ან სარწმუნოებას, მოქმედებდეს საკუთარი სინდისის კარნახით".

---

[1] იხ. % Centre for Human Rights, United Nations Office, 8-14 avenue de la Paix, 1211-Geneva 10, Switzeland.

აღნიშნული დოკუმენტის იმ განყოფილებაში კი, რომელიც ეძღვნება თანამშრომლობას ჰუმანიტარულ და სხვა დარგებში, კერძოდ, მის პირველ თავში – „კონტაქტები ადამიანებს შორის“, სექციაში DD - „გამგზავრება პირადი ან პროფესიული მიზეზით“, აღნიშნულია:

„ისინი (მონაწილე სახელმწიფოები) ადასტურებენ, რომ რელიგიურ კულტებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოთა კონსტიტუციურ ფარგლებში მოქმედებენ, მათ წარმომადგენლებს, შეუძლიათ მათი მოღვაწეობის სფეროში დაამყარონ კონტაქტები, შეხვდნენ ერთმანეთს და გაცვალონ ინფორმაცია“.

ჰელსინკის თათბირის დასკნით აქტში წარმოდგენილი ათი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპიდან ერთ-ერთი არის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა, მათ შორის, აზრის, სინდისის, რელიგიისა და მრწამსის თავისუფლების ჩათვლით“. აღნიშნული დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის ისტორიის ქვაკუთხედად იქცა, რადგან მასში ადამიანის უფლებები პირველად იქნა მოქცეული რეგიონალური უშიშროების ჩარჩოებში, მსგავსად სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური საკითხებისა. ეს ფაქტი მოგვიანებით განმტკიცებულ იქნა მრავალრიცხოვან საერთაშორისო დოკუმენტებში.

აღნიშნული დებულება კიდევ უფრო იქნა გაძლიერებული „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა ვენის შეხვედრის შემაჯამებელ დოკუმენტში“, რომელიც 1989 წლის 15 იანვარს იქნა მიღებული. კერძოდ, ევროპის უშიშროებასთან დაკავშირებულ განყოფილებაში წარმოდგენილი პრინციპებიდან, ამ მიმართებით ჩვენთვის საინტერესოა მე-11 პრინციპი. მასში ნათქვამია:

„ისინი (მონაწილე სახელმწიფოები) ადასტურებენ, რომ პატივს სცემენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს

აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ჩათვლით, ყველასათვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა".

ხოლო შემდგომ, მე-13 პრინციპის მე-7 პუნქტში ნათქვამია, რომ მონაწილე სახელმწიფოები „...უზრუნველყოფენ თავისი ტერიტორიის ფარგლებში ყველასათვის, ვინც მათ იურისდიქციას ექვემდებარება, ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა გარემოების განურჩევლად".

ამ დოკუმენტის მე-16 პრინციპში ჩამოთვლილია ის ღონისძიებები, რომელიც საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნას რელიგიის თავისუფლების უფლების განხორციელება. კერძოდ, აქ მითითებულია, რომ:

„16. იმ მიზნით, რათა უზრუნველყონ პიროვნების თავისუფლება აღიარებდეს რელიგიას ან სარწმუნოებას, მონაწილე სახელმწიფოები სხვა ღონისძიებებთან ერთად:

16.1 – მიიღებენ ეფექტურ ზომებს რელიგიის ან რწმენის გამო პირთა ან გაერთიანებათა დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და სალიკვიდაციოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, განხორციელებისა და სარგებლობისათვის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში და მორწმუნეთა და არამორწმუნეთა ნამდვილი თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

16.2 – ხელს შეუწყობენ ურთიერთშეწყნარებისა და პატივისცემის ვითარების შექმნას სხვადასხვა გაერთიანების მორწმუნეთა და ასევე მორწმუნეთა და არამორწმუნეთა შორის.

16.3 – თავის სახელმწიფოთა კონსტიტუციურ ფარგლებში

მორწმუნეთა, თავისი სარწმუნოების აღმსარებელთა ან აღსარებისათვის გამზადებულთა გაერთიანებებს მათი თხოვნით მიანიჭებენ შესაბამის ქვეყნებში მათთვის გათვალისწინებულ სტატუსს.

16.4 – პატივს სცემენ ამ რელიგიურ გაერთიანებათა უფლებას.

– დააარსონ და შეინახონ ღვთისმსახურების ან კრებების თავისუფლად მისაწვდომი ადგილები.

– მოეწყონ საკუთარი იერარქიული და ინსტიტუციური სტრუქტურის მიხედვით.

– აირჩიონ, დანიშნონ და შეცვალონ თავისი პერსონალი საკუთარი მოთხოვნებისა და სტანდარტების თანახმად, აგრეთვე მათ და სახელმწიფოს შორის ნებისმიერი თავისუფალი შეთანხმების მიხედვით.

– გამოითხოვონ და მიიღონ ნებაყოფლობითი ფინანსური და სხვა შეწირულობანი.

16.5 – მოეთათბირონ რელიგიურ კულტებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს რელიგიურ თავისუფლებათა საჭიროების უკეთ გაგების მიზნით.

16.6 – პატივს სცემენ ყველას უფლებას, მისცეს ან მიიღოს რელიგიური განათლება მის მიერ არჩეულ ენაზე ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად.

16.7 – ამ კონტექსტში პატივს სცემენ მშობელთა თავისუფლებას უზრუნველყონ შვილების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი შეხედულებების მიხედვით.

16.8 – მისცემენ შესაბამის დაწესებულებებს რელიგიური პერსონალის მომზადების ნებას.

16.9 – პატივი სცენ მორწმუნეთა და რელიგიურ გაერთიანებათა უფლებას, შეიძინონ და ისარგებლონ საღმრთო წიგნებით, რელიგიური გამოცემებით მათ მიერ არჩეულ ენაზე და სხვა საგნებით და მასალებით, რომლებიც საჭიროა რელიგიის ან სარწმუნოების აღმსარებლობისათვის და ფლობდნენ მათ.

16.10 – ნებას დართავენ რელიგიურ კულტებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, აწარმოონ, უცხოეთიდან შემოიტანონ და გაავრცელონ რელიგიური გამოცემები და მასალები.

16.11 – კეთილმოსურნედ განიხილავენ რელიგიურ გაერთიანებათა სურვილს, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დიალოგში, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით".

ამასთან, ვენის შემაჯამებელი დოკუმენტის მე-17 პრინციპი ამტკიცებს, რომ: „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ზემოხსენებული უფლებების განხორციელება, რომლებიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას ეხება (როგორც ეს დაწვრილებითაა განხილული 16.1 – 16.11 პრინციპში), შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვებს, რაც დადგენილია კანონით და ეთანხმება საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ და მათ საერთაშორისო ვალდებულებებს. ისინი თავის კანონებსა და ადმინისტრაციულ წესებში და მათი გამოყენებისას უზრუნველყოფენ აზრის, სინდისის, რელიგიის ან რწმენის თავისუფლების სრულ და ეფექტურ განხორციელებას".

ეს ფორმულირება, როგორც ჩანს, იმეორებს საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციაში წარმოდგენილ გამოთქმებს: „აუცილებელია" და „აუცილებელია დემოკრატიულ საზო-გადოებაში".

ვენის შემაჯამებელი დოკუმენტის მე-19 პრინციპი მონაწილე სახელმწიფოებს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ეროვნულ

უმცირესობათა თვითმყოფადობის (მათ შორის, რელიგიურის) დასაცავად. კერძოდ:

„ისინი (მონაწილე სახელმწიფოები) დაიცავენ და შექმნიან პირობებს ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის წასახალისებლად თავის ტერიტორიაზე. პატივისცემით მოეპყრობიან იმ პირთა მიერ, რელიგიურ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან, თავისი უფლებების თავისუფლად განხორციელებას და უზრუნველყოფენ მათ სრულ თანასწორობას სხვებთან".

ამასთან, დოკუმენტის 21-ე პრინციპი მოითხოვს:

„მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ზემოხსენებულ უფლებათა (მათ შორის რელიგიის თავისუფლების უფლების — შენიშვნა ჩვენია) განხორციელება არაფრით შეიზღუდოს, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და ეთანხმება მათ საერთაშორისო სამართლით. კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს და მათ საერთაშორისო, კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით ნაკისრ ვალდებულებებს. ეს შეზღუდვები გამონაკლისი ხასიათისაა. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ეს შეზღუდვები ბოროტად არ გამოიყენონ და რომ მათ იყენებდნენ არა თვითნებურად, არამედ ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამ უფლებათა ეფექტური განხორციელება".

ვენის შემაჯამებელი დოკუმენტის განყოფილების — „თანამშრომლობა ჰუმანიტარულ და სხვა დარგებში" — 32-ე პარაგრაფი მონაწილე-სახელმწიფოებს შემდეგ ვალდებულებას აკისრებს:

„ისინი (მონაწილე სახელმწიფოები) ნებას დართავენ მორწმუნეებს, რელიგიურ კულტებსა და მათ წარმომადგენლებს, რათა მათ ჯგუფურ ან ინდივიდუალურ საფუძველზე დაამყარონ და შეინარჩუნონ უშუალო პირადი კონტაქტები და ურთიერთობა

ერთმანეთთან მათ საკუთარ და აგრეთვე სხვა ქვეყანაში, კერძოდ მოგზაურობის, მომლოცველობისა და კრებებსა და სხვა რელიგიურ ღონისძიებებში მონაწილეობის გზით. ამ კონტექსტში და იმ ზომით, რამდენადაც ეს შეეფარდება ასეთ კონტაქტებსა და ღონისძიებებს, იმათ, ვის შესახებაცაა საუბარი, ნება მიეცემათ, მიიღონ და თან წაიღონ რელიგიური პუბლიკაციები და საკულტო საგნები, რომლებიც მათი რელიგიის ან მრწამსის აღმსარებლობას უკავშირდება".

რელიგიის თავისუფლების პრობლემასთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს მოცემული დოკუმენტის განყოფილებაში – „თანამშრომლობა და გაცვლები განათლების სფეროში", კერძოდ, მის 68-ე პარაგრაფში ჩამოყალიბებული დებულებანი იმის თაობაზე:

„ისინი (მონაწილე სახელმწიფოები) უზრუნველყოფენ, რომ პირებმა, ეროვნულ უმცირესობებს ან რეგიონულ კულტურებს რომ ეკუთვნიან, მათ ტერიტორიებზე შეძლონ გასცენ და მიიღონ ცოდნა მათი საკუთარი კულტურის შესახებ, მათ რიცხვში, მშობლების მიერ თავისი შვილებისათვის ენობრივი, რელიგიური და კულტურული თვითმყოფადობის გადაცემის გზით".

რელიგიის თავისუფლების პრობლემასთან მიმართებაში აგრეთვე უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის" ადამიანური განზომილების საკითხებზე გამართული კონფერენციის კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტი, რომელიც მიღებულ იქნა 1990 წლის 29 ივნისს[1].

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოები დარწმუნებული არიან, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა აღიარება და დაცვა თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველია. ამიტომ, მათ

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, მხარი დაუჭირონ და განავითარონ სამართლიანობის ეს პრინციპები, რომლებიც თავის მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, კოპენჰაგენის თათბირის მონაწილეების აზრით სამართლებრივი სახელმწიფო ნიშნავს არა უბრალოდ ფორმალურ კანონიერებას, არამედ ისეთ სამართლიანობასაც, რომელიც ემყარება ადამიანის პიროვნების უმაღლესი ღირებულების აღიარებასა და სრულად მიღებას. ეს სამართლიანობა გარანტირებულია ისეთი სტრუქტურებით, რომელიც მის სრულ გამოხატვას უზრუნველყოფს. თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა ჩამოაყალიბეს სამართლიანობის ის პრინციპები, რომლებიც „არსებითად აუცილებელია ადამიანის პიროვნების დამახასიათებელი ღირსების სრულად გამოხატვისათვის, და ყველა ადამიანის თანასწორ და განუყოფელ უფლებათა რიცხვს განეკუთვნება". ამ პრინციპებიდან ჩვენთვის საინტერესოა მეორე თავის მე-9 პრინციპი, სადაც ნათქვამია: „მონაწილე სახელმწიფოები ადასტურებენ რომ,

(...)

„9.4 – ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება შეიცავს რელიგიისა და რწმენის გამოცვლის თავისუფლებას და თავისუფლებას, აღიარებდე შენს რელიგიას ან სარწმუნოებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძო წესით კულტის აღსრულების, სწავლების და რელიგიური და სარიტუალო წესჩვეულებათა შესრულების გზით. ამ უფლებათა განხორციელება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც დაწესებულია კანონით და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს".

კოპენჰაგენის თათბირის ეს დოკუმენტი საყურადღებოა იმითაც, რომ მისი მეორე თავის მე-18 პრინციპში დაწვრილებით არის

ჩამოყალიბებული სინდისის, რწმენის მიმართება სავალდებულო სამხედრო სამსახურთან. კონკრეტულად, აქ ნათქვამია:

„18. მონაწილე სახელმწიფოები:

18.1 – აღნიშნავენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიამ აღიარა ყოველი პირის უფლება, უარი თქვას სამხედრო სამსახურზე სინდისის რწმენის გამო.

18.2 – აღნიშნავენ მთელ რიგ სახელმწიფოთა მიერ ბოლო დროს მიღებულ ზომებს, რათა ნება დართონ გაათავისუფლონ სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან სინდისის რწმენის გამო უარის საფუძველზე.

18.3 – აღნიშნავენ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მოღვაწეობას სინდისის რწმენის გამო სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმასთან დაკავშირებით.

18.4 – თანახმა არიან, განიხილონ, სადაც ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ ალტერნატიული სამსახურის სხვადასხვა ფორმის შემოღების საკითხი, თუ ეს ფორმები შესათავსებელია სინდისის რწმენით უარის თქმის მოტივებთან, ამასთან, ალტერნატიული სამსახურის ეს ფორმები, პრინციპში, არ იქნება დაკავშირებული საბრძოლო ნაწილებში სამსახურთან, ან სამოქალაქო ხასიათი ექნება, საზოგადოებრივად სასარგებლო იქნება და არ ექნება რაიმე სასჯელის ხასიათი.

18.5 – ვალდებულებას კისრულობენ გახადონ ინფორმაცია ამ საკითხის შესახებ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი.

18.6 – დატოვებენ ადამიანური განზომილების შესახებ კონფერენციის ფარგლებში განსახილველად შესაბამის საკითხებს დაკავშირებულთ სავალდებულო სამხედრო სამსახურთან, სადაც ასეთი არსებობს, ცალკეულ პირთა გათავისუფლების თაობაზე სინდისის რწმენის გამო შეიარაღებულ ძალებში სამსახურზე

უარის თქმის საფუძველზე და გაუცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას ამ საკითხებზე".

კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტის მეორე თავის 24-ე პრინციპი შეეხება დოკუმენტში გადმოცემულ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა (მათ შორის, ცხადია, რელიგიური თავისუფლების) განხორციელებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. კერძოდ, მასში ნათქვამია:

„მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ზემოთ გადმოცემული (დოკუმენტის მეორე განყოფილებაში – შენიშვნა ჩვენია) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელება არაფრით არ უნდა შეიზღუდოს, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და შეესაბამება საერთაშორისო სამართლით, კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს და მათს საერთაშორისო, კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით ნაკისრ ვალდებულებებს. ეს შეზღუდვები გამონაკლისის ხასიათისაა. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ამ შეზღუდვებს ბოროტად და თვთინებურად არ იყენებდნენ, არამედ ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამ უფლებათა ეფექტურად განხორციელება.

უფლებათა და თავისუფლებათა ყოველგვარი შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა ეთანხმებოდეს გამოყენებული კანონის ერთ-ერთ მიზანს და ზუსტად შეეფარდებოდეს ამ კანონის დანიშნულებას".

ამავე განყოფილების 25-ე პრინციპი შეეხება გადახვევებს მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებებიდან. კერძოდ, 25-ე პრინციპში აღნიშნულია:

„25. მონაწილე სახელმწიფოები ადასტურებენ, რომ ყოველგვარი

გადახვევა იმ ვალდებულებებისაგან, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს ეხება, საგანგებო მდგომარეობის პირობებში უნდა დარჩეს ზუსტად იმ ფარგლებში, საერთაშორისო სამართლით, კერძოდ, შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტით რომაა გათვალისწინებული რომელთა მონაწილენიც ისინი არიან. ეს განსაკუთრებით ეხება იმ უფლებებს, რომელთაგან გადახვევა არ შეიძლება. ისინი აგრეთვე ადასტურებენ, რომ:

25.1 – ზომები, მიღებული ასეთ ვალდებულებათაგან გადახვევით, ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ამ ინსტრუმენტებში გადმოცემულ საპროცედურო მოთხოვნებს.

25.2 – საგანგებო მდგომარეობის შემოღება უნდა გამოცხადდეს ოფიციალურად, საქვეყნოდ და კანონით განმტკიცებულ დებულებათა შესაბამისად.

25.3 – ვალდებულებათაგან გადახვევით მიღებული ზომები ზუსტად უნდა იყოს შეზღუდული იმ ჩარჩოებით, რომლებსაც მდგომარეობის სიმწვავე მოითხოვს.

25.4 – ასეთმა ზომებმა არ უნდა გამოიწვიოს დისკრიმინაცია, განსაკუთრებით რასობრივი კუთვნილებისა, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, სოციალური წარმოშობისა და უმცირესობისადმი კუთვნილების საფუძველზე".

კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტის მეოთხე თავი ეძღვნება ეროვნულ უმცირესობათა უფლებებთან მიმართებაში მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. კერძოდ, ამ განყოფილების 30-ე პრინციპში აღნიშნულია რელიგიური ჯგუფების მნიშვნელოვანი როლი შემწყნარებლობისა და კულტურული მრავალფერონების წახალისებაში ეროვნულ უმცირესობათა საკითხების გადაწყვეტის დროს. ამ განყოფილების 32-ე პრინციპში კი ვკითხულობთ:

„...იმ პირებს, ეროვნულ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან, უფლება აქვთ თავისუფლად გამოხატონ, დაიცვან და შეინარჩუნონ თავისი ეთნიკური, კულტურული, ენობრივი ან რელიგიური თვითმყოფადობა, ხელი შეუწყონ და განავითარონ თავისი კულტურა ყოველი ასპექტით, ამასთან, არ ემუქრებოდეთ ასიმილაციის არავითარი მცდელობა საკუთარი ნების წინააღმდეგ. კერძოდ, მათ უფლება აქვთ:

(...)

„32.2 – შექმნან და დაიცვან საკუთარი საგანმანათლებლო, კულტურული და რელიგიური დაწესებულებები, ორგანიზაციები ან ასოციაციები, რომელთაც შეუძლიათ ეძებონ ნებაყოფლობითი ფინანსური და სხვა შემწეობა, აგრეთვე სახელმწიფოს მხარდაჭერა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

32.3 – აღიარებდნენ თავის რელიგიას, შეიძინონ, ფლობდნენ და იყენებდნენ რელიგიურ მასალებს და ახორციელებდნენ რელიგიურ საქმიანობას განათლების დარგში მშობლიურ ენაზე.

32.4 – დაამყარონ და იქონიონ შეუფერხებელი კონტაქტები ერთმანეთთან თავისი ქვეყნის ფარგლებში, აგრეთვე საზღვარგარეთ სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებთან, რომლებთანაც აკავშირებთ საერთო ეთნიკური ან ეროვნული წარმოშობა, კულტურული მემკვიდრეობა და/ან რელიგიური რწმენა.

(...)

32.6 – შექმნან და შეინახონ ორგანიზაციები და ასოციაციები (მათ შორის, რელიგიური – შენიშვნა ჩვენია) თავისი ქვეყნის ფარგლებში და მონაწილეობდნენ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში.

პირებს, ეროვნულ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან, შეუძლიათ ახორციელებდნენ თავის უფლებებს (მათ შორის, რელიგიურს – შენიშვნა ჩვენია) და სარგებლობდნენ ამ უფლებებით ინდივიდუალურად, ასევე თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად. პირს, ეროვნულ უმცირესობას რომ ეკუთვნის, არ შეიძლება შეექმნას არახელსაყრელი შედეგები ნებისმიერი ასეთი უფლების განხორციელების ან განუხორციელებლობის მიზეზით".

ამავე დოკუმენტის 33-ე პრინციპში საუბარია ეროვნულ უმცირესობათა რელიგიური თვითმყოფადობის დაცვაზე. კერძოდ:

„მონაწილე სახელმწიფოები დაიცავენ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფობას თავის ტერიტორიაზე და შექმნიან ამ თვითმყოფობის წახალისების პირობებს. ისინი ამ მიზნით მიიღებენ საჭირო ზომებს სათანადო კონსულტაციების შემდეგ, ასეთ უმცირესობათა ორგანიზაციებსა და ასოციაციებთან კონტაქტების ჩათვლით, თითოეული სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის შესაბამისად.

ყოველი ასეთი ღონისძიება უნდა შეესატყვისებოდეს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოთა სხვა მოქალაქეებთან თანასწორობისა და არადისკრიმინაციის პრინციპებს".

დოკუმენტის 35-ე პრინციპში კი აღნიშნულია ის ძალისხმევა, რომელიც ხორციელდება ეროვნულ უმცირესობათა თვითმყოფობის (მათ შორის, რელიგიურის) დასაცავად. კონკრეტულად, 35-ე პრინციპში ვკითხულობთ:

„მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ იმ პირების, ეროვნულ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან, უფლებას ეფექტიანად მონაწილეობდნენ სახელმწიფო საქმეებში, იმ საქმეებში მონაწილეობის ჩათვლით, რომლებიც ასეთ უმცირესობათა თვითმყოფობის დაცვასა და წახალისებას ეხება.

მონაწილე სახელმწიფოები აღნიშნავენ ძალისხმევას, რომელიც ხორციელდება გარკვეულ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფობის დასაცავად და მისი წახალისების პირობების შესაქმნელად. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად მათ მიაჩნიათ დაინტერესებული სახელმწიფოს პოლიტიკის შესაბამისად, მმართველობის სათანადო ადგილობრივი და ავტონომიური ორგანოების შექმნა, რომლებიც შეესაბამება ასეთ უმცირესობათა კონკრეტულ ისტორიულ და ტერიტორიულ პირობებს".

მომდევნო, 36-ე პრინციპში აღნიშნულია ეროვნულ უმცირესობათა საკითხებზე კონსტრუქციული თანამშრომლობის განვითარების მნიშვნელობა ადამიანებს შორის, განურჩევლად მათი ეთნიკური, ეროვნული წარმოშობისა ან რელიგიისა. კერძოდ, 36-ე პრინციპში მითითებულია:

„მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა საკითხებზე კონსტრუქციული თანამშრომლობის განვითარების მნიშვნელობას. ასეთი თანამშრომლობის მიზანია ხელი შეუწყოს ურთიერთგაგებასა და ნდობას, მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობას, საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას.

ყოველი მონაწილე სახელმწიფო ხელს შეუწყობს იმას, რომ ურთიერთპატივისცემის, ნდობის, თანამშრომლობისა და სოლიდარობის ვითარება დამყარდეს იმ პირთა შორის, რომლებიც მის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, განურჩევლად ეთნიკური, ეროვნული წარმოშობისა ან რელიგიის და წაახალისებენ პრობლემების გადაწყვეტას დიალოგის საშუალებით, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპებს დაემყარება".

კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტის მეოთხე თავში, კერძოდ, მის მე-40 პრინციპში მონაწილე სახელმწიფოები უპირობოდ გმობენ ყოველგვარ სიძულვილს, დისკრიმინაციას, რელიგიური

მოტივებით დევნას და მიზნად ისახავენ ამ მოვლენებთან აქტიურ ბრძოლას. კერძოდ:

„40. მონაწილე სახელმწიფოები გარკვევით და უპირობოდ გმობენ ტოტალიტარიზმს, რასობრივ და ეთნიკურ სიძულვილს, ანტისემიტიზმს, ქსენოფობიასა და დისკრიმინაციას, ვის წინააღმდეგაც უნდა იყოს მიმართული, აგრეთვე რელიგიური და იდეოლოგიური მოტივებით დევნას (...).

ისინი აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ განზრახული გააქტიურონ ღონისძიებები ამ მოვლენებთან საბრძოლველად ყველა ფორმით და ამიტომ:

40.1 – განახორციელებენ ეფექტურ ღონისძიებებს, მათ შორის, თავისი კონსტიტუციური სისტემებისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, მიიღებენ ისეთ კანონებს, რომლებიც შეიძლება აუცილებელი დარჩეს იმ ნებისმიერი აქტისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად, რაც აქეზებს ცალკეული პირისა და ჯგუფის წინააღმდეგ ძალადობას, რომლის საფუძველია ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური დისკრიმინაცია, მტრობა ან სიძულვილი, ანტისემიტიზმის ჩათვლით.

40.2 – კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ სათანადო და შესაბამისი ზომები იმ პირებისა და ჯგუფების დასაცავად, რომელთა მიმართაც შეიძლება გამოიყენონ დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის მუქარა ან აქტები მათი რასობრივი, ეთნიკური, კულტურული, ენობრივი ან რელიგიური თვითმყოფობის შედეგად, აგრეთვე მათი საკუთრების დასაცავად“.

ევროპის დოკუმენტებიდან უდავოდ მეტად მნიშვნელოვნად უნდა იქნეს მიჩნეული 1990 წლის 21 ნოემბერს მიღებული „პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის“, რომელიც პარიზში გამართული ევროთათბირის შემაჯამებელ დოკუმენტებს წარმოადგენს[1].

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა სახელმწიფო და მთავრობათა მეთაურების შეკრება პარიზში მოხდა მაშინ, როდესაც ევროპაში დასრულდა კონფრონტაციის ერა და დასაბამი მიეცა დემოკრატიის – მშვიდობისა და ერთიანობის ახალ ეპოქას.

თათბირის მონაწილეებმა იკისრეს ვალდებულება – ააშენონ და განამტკიცონ დემოკრატია, როგორც მმართველობის ერთადერთი სისტემა მათ ქვეყნებში, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანის პიროვნების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების და კანონის უზენაესობის პატივისცემა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ არავინ უნდა იდგეს კანონზე მაღლა.

პარიზის თათბირის მონაწილეებმა დაადასტურეს ის ძირითადი უფლებები, რაც გააჩნია ყოველ ადამიანს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამათგან ჩვენს თემასთან დაკავშირებით საყურადღებოა მე-5 პარაგრაფში წარმოდგენილი აზრი სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ.

მე-6 პარაგრაფში კი აღნიშნულია:

„ჩვენ (მონაწილე სახელმწიფოები – შენიშვნა ჩვენია), ვადასტურებთ, რომ დაცული იქნება ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფობა და რომ პირებს, ეროვნულ უმცირესობებს რომ ეკუთვნიან, უფლება ჰქონდეთ გამოხატონ, დაიცვან და განავითარონ ეს თვითმყოფადობა ყოლველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და კანონის წინაშე სრული თანასწორობის პირობებში“.

პარიზის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა დასახეს მომავლის ორიენტირები მათი თანამშრომლობის ბალანსირებული და ყოველმხრივი განვითარებისათვის. ამასთან, დოკუმენტის სპეციალური თავის – „მომავლის ორიენტირები“ – პარაგრაფი 3 მიუთითებს, რომ მონაწილე სახელმწიფოებს

„მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ხელი შევუწყოთ ეროვნულ უმცირესობათა მდიდარ წვლილს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში და ვკისრულობთ, კვლავაც გავაუმჯობესოთ მათი მდგომარეობა. კვლავ ვადასტურებთ ჩვენს ღრმა რწმენას, რომ ჩვენი ხალხების მეგობრული ურთიერთობა, აგრეთვე მშვიდობა, სამართლიანობა, სტაბილურობა და დემოკრატია მოითხოვს, რათა ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფობა დაცული იყოს და იქმნებოდეს ამ თვითმყოფობის წახალისების პირობები“.

(...)

ხოლო მე-4 პარაგრაფში კი გამოცხადებულია, რომ მონაწილე სახელმწიფოებს:

„მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ვიბრძოლოთ ყოველგვარი სახის რასობრივი და ეთნიკური სიძულვილის, ანტისემიტიზმის, ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ვისაც უნდა ეხებოდეს, და აგრეთვე, რელიგიური და იდეოლოგიური მოტივებით დევნის წინააღმდეგ“.

ამრიგად, როგოც ვხედავთ, „პარიზის ქარტიამ ახალი ევროპისათვის“ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლების პატივისცემა და დაცვა, ადამიანთა რელიგიური თვითმყოფობის განვითარება, დაცვა და წახალისება პლურალისტურ დემოკრატიაზე დაფუძნებული სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობაა, რომელსაც მტკიცედ დაუჭირეს მხარი პარიზში გამართული ევროთათბირის მონაწილე ხელმძღვანელებმა. „პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის“ ეუთოს მიერ კიდევ ერთ წინ გადადგმულ და უაღრესად სასარგებლო ნაბიჯად იქცა რელიგიური თავისუფლების დაცვისათვის ბრძოლის მეტად რთულ და გრძელ გზაზე.

როგორც ცნობილია, ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი ითვალისწინებს რეგულარული მომდევნო თათბირების, სამიტების, კონფერენციების, სემინარებისა და შეხვედრების ჩატარებას. ამ ღონისძიებათა ჩატარების პროცესში ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებს საშუალება ეძლევათ, იქონიონ ფორუმი, რომელზეც განიხილავენ ადამიანური განზომილების სფეროში ნაკისრ ვალდებულებათა ფაქტიურ შესრულებას. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ფორუმად იქცა „ეუთოს ადამიანური განზომილების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მოსკოვის თათბირი", რომელზეც 1991 წლის 3 ოქტომბერს მიღებულ იქნა შესაბამისი დოკუმენტი[1].

მოსკოვის თათბირში მონაწილე სახელმწიფოებმა თავისი თვალსაზრისი გამოთქვეს ადამიანური განზომილების დარგში ვალდებულებათა შესრულების შესახებ. მათი აზრით, კოპენჰაგენის თათბირის შემდეგ შეინიშნებოდა იმ ვალდებულებათა შესრულების არსებითი გაუმჯობესება, რომლებსაც შეიცავს ევროთათბირის დოკუმენტთა შესაბამისი დებულებები. ამასთან, მიუხედავად ამ პროგრესისა, აღინიშნება ეუთოს პრინციპების სერიოზული დარღვევებიც, კერძოდ, პირების ან ჯგუფების წინააღმდეგ ეროვნული, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით განხორციელებული დისკრიმინაცია, მტრობისა და ძალადობის აქტები.

---

[1] ეუთოს ტერმინოლოგიის თანახმად, ტერმინი „ადამიანური განზომილება" იხმარება ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიასთან დაკავშირებული საქმიანობის იმ ნორმებისა და სახეობების ერთობლიობის აღსანიშნავად, რომელთაც ეუთო განიხილავს როგორც უშიშროების სამი განზომილებიდან ერთ-ერთს, თანაბრად სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკურ-ეკოლოგიური განზომილებისა. ამრიგად, ტერმინი „ადამიანური განზომილება" გულისხმობს იმასაც, რომ ადამიანურ განზომილებასთან დაკავშირებული ეუთოს ნორმები უფრო ფართო სფეროს მოიცავს, ვიდრე „ადამიანის უფლებათა ტრადიციული უფლება"

იხ. OSCE HUMAN DIMENSION COMMITMENTS. A REFERENCE GUIDE. Published by OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), Warsaw, 2001, p.XIV.

აქედან გამომდინარე, მონაწილე სახელმწიფოებმა საჭიროდ მიიჩნიეს შეუნელებელი ძალისხმევის განხორციელება ადამიანური განზომილების დარგში მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული რეალიზაციისათვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ე. წ. ადამიანური განზომილების მექანიზმი, კერძოდ, ვენის მექანიზმი[1] და მოსკოვის მექანიზმი[2], რომელიც ნაწილობრივ ვენის მექანიზმის შემდგომ გაგრძელებას წარმოადგენს. ორივე ეს მექანიზმი (ვენისა და მოსკოვის) ერთად შეადგენს ადამიანური განზომილების სფეროში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე ზედამხედველობის ერთიან საშუალებას, რომლის დახმარებითაც ეუთოს ცალკეულ მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გაანალიზონ კონკრეტული სიტუაციები.

ვენის მექანიზმი მონაწილე სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, გამოიყენონ პროცედურათა ერთობლიობა, რათა წამოსწიონ ეუთოს სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ ადამიანური განზომილების სფეროში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებული საკითხი.

რაც შეეხება მოსკოვის მექანიზმს, ის ეყრდნობა ვენის მექანიზმს და დამატებით საშუალებას იძლევა, ფორმირებულ იქნას დამოუკიდებელ ექსპერტთა სპეციალური მისიები, რომლებიც დახმარებას გასწევენ ადამიანური განზომილების საკითხებთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემების გადაჭრისას.[3]

ვენის შემაჯამებელი დოკუმენტის ადამიანური განზომილებისადმი მიძღვნილ განყოფილებაში გადმოცემული ადამიანური განზო-

---

[1] შექმნილია ვენის 1989 წლის შემაჯამებელი დოკუმენტის შესაბამისად.

[2] გადაწყვეტილება მოსკოვის მექანიზმის შექმნის თაობაზე მიღებულ იქნა ეუთოს კონფერენციაზე ადამიანური განზომილების შესახებ მოსკოვში, 1991 წელს.

[3] ამჟამად ეუთოს დამოუკიდებელი ინსტიტუტი – ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ბიურო (ODIHR) კვლავ აღიარებს ექსპერტთა სიას, როგორც ამას მოითხოვს მოსკოვის მექანიზმი.

მილების მექანიზმის განმტკიცებისა და გაფართოების, აგრეთვე იმ ვალდებულებათა განვითარებისა და გაღრმავებისათვის, რომლებსაც შეიცავს ევროთათბირის ადამიანური განზომილების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტი, მონაწილე სახელმწიფოებმა მიიღეს სხვა დებულებათა შორის შემდეგი (თავი მეორე, პარაგრაფი 28):

„28. მონაწილე სახელმწიფოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვას საგანგებო მდგომარეობის პირობებში, კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტის შესაბამის დებულებათა გათვალისწინებას და იმ საერთაშორისო კონვენციების დაცვას, რომელთა მხარეებსაც ისინი წარმოადგენენ.

(...)

28.6 – მონაწილე სახელმწიფოები ადასტურებენ, რომ ნებისმიერი გადახვევა იმ ვალდებულებებისაგან, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს ეხება, საგანგებო მდგომარეობის პირობებში არ უნდა გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლით, კერძოდ, მათთვის სავალდებულო შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტებით, განსაკუთრებით იმ უფლებათა მიმართ, რომელთაგან გადახვევაც არ შეიძლება.

28.7 – მონაწილე სახელმწიფოები შეეცდებიან არ გადაუხვიონ იმ ვალდებულებებს, რომელთაგან გადახვევა იმ საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, რომელთა მონაწილენიც ისინი არიან, საგანგებო მდგომარეობის პირობებში შეუძლებელია. ამ ვალდებულებათაგან გადახვევის შედეგად მიღებული ზომები ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ამ დოკუმენტებით განმტკიცებულ პროცესუალურ მოთხოვნებს. ასეთი ზომები არც გამკაცრდება და არც უფრო მეტ ხანს დარჩება ძალაში, ვიდრე ეს სრულიად აუცილებელია კონკრეტულ სიტუაციაში; ეს ზომები თავისი

ხასიათით განსაკუთრებულია და უნდა განიმარტოს და გამოყენებულ უნდა იქნას შეზღუდულად. ასეთი ზომები არ გამოიწვევს დისკრიმინაციას განსაკუთრებით რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, სოციალური წარმოშობის ან ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების ნიშნით".

მოსკოვის თათბირის დოკუმენტის მესამე თავის 42-ე პარაგრაფი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს განათლებას ადამიანის უფლებათა დარგში და მიუთითებს:

„42. მონაწილე სახელმწიფოები

42.1 – ადასტურებენ, რომ განათლებას ადამიანის უფლებათა დარგში ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს და ამასთან დაკავშირებით უაღერსად მნიშვნელოვანია, რომ მათ მოქალაქეებს აძლევდნენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა, აგრეთვე იმ ვალდებულებათა ცოდნას, რომ პატივს უნდა სცემდნენ ასეთ უფლებებსა და თავისუფლებებს, დაწესებული ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილენიც ისინი შეიძლება იყვნენ.

42.2 – აღიარებენ, რომ ეფექტიანი განათლება ადამიანის უფლებათა დარგში ხელს უწყობს ბრძოლას შეუწყნარებ-ლობასთან, რელიგიურ, რასობრივ და ეთნიკურ ცრურწმენებთან, სიძულვილთან,... ქსენოფობიასა და ანტისემიტიზმთან.

42.3 – ხელს შეუწყობენ იმას, რომ მათმა კომპეტენტურმა ორგანოებმა, რომლებიც სასწავლო პროგრამებს ამზადებს, შეიმუშაონ ეფექტური სასწავლო გეგმები და კურსები ადამიანის უფლებათა დარგში ყველა დონის სტუდენტებისათვის, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სამართალს, მართვასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებს სწავლობენ, აგრეთვე სამხედრო და საპოლიციო მართვა-გამგეობის ინსტიტუტების მოსწავლეებისათვის.

42.4 – მიაწოდებენ მათ მასწავლებლებს ინფორმაციას ევროთათბირის ადამიანური განზომილების ყველა დებულების შესახებ.

42.5 – წაახალისებენ ორგანიზაციებსა და სასწავლებლებს შორის თანამშრომლობას, რათა მათ შეიმუშაონ და ერთმანეთს გაუცვალონ პროგრამები ადამიანის უფლებათა დარგში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

42.6 – შეეცდებიან, რომ ამ ღონისძიებათა ფარგლებში, რომლებიც ხორციელდება იმ მიზნით, რათა განვითარდეს განათლება ადამიანის უფლებათა დარგში უფრო ფართო თვალსაზრისით, გათვალისწინებული იყოს არსებულ ისეთ საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანოებში თანამშრომლობის გამოცდილება, პროგრამები და ფორმები, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ევროპის კავშირი.

როგორც ვხედავთ, ეუთოს მოცემული დოკუმენტი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განათლებას ადამიანის უფლებათა დარგში. აღნიშნული, ცხადია, შეეხება რელიგიურ თავისუფლებასაც, რომელიც ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას წარმოადგენს. მოცემული ნაშრომის მიზანს სწორედ საქართველოს მოქალაქეთა ფართო ფენების განათლება შეადგენს რელიგიური თავისუფლების უფლების საკითხში, როგორც ამას ითხოვს ეუთოს სტანდარტები.

ადამიანური განზომილების დარგში ევროთათბირის ხაზით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების განხილვასა და ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაფართოებას მიეძღვნა „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ბუდაპეშტის სამიტის“ 1994 წლის გადაწყვეტილებანი. ბუდაპეშტის სამიტზე, მართალია, აღინიშნა მნიშვნელოვანი პროგრესი ადამიანური განზომილების დარგში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, მაგრამ ამავე დროს მონაწილე სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ ზოგიერთ სფეროში მდგომარეობა

სერიოზულად გაუარესდა და საჭირო ხდება სათანადო ზომების მიღება ადამიანის უფლებების განუწყვეტელი დარღვევების აღსაკვეთად.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მონაწილე სახელმწიფოებმა გადაჭრით დაგმეს ყოველგვარი შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია და მიზნად დაისახეს, განამტკიცონ ან მიიღონ სათანადო კანონმდებლობა ამის თაობაზე; აგრეთვე, განახორციელონ საჭირო ზომები არსებული კანონმდებლობის ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად, რათა აცილებულ იქნეს ეს არასასურველი მოვლენები. მონაწილე სახელმწიფოებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა განხილულ უნდა იქნეს, როგორც ინტეგრაციისთვის გამიზნული პოლიტიკისა და განათლების შემადგენელი ნაწილი.

ბუდაპეშტის სამიტის მონაწილე სახელმწიფოებმა დადებითად შეაფასეს შეუწყნარებლობის (მათ შორის, რელიგიური შეუწყნარებლობის) წინააღმდეგ მოქმედების გეგმა, რომელიც ევროპის საბჭომ მიიღო.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ბუდაპეშტის სამიტის მერვე თავში — „ადამიანური განზომილების დარგში თანამშრომლობისა და დიალოგისათვის ხელის შეწყობა" — კონკრეტულად კი, მის 27-ე პარაგრაფში მითითებულია, რომ მონაწილე სახელმწიფოები „კვლავ ადასტურებენ რა თავის ვალდებულებას უზრუნველყონ სინდისისა და რელიგიის თავისუფლება და ხელი შეუწყონ ურთიერთშემწყნარებლობისა და პატივისცემის ვითარების შექმნას სხვადასხვა თემის მორწმუნეთა შორის, აგრეთვე მორწმუნეთა და არამორწმუნეთა შორის. მათ შეშფოთება გამოთქვეს რელიგიის აგრესიული ნაციონალისტური მიზნით გამოყენების გამო."

იმასთან დაკავშირებით, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით გაიზარდა მუშა-მიგრანტების ნაკადი,

დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა მათი უფლებების (მათ შორის, რელიგიის თავისუფლების) დაცვის საკითხი. სწორედ ამიტომ, მონაწილე სახელმწიფოებმა სპეციალური ყურადღება დაუთმეს აღნიშნულ საკითხს. კერძოდ, ამავე თავის 28-ე პარაგრაფში აღნიშნულია:

„მონაწილე სახელმწიფოები კვლავ ადასტურებენ, რომ ადამიანის უფლებები საყოველთაო და განუყოფელია. მათ აღიარეს, რომ მუშა-მიგრანტების უფლებათა დაცვასა და უზრუნველყოფას თავისი ადამიანური განზომილება აქვს. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მუშა-მიგრანტებს აქვთ თავის ეთნიკურ, კულტურულ, რელიგიურ და ენობრივ თავისებურებათა თავისუფლად გამოვლენის უფლება. ამ უფლებების განხორციელების მიმართ მხოლოდ ისეთი შეზღუდვების გამოყენება შეიძლება, რომლებიც დადგენილია კანონით და შეესაბამება საერთაშორისო ნორმებით".

რელიგიის თავისუფლების საკითხის განხილვას სპეციალური ყურადღება დაუთმო ევროპის უსაფრთხოების ქარტიამ, რომელიც წარმოადგენს ეუთოს მონაწილე სახელმწიფოთა სტამბულის უმაღლესი დონის შეხვედრის დეკლარაციას, მიღებულს 1999 წლის 19 ნოემბერს[1].

სტამბულის ქარტიაში მონაწილე სახელმწიფოებმა გამოხატეს თავისი ერთსულოვანი განზრახვა, რათა პატივი სცენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, არ დაუშვან დისკრიმინაცია არავითარი ფორმით და აიღეს ვალდებულება, გააქტიურონ თავიანთი ძალისხმევა ეუთოს რეგიონში კონფლიქტების (მათ შორის, რელიგიური კონფლიქტების) აღკვეთის მიზნით, ხოლო იქ, სადაც ასეთი კონფლიქტები მაინც ხდება, შეეცადონ, ისინი გადაწყვიტონ მშვიდობიანი საშუალებებით.

---

[1] იხ. იქვე

რელიგიურ თავისუფლებასთან მიმართებაში ჩვენთვის უდავოდ საინტერესოა თავი – „ჩვენი საერთო პასუხი, ადამიანური განზომილება“, კერძოდ, პარაგრაფი 19. მასში აღნიშნულია:

„ჩვენ (მონაწილე სახელმწიფოები – შენიშვნა ჩვენია), კვლავ ვადასტურებთ, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პატივისცემას ცენტრალური ადგილი უკავია უშიშროების იმ ყოვლისმომცველ კონცეფციაში, რომელიც მიღებულ იქნა ეუთოს მიერ. ჩვენ საკუთარ თავზე ვიღებთ ვალდებულებას, რათა ამ გზით წინ აღვუდგეთ ისეთ საშიშროებას, როგორიცაა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევა აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ჩათვლით და აგრეთვე, შეუწყნარებლობის, აგრესიული ნაციონალიზმის, რასიზმის, შოვინიზმის, ქსენოფობიისა და ანტისემიტიზმის გამოვლინების წინააღმდეგ“.

აღნიშნულ პარაგრაფში აგრეთვე საუბარია იმაზე, რომ მონაწილე სახელმწიფოები კვლავაც ადასტურებენ მათ მიერ ადამიანური განზომილების საკითხებზე 1990 წელს გამართულ კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტის ჩარჩოებში აღებულ ვალდებულებებს, რომლებიც სრულად ასახავენ ეუთოს პრინციპებს და წარმოადგენენ ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის დაცვისა და განვითარების საშუალებებს მოცემული სახელმწიფოს ფარგლებში. აქვე მითითებულია, რომ მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ სათანადო ზომები შემწყნარებლობის, აღზრდისა და პლურალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

სტამბულის ქარტიის მეოთხე თავში – „ჩვენი საერთო ინტერესები, პოლიციის ფუნქციებთან დაკავშირებული საქმიანობა“ – საუბარია ეუთოს როლის განმტკიცებაზე პოლიციის მიერ იმ ფუნქციათა შესრულებისას, რომლებიც კონფლიქტების (მათ რიცხვში,

რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტების) აღკვეთას უკავშირდება. კერძოდ, ამ თავის 44-ე პარაგრაფში მითითებულია:

„ჩვენ (მონაწილე სახელმწიფოები – შენიშვნა ჩვენია) ვიმუშავებთ ეუთოს როლის გასაძლიერებლად სამოქალაქო პოლიციის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, რაც წარმოადგენს ორგანიზაციის (ეუთოს – შენიშვნა ჩვენია) ძალისხმევის შემადგენელ ნაწილს კონფლიქტების აღკვეთის, კრიზისების რეგულირებისა და პოსტკონფლიქტური აღდგენის დარგში. ასეთი საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს:

– საპოლიციო მონიტორინგს, მათ შორის, პოლიციის მხრიდან ისეთ მოქმედებათა დაუშვებლობის მიზნით, როგორიცაა დისკრიმინაცია რელიგიური და ეთნიკური ნიშნებით;

– პოლიციელთა კადრების მომზადებას, რომელიც სხვა ამოცანებთან ერთად შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

(...)

– პოლიციის ისეთი სამსახურის შექმნას, რომელიც თავის შემადგენლობაში გააერთიანებს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის და/ან სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონე პირებს და რომელსაც შესწევს უნარი, დაიმსახუროს მთელი მოსახლეობის ნდობა“.

(...)

ეუთო კვლავაც არ იშურებს თავის ძალისხმევას რელიგიური თავისუფლების დაცვის მიზნით. აღნიშნულ თემას მიეძღვნა ეუთოს ფარგლებში ჩატარებული რიგი სპეციალური კონფერენციები. ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოდ უნდა მივიჩნიოთ 1996 წელს ჩატარებული სემინარი ადამიანური განზომილების შესახებ, რომლის ძირითადი თემა იყო „რელიგიის თავისუფლების კონსტიტუციური, იურიდიული და ადმინისტრაციული ასპექტები“,

კონკრეტულად, რელიგიურ ორგანიზაციათა მიერ იურიდიული პირის სტატუსის მიღებისა და შენარჩუნების საკითხები. აღნიშნულის ანალოგიურად, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს ექსპერტთა საბჭომ მიზნად დაისახა 1996 წლის სემინარების თემის გაგრძელება, რელიგიის თავისუფლების საკითხებზე წარმოადგინა წინასწარი ანგარიში, სადაც მიუთითა „სარეგისტრაციო პროცედურის გამოყენების ტენდენციაზე რელიგიური ჯგუფების თავისუფლების მაკონტროლებელი მექანიზმის სახით."[1]

აღნიშნული საკითხი დეტალური განხილვის საგნად იქცა ეუთოს მიმოხილვით კონფერენციაზე 1999 წელს, რომლის თემა იყო „რელიგიისა და მრწამსის თავისუფლება: კანონები, რომლებიც გავლენას ახდენენ რელიგიური თემების სტრუქტურიზაციაზე". ამ კონფერენციის ანგარიშის სამუშაო რეზიუმეში მითითებულია, რომ „ეუთო თავისი შექმნის მომენტიდან აცნობიერებდა იურიდიული პირისა და სამართლის სუბიექტის სტატუსის მნიშვნელობას რელიგიური ორგანიზაციებისათვის, როგორც მათი რელიგიის ან მრწამსის თავისუფლების გამოვლინებას. უკანასკნელ წლებში ამ საკითხებმა მიიღო პრიორიტეტული მნიშვნელობა. კონფერენციის მასალებში პირველად იქნა შეჯამებული ეუთოს შესაბამისი საერთაშორისო ნორმები, სტანდარტები და რელიგიური ჯგუფებისათვის იურიდიული პირის სტატუსის მიღების საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამასთანავე მითითებულ იქნა, რომ იმ ქვეყნებში, რომლებშიც რელიგიურ გაერთიანებათა საქმიანობის მარე-გულირებელი კანონმდებლობა გამოიყენება როგორც მაკონ-ტროლებელი მექანიზმი, კანონები რელიგიურ

[1] იხ. ODIHR Advisory Panel of Experts on Freedom of Religion, Preliminary Report, Warsaw, 1 October 1998.

გაერთიანებათა შესახებ შეიძლება მნიშვნელოვნად ზღუდავდნენ რელიგიურ თავისუფლებას."[1]

• ამ კონფერენციის ანგარიშში აგრეთვე წარმოდგენილ იქნა რეკომენდაციები, რომელთა მიზანს შეადგენს შექმნან სათანადო პირობები იმისათვის, რათა კანონები რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ დაეხმარონ რელიგიურ თემებს მათ მოღვაწეობაში. ეს რეკომენდაციები გახლავთ შემდეგი:

• სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეფექტური ზომები, რათა თავიდან აცილებულ და ლიკვიდირებულ იქნას დისკრიმინაცია რელიგიური ჯგუფების მიმართ, რომელიც იმის გამო წარმოიშობა, რომ მათთვის მიუწვდომელია შესაბამისი იურიდიული სტატუსის მქონე სტრუქ-ტურები;

• სახელმწიფოებმა უნდა აწარმოონ დიალოგი რელიგიურ თემებთან, რათა უკეთ გაერკვნენ მათ გასაჭირში და ხელი შეუწყონ ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტობის კლიმა-ტის შექნას;

• დებულებანი, რომლებიც მოითხოვენ რეგისტრაციას, ლიკვი-დირებულ უნდა იქნას ეუთოს მონაწილე უმრავლეს სახელმწი-ფოთა პრაქტიკის შესაბამისად, რადგან ასეთი მოთხოვნები არ არის „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში";

• რელიგიურ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ რეგისტრაციის უფლება მოგების არმქონე ორგანიზაციათა კანონების შესაბამისად, თუკი მათ გააჩნიათ ამის სურვილი და აგრეთვე, ჰქონდეთ საშუალება,

---

[1] იხ. Freedom of religion or belief: laws affecting the structuring of religious communities. Organization for Security and Cooperation in Europe, Review Conference, September 1999, Office for Democratic Institutions and Human Rights, Background Paper. 1999/4 by Cole Durhum, p. 3 of 43.

რათა ასეთ შემთხვევაში აწარმოონ ყველა სახის რელიგიური მოღვაწეობა;

• „საბაზისო დონის" რელიგიური სუბიექტების დაფუძნება უნდა ხდებოდეს სწრაფად, მარტივად და არ მოითხოვდეს მნიშვნელოვან ხარჯებს;

• საბუთების განხილვა უნდა ხდებოდეს ფორმალური ნიშნების საფუძველზე და უნდა აიგოს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს შემცირებული რელიგიური დოქტრინის სფეროში ჩარევის რისკი;

• ბიუროკრატიული თვითნებობის შესაძლებლობა მაქსიმალურად უნდა იქნეს შემცირებული, მათ შორის ისეთ ცვლილებათა შეტანის გზით, როგორიცაა ავტომატური რეგისტრაცია განსაზღვრული გონივრული ხანმოკლე ვადის გასვლის შემდეგ მაშინ, როდესაც არ არსებობს სათანადო გადაწყვეტილება;

• მარეგისტრირებელი ორგანოების მიერ მოთხოვნილი საბუთების რაოდენობა მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი;

• გასაჩივრების პროცედურები უნდა იძლეოდნენ დამოუკიდებელი სასამართლოებისათვის მიმართვის გარანტიებს;

• უკუმოქმედების ძალის მქონე კანონმდებლობა, რომელიც მიმართული იქნება დადგენილ უფლებათა შელახვისკენ, უნდა იქნეს აკრძალული. მიღებულ უნდა იქნეს ზომები ასეთ პრობლემათა წარმოშობის თავიდან ასაცილებლად რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ ახალი კანონპროექტების შექმნის დროს.

ეუთოს აღნიშნული კონფერენციის ფარგლებში გაკეთებული ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები უდავოდ მეტად საყურადღებოა საქართველოს სინამდვილისათვის, რადგან ჩვენში ამჟამად აქტიურად განიხილება „კანონპროექტი რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ".

ეუთოს სივრცეში რელიგიის ან მრწამსის თავისუფლების პრობლემისადმი სულ უფრო მზარდ ინტერესს და მნიშვნელობას მოწმობს 2001 წლის ივნისში ჩატარებული სემინარი თემაზე: „რელიგიის ან მრწამსის თავისუფლება ეუთოს რეგიონში: კანონისა და პრაქტიკის მოთხოვნები".[1] სემინარზე ყურადღება იქნა გამახვილებული ისეთ თემაზე, როგორიცაა – რელიგიური გაერთიანებების აღიარება და რეგისტრაცია, კერძოდ: საჭიროა თუ არა რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაცია; რა მოთხოვნები უნდა წაუყენოს კანონმა რელიგიურ გაერთიანებებს რეგისტრაციის დროს და სხვ.

სემინარზე განხილული მეორე თემა იყო რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვა – რა არის დაშვებული კანონით პრაქტიკაში? კერძოდ, ამ თემის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი პრობლემები: რელიგიის ან მრწამსის თავისუფლების დარღვევა ეუთოს წევრ რიგ სახელმწიფოებში, როგორ განსაზღვრავენ სახელმწიფოები, თუ რამდენად შეესაბამება მათი ადგილობრივი კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა სფეროში ეუთოსა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს რელიგიის თავისუფლების სფეროში და სხვ.

სემინარზე გაკეთდა მთელი რიგი რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ რა გზებით უნდა გაუმჯობესდეს რელიგიის ან მრწამსის პრობლემასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ეუთოსა და საერთაშორისო სტანდარტების შესრულება მონაწილე სახელმწიფოთა საშინაო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მათი დანერგვის გზით.

სემინარის დასასრულს გაკეთდა დასკვნითი განცხადება, რომელშიც მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ სემინარზე გაკეთებული

---

[1] იხ. Seminar on Freedom of Religion or Belief in the OSCE region: Challenges to Law and Practice. The Hague, 26 June, 2001, p. 13-14.

დასკვნები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს შემდგომ პროგრესს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის სფეროში.

სემინარზე ითქვა, რომ ეუთოს სივრცის მთელ რიგ ქვეყნებში კვლავაც აღნიშნება დისკრიმინაცია რელიგიის ან მრწამსის საფუძველზე. ამიტომ იქ, სადაც დისკრიმინაციის ფაქტები აღინიშნება, საჭიროა განხორციელდეს მკაცრი მონიტორინგი.

სემინარზე ხაზგასმით იქნა მითითებული სამართლებრივი ბაზის მოწესრიგების აუცილებლობა, რაც ხელს შეუწყობს ეუთოს სივრცეში რელიგიურად ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებას. საჭიროა ყველა მორწმუნეს მიეცეს იმის საშუალება, რომ მათ ააშენონ თავიანთი სამლოცველო დაწესებულებები, ჩაატარონ ღვთისმსახურება, აგრეთვე ნათლობის, ქორწინებისა და დაკრძალვის ცერემონიალები თავისი რელიგიური წეს-ჩვეულებების შესაბამისად. მორწმუნეებს ასევე საშუალება უნდა მიეცეთ, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი რელიგიური შეხედულებანი ჟურნალებში, გაზეთებსა და მასმედიის სხვა საშუალებებში.

სემინარზე გამოითქვა აზრი, რომ რელიგიურად აბსოლუტურად ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის, საჭიროა გავაერთიანოთ რელიგიური შემწყნარებლობის საკითხისადმი პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური მიდგომა.

სემინარზე აუცილებლობად იქნა მიჩნეული რელიგიურ ლიდერებს შორის ღია დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარება. აგრეთვე ითქვა რომ, რელიგიური თემების სულიერ ლიდერებს აკისრიათ მოვალეობა, ჩაწვდნენ თითოეული მორწმუნის გონებას და ხელი შეუწყონ სხვადასხვა რელიგიების მიმდევართა შორის შემწყნარებლობისა და ერთიანობის განმტკიცებას, რამეთუ საჭიროა, რელიგია ან მრწამსი იქცეს ადამიანთა გამაერთიანებელ და არა მათ გამთიშველ ფაქტორად.

სემინარზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ რელიგიურად ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი როლის შესრულება შეუძლიათ როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე ორგანიზაციებს (მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებს), ხელისუფლებასა და მასმედიას.

თავის მხრივ, ეუთოც მოვალეა მკაცრი მონიტორინგი დაუწესოს წევრ სახელმწიფოებს, რათა მოსთხოვოს მათ ადგილობრივი კანონმდებლობის სრულ შესაბამისობაში მოყვანა ეუთოს სტანდარტებთან და მათი დაცვა ყველა იმ პრობლემასთან მიმართებაში, რომელიც რელიგიას ან მრწამსის თავისუფლებას უკავშირდება.

სემინარზე მითითებულ იქნა, რომ „ეუთოს მიზანს შეადგენს საკუთარი წვლილის შეტანა რელიგიურად ტოლერანტული ევროპის შექმნაში, რომელშიც რელიგიური თავისუფლება და შემწყნარებლობა რეალური გახდება ყოველი ადამიანისათვის, რითაც ხელი შეეწყობა ნამდვილად მულტიეთნიკური, მულტიკულტურული და მულტირელიგიური ევროპის ჩამოყალიბებას. ასეთია ჭეშმარიტად ევროპული ხედვა".[1]

ეუთო მიიჩნევს, რომ რელიგია და მრწამსი უდიდეს როლს ასრულებს თანამედროვე მსოფლიოში. სწორედ ამიტომ, ეუთომ (OSCE) და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ODIHR) 2002 წლის ოქტომბერში ქ. ბაქოში ჩაატარა სპეციალური კონფერენცია თემაზე: „რელიგიისა და მრწამსის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში: ტერორიზმსა და ექსტრემისთან დაპირისპირების გზების ძიება".

ეუთოს ეს კონფერენცია მიეძღვნა რელიგიისა და მრწამსის როლს თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში და აგრეთვე, რელიგიური

---

[1] იხ. Seminar on Freedom of Religion or Belief in the OSCE region: Challenges to Law and Practice. The Hague, 26 June, 2001, p. 25.

ნიშნით მოტივირებული კონფლიქტების, ტერორიზმისა და ექსტრემიზმის აღკვეთას. კონფერენციამ უდიდესი როლი დაუთმო რელიგიათაშორის და კულტურათშორის დიალოგს „დიდი აბრეშუმის გზის სივრცეში“.

კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო რელიგიის, რელიგიური ინსტიტუტებისა და მრწამსის ანალიზს თანამედროვე მსოფლიოში, აგრეთვე რელიგიური თემების როლს ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონკრეტულად, კონფერენციაზე განხილულ იქნა შემდეგი თემები:

1) რელიგიური ფაქტორის როლი კონფლიქტების გახშირებაში, მათი იდეოლოგიური საფუძვლები და დასაბუთება;

2) კონფლიქტების რელიგიური ასპექტებისა და მათი ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ შემადგენელთა ურთიერთკავშირი და სხვ.

ბაქოს კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს ტერორიზმთან დაკავშირებული პრობლემები გაეროს უშიშროების საბჭოს 1373-ე რეზოლუციის შუქზე და ცივილიზაციათა შორის დიალოგის ჩარჩოებში მოქმედების პროგრამის შესრულების პერსპექტივები (რეზოლუცია **A/RES/56/6GA** გაერო).

კონფერენციის მონაწილეებმა მიუთითეს კონფესიათა შორის დიალოგზე; მათ აღნიშნეს რელიგიის უდიდესი როლი კონფლიქტების მშვიდობიან გადაწყვეტაში და დეტალურად განიხილეს ის მიზეზები, რომელთაც მივყავართ რელიგიური შეუწყნარებლობისაკენ.

ეუთოს ბაქოს კონფერენცია მეტად საყურადღებო იყო იმითაც, რომ მასზე სპეციალური ადგილი დაეთმო თემას: „განათლების როლი შემწყნარებლობის სტიმულირებასა და რელიგიურ ექსტრემიზთან ბრძოლის გაძლიერებაში.“ კერძოდ, კონფერენციაზე განხილულ იქნა ადამიანური განზომილების დარგში ეუთოს დამატებითი შეხვედრის

(2001 წლის ივნისი) რეკომენდაციების შესრულება, სადაც იმსჯელეს განათლების მნიშვნელობაზე რელიგიური შემწყნარებლობისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილების სფეროში.

ეუთოს ბაქოს კონფერენციამ მიიღო რიგი დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთაგან აქ მოგაწვდით შემდეგს:[1]

> რელიგიამ და მრწამსმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს თანამედროვე და დემოკრატიულ საზოგადოებებში, ცალკეული პიროვნებისათვის და საზოგადოებისათვის მთლიანად.
>
> ყველა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი პირობების შექმნას, რომელშიც მრავალფეროვანი, მულტიეთნიკური და მულტიკულტურული საზოგადოებების ყველა წევრს შეუძლია გამოხატოს თავისი კულტურული თვითმყოფადობა და გამოავლინოს თავისი რელიგიური მრწამსები, რომლებიც ექვემდებარება მხოლოდ ისეთ ზუსტ შეზღუდვებს, რაც საერთაშორისო სამართლით არის გათვალისწინებული. (...)
>
> განათლებამ რელიგიის ან მრწამსის თავისუფლების დარგში წვლილი უნდა შეიტანოს ხალხთა შორის მშვიდობის, სოციალური სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის და მეგობრობის დამყარების მიზნების მიღწევაში, რელიგიასა და მრწამსზე დაფუძნებული შეუწყნარებლობის იდეოლოგიის ან პრაქტიკის აღმოფხვრაში და აზრის, გამოხატვისა და კვლევის თავისუფლებების მხრდაჭერაში, ისევე როგორც პლურალიზმის პატივისცემასა და მრავალსახეობის უფრო დიდად აღიარებაში რელიგიის თავისუფლების დარგში.//

---

[1] იხ. Conclusions and Recommendations of the OSCE/ODIHR Conference on the Role of Religion and Belief in a Democratic Society: Searching for ways to Combat Terrorism and Extremism. Baku, October 10-11, 2002.

თავი III. რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი მოწესრიგების მდგომარეობა თანამედროვე საქართველოში

§1. საქართველოს კონსტიტუცია საქართველოში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებს საქართველოს კონსტიტუცია პირველსავე თავებში ეხება. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის მე-6 და მე-9 მუხლები, II თავის მე-19 და 26-ე მუხლები, III თავის 66-ე, IV თავის 77-ე და V თავის 89-ე მუხლები. როგორც ვხედავთ, საქართველოს კონსტიტუციის 9 თავიდან 5 თავში გათვალისწინებულია საკითხები რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს კანონმდებლობა დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოში რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლების საკითხებს და გარკვეულ ადგილს უთმობს მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის სტატუსს.

2001 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.[1] კონსტიტუციაში შეტანილი ამ ცვლილებების საფუძველზე საქართველოში მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესია განსაკუთრებულ ადგილს იკავებს რელიგიურ გაერთიანებათა შორის, აძლევს რა მას უპირატეს უფლებას დადოს კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ამის შესახებ კონსტიტუციის მე-9 მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნულია, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით,

[1] იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №9, 10 აპრილი, 2001 წ.

რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

ამავე დროს კონსტიტუციაში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას და ამასთან ერთად, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ საქართველოში მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესია უპირატესობას ინარჩუნებს სხვა კონფესიებთან მიმართებაში, ვინაიდან კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა თუნდაც რაიმე შეთანხმების დადება საქართველოს სახელმწიფოსა და სხვა რელიგიურ გაერთიანებას შორის. რასაკვირველია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უფლებას აძლევს საქართველოს სახელმწიფოს როგორც იურიდიულ პირს, დადოს სამოქალაქო ხელშეკრულება სხვა ნებისმიერ პირთან, მათ შორის, ნებისმიერ რელიგიურ გაერთიანებასთან. მაგრამ კონსტიტუციაში ლაპარაკია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის არა სამოქალაქო ხელშეკრულების დადებაზე, არამედ კონსტიტუციური შეთანხმების დადების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთობას საქართველოს სახელმწიფოსა და მართლ-მადიდებელ ეკლესიას შორის.

აღნიშნული კონსტიტუციური შეთანხმება მეტად მაღალ რანგშია აყვანილი თვით კონსტიტუციაში; კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს

კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ მუხლში გათანაბრებულია საქართველოს კონსტიტუცია და კონსტიტუციური შეთანხმება საერთაშორისო აქტების წინაშე და, ამდენად, მათ უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, არამედ საქართველოს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმების მიმართაც.

ასეთი დასკვნა ამ მუხლიდან გამომდინარეობს იმიტომ, რომ კონსტიტუცია მოითხოვს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება არ ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას. მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა მათ უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

სრულიად ნათელი იქნებოდა საკითხი, თუ კონსტიტუციის დასახელებული მე-6 მუხლის პირველ ნაწილში, სადაც ლაპარაკია საქართველოს კონსტიტუციაზე როგორც სახელმწიფო უზენაეს კანონზე, დამატებოდა სიტყვები: „საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც სახელმწიფო უზენაესი კანონი", მაგრამ მიუხედავად ამისა, კონსტიტუციის მე-3 და მე-6 მუხლების დასახელებული II პუნქტიც კი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს კონსტიტუციის ტოლფასოვანია. ეს რომ მართლაც ასეა, მეტყველებს კონსტიტუციის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის დამატება, რომლითაც კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის, სულ ცოტა, სამი მეხუთედი. როგორც ცნობილია, საქართველოში არც ერთი კანონი არ მიიღება ხმების ასეთი დიდი ოდენობით, გარდა კონსტიტუციისა, რომელშიც ცვლილებების შეტანა, ე.ი. კონსტიტუციური კანონის მიღება ხდება პარლამენტის სრული შემადგენლობის, სულ ცოტა, ორი მესამედით.

თვით საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება პარლამენტის მიერ რატიფიცირებული, დენონსირებული ან გაუქმებული იქნება მისი სრული შემადგენლობის მხოლოდ უმრავლესობით. კონსტიტუციური შეთანხმება კი ამ მხრივ ყველაზე მაღლა დგას კონსტიტუციის პარალელურად.

მართალია, კონსტიტუციური კანონი მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, ხოლო კონსტიტუციური შეთანხმებები იმავე შემადგენლობის, სულ ცოტა, სამი მეხუთედით, მაგრამ რამდენადაც არც ერთი კანონი თუ შეთანხმება საქართველოში არ მიიღება პარლამენტში ხმების ასეთი დიდი ოდენობით, კონსტიტუციური შეთანხმება მაინც კონსტიტუციასთან ახლო მდგომი აქტია და მასზე უფრო დიდი იურიდიული ძალა არ გააჩნია (კონსტიტუციურ კანონს ხმების მხოლოდ ერთი მეთხუთმეტედით გააჩნია უპირატესობა კონსტიტუციურ შეთანხმებასთან მიმართებაში, ანუ 15 დეპუტატის ხმების უმეტესობით მიიღება კონსტიტუციური კანონი კონსტიტუციურ შეთანხმებასთან შედარებით).

კონსტიტუციური შეთანხმება რომ კონსტიტუციური კანონის ტოლფასოვანი აქტია, თვით მისი სახელწოდებიდანაც ჩანს, ე.ი. ამ აქტს ეწოდება არა საკონსტიტუციო შეთანხმება, არამედ კონსტიტუციური შეთანხმება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს აქტი კონსტიტუციურია და არა საკონსტიტუციო. აკი საკონსტიტუციო სასამართლოს ჩვენში არ ეწოდება კონსტიტუციური სასამართლო, ე.ი. სასამართლო გადაწყვეტილება კონსტიტუციაზე მაღლა ვერ დგას; მიუხედავად მისი გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათისა, კონსტიტუციის ტოლფასოვანი აქტი მაინც არ არის და ამიტომ იგი გაცილებით უფრო მაღალი იურიდიული ძალის აქტია, ვიდრე თვით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაა. ამიტომ გაოცებას იწვევს კონსტიტუციის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მომხდარი ცვლილება, რომლითაც საკონს-

ტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონებისა და სხვა აქტების შესაბამისობის საკითხებზე. აქ უნდა ყოფილიყო მითითება იმის შესახებ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებებს საქართველოს კონსტიტუციასთან და კონსტიტუციურ შეთანხმებასთან საქართველოს კანონებისა და სხვა აქტების შესაბამის საკითხებზე. მაშინ არ იქნებოდა კოლიზია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილსა და დასახელებული 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტს შორის.

მართალია, კონსტიტუციის მე-9 მუხლის II ნაწილში მითითებულია, რომ კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში, მაგრამ ეს დებულება უპირისპირდება საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლს, რომლის მეორე ნაწილიც კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს კონსტიტუციის თანაბრად წარმოგვიდგენს. გარდა ამისა, თვით მე-9 მუხლის მეორე პუნქტის I ნაწილის დებულება ეწი-ნააღმდეგება ამავე პუნქტის მეორე ნაწილის ზემოთ აღნიშნულ დებულებას, ვინაიდან თუ კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, მაშინ მხოლოდ მართლ-მადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა არ უნდა განისაზღვრებოდეს კონსტიტუციური შეთანხმებით. ასეთი შეთანხმებები უნდა იდებოდეს სხვა რელიგიურ გაერთიანებებს შორისაც, ვინაიდან საერთაშორისო სამართალი აღიარებს ყველა რელიგიური გაერთიანების თანასწორობას კანონისა და კონსტიტუციის წინაშე. კონსტიტუციის მე-9 მუხლის II პუნქტში მოყვანილი ორივე ნაწილის დებულებები ურთიერ-თსაპირისპირო და კოლიზიურია.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უპირატესობა სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან მიმართებაში აშკარად ჩანს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველ ნაწილში, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში. რამდენადაც ეს ისტორია ჯერჯერობით არ დასრულებულა, ამდენად, კონსტიტუცია აღიარებს საქართველოს მართლ-მადიდებელი ეკლესიის როლს დღევანდელ საქართველოშიც. ამ დებულების გასაგრძელებლად საქართველოს კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმ-სარებლობის სრულ თავისუფლებას, რაც გულისხმობს სწორედ მართლმადიდებელი რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას ისევე, როგორც ქართული ეკლესიის დამ-ოუკიდებლობას სახელმწიფოსგან. სხვა რელიგიური რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებაზე აქ არაფერია ნათქვამი და არც სხვა კონფესიის ეკლესიის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებ-ლობაზეა რაიმე თქმული, რამაც შეიძლება დაგვაეჭვოს, რომ ყოველივე ეს მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას შეეხება და საქართველოში არსებული სხვა რელიგიური გაერთიანების, რწმენისა და აღმასრებლობის თავისუფლება გამორიცხულია, ხოლო სახელმწიფოსაგან სხვა კონფესიური ეკლესიების დამოუკი-დებლობაც გამორიცხული უნდა იყოს, რაც სრულ უაზრობას წარმოადგენს, რადგან საქართველოში არათუ სხვა რელიგიური გაერთიანებაა მიჩნეული სახელმწიფო რელიგიად, არამედ თვით მართლმადიდებელ რელიგიასაც კი არ აცხადებს კონსტიტუცია ასეთად.

ასეთი ურთიერთგამომრიცხავი დებულებები რელიგიური მრწამსისა და აღმსარებლობის შესახებ საქართველოს კონსტიტუციაში გამო-წვეულია იმით, რომ საქართველოს ხელისუფლებასაც ზოგიერთი პოლიტიკური ძალების ზეწოლის შედეგად სურს აღიაროს

მართლმადიდებელი ეკლესიის უპირატესობა საქართველოში არსებულ სხვა რელიგიურ გაერთიანებათა მიმართ. ქართველ ხალხში გამჯდარი ქრისტიანული მოძღვრებისადმი უდიდესი ერთგულების გრძნობა თავისთავად გასაგებია, სადაც საქართველო და ქრისტეს რჯული ყოველთვის ერთნაირად მოიაზრებოდა, რაც განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ საქართველოში სწორედ მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგია უნდა იქნას მიჩნეული უპირატეს რელიგიად და ამიტომ სახელმწიფოსაც უნდა ევალებოდეს დაიცვას ქრისტიანული რწმენა და აღმსარებლობა. მაშინ აუცილებელი ხდება, საქართველოს ხელისუფლებამ და მისმა კონსტიტუციამ აშკარად გამოაცხადოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფოს ნაწილად, ხოლო მისი მოძღვრება – სახელმწიფო რელიგიად ისე, როგორც ეს აღიარებულია საბერძნეთის კონსტიტუციის მიერ; მაგრამ საბერძნეთისაგან განსხვავებით, ეს ჩვენში იმიტომ არ მოხდა, რომ საქართველოში მრავალი რელიგიური გაერთიანება არსებობს. ამიტომ, საჭირო ხდება, საქართველოში კონსტიტუციამ აღიაროს რელიგიური ტოლერანტობა – არაქრისტიანულ რელიგიურ გაერთიანებათა შემწყნარებლობა და თანასწორობა კანონის წინაშე, ხოლო თუ სახელმწიფოს სურს, უპირატესობა მიანიჭოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ეს უნდა მოხდეს არა სხვა რელიგიურ გაერთიანებათა კანონის წინაშე უთანასწორობის ხარჯზე, არამედ სახელმწიფოს მიერ არაოფიციალურად უპირატესობის მინიჭებით მართლმადიდებელი ეკლესიისადმი მასთან სხვადასხვა ხასიათის სამოქალაქო ხელშეკრულების დადების გზით, რაც მისი უფლება იქნება და არა მოვალეობა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი აღიარებს ყოველი ადამიანის სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას, რაც, თავისთავად, გულისხმობს რელიგიური გაერთიანებების შექმნის თავისუფლებასაც, რაზედაც მიუთითებს კონსტიტუციის 26-ე მუხლი, რომელიც აღაირებს, რომ ყველას აქვს

საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათში მონაწილეობის უფლება, ხოლო რელიგიური გაერთიანება ერთ-ერთი საზოგადოებრივი გაერთიანებაა. სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება დიადი უფლებაა და მათ გამო ადამიანის დევნა, აგრეთვე ადამიანის იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულებები მათ შესახებ, დაუშვებელია, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის თანახმად, ადამიანის დევნა სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე. მაგრამ თუ ეს ქმედება ჩადენილია ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ან თუ ასეთმა დევნამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, მაშინ პირი შეიძლება დაჯარიმდეს უფრო დიდ ოდენობის თანხით ან შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე, ან ტუსაღობა 4 თვემდე, ან კიდევ, თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

როგორც ვხედავთ, საქართველოს კონსტიტუცია მტკიცედ იცავს ადამიანის სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას, იგი აკისრებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ამ თავისუფლებისათვის დევნის გამო.

კონსტიტუცია მოითხოვს, არ მოხდეს აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვა, რომ სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიზღუდოს (აიკრძალოს), თუ მათი გამოვლენა ლახავს სხვათა უფლებებს. ეს ნიშნავს, რომ თუ ზოგიერთი რელიგიური გაერთიანება მიმართავს ისეთ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებიც სხვა რელიგიური გაერთიანების უფლებების შემლახველი აღმოჩნდება, მაშინ ასეთი რელიგიური გაერთიანების მოქმედება უნდა აიკრძალოს. კონსტიტუცია აქ ხმარობს სიტყვას — შეზღუდვას, მაგრამ იგი

ნიშნავს არა მხოლოდ ზოგიერთი უფლების ჩამორთმევას, არამედ აკრძალვებსაც. ასეთივე აზრია გატარებული კონსტიტუციის სხვა მუხლებშიც, როდესაც უფლების შეზღუდვა უფლების ჩამორთმევას ნიშნავს. მაგალითად, კონსტიტუციის 21-ე მუხლში ნათქვამია საკუთრების უფლების შეზღუდვის შესახებ, რომელშიც იგულისხმება საკუთრების ჩამორთმევა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებით და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებებით. ამიტომ, ჩვენი აზრით, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვა სხვასთან ერთად გულისხმობს კონკრეტული რწმენის, აღმსარებლობის, თავისუფლების აკრძალვას.

საერთოდ, ჩვენი კონსტიტუცია აღიარებს ადამიანთა თანასწორობას განურჩევლად მისი რელიგიისა (მუხლი 14), რაც უნდა გულისხმობდეს რელიგიურ გაერთიანებათა თანასწორობასაც კანონის წინაშე.

საქართველოში რელიგიური გაერთიანებების შექმნა და მათში გაერთიანება, როგორც აღვნიშნეთ, აღიარებულია კონსტიტუციის 26-ე მუხლით, მაგრამ ამავე მუხლში მითითებულია, რომ დაუშვებელია ასეთი გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობის დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან ისეთი გაერთიანების შექმნა, რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ. რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

ბუნებრივია, თუ რელიგიური გაერთიანება პოლიტიკური მიზნითაა ჩამოყალიბებული, მას უარი უნდა ეთქვას რეგისტრაციაში გატარებაზე, და იგი უნდა აიკრძალოს.

რელიგიური გაერთიანება ადამიანის შინაგანი სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იქმნება, ხოლო თუკი ადამიანებს ზემოთ დასახელებული შუღლის მოთხოვნილება აქვთ,

ისინი უნდა დაისაჯონ მანამ, სანამ რელიგიურ გაერთიანებებს შექმნიან. კონსტიტუციის იმავე 26-ე მუხლში (პუნქტი 6) აღნიშნულია, რომ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

რელიგიური თავისუფლების შესახებ ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხი კანონმდებლობით უნდა იყოს მოწესრიგებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი სპეციალური კანონმდებლობა არ გაგვაჩნია, რაც საქართველოს საკანონმდებლო სისტემის ხარვეზს წარმოადგენს. მის შესავსებად კი შექმნილია არა ერთი და ორი კანონპროექტი, რომელთა მიღება ხელს შეუწყობს რელიგიური თავისუფლების დაცვას საქართველოში.

ბოლოთქმა

რელიგიის თავისუფლების დაცვა უდიდეს ყურადღებას მოითხოვს, რომელიც სათანადო საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ბაზით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ხშირად აღინიშნება ადამიანთა რელიგიური თავისუფლების უხეშად დარღვევის ფაქტები. ამ მხრივ, როგორც ცნობილია, არც საქართველო შეადგენს გამონაკლისს.

თანამედროვე საქართველოს სამართლებრივი ბაზა რელიგიის თავისუფლების სფეროში ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული. ამდენად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი მოქალაქეების, მათ შორის მრავალრიცხოვანი რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა განათლებას რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტების სფეროში.

მოცემულ წიგნში განხილულ იქნა რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას იძლევა რელიგიის თავისუფლების სხვადასხვა ასპექტების თვალსაზრისით, რაც ესოდენ აქტუალური და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა დღევანდელი საქართველოს სინამდვილისათვის. მოცემულ წიგნში რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები სხვადასხვა კუთხით იქნა განხილული. ნაშრომს საფუძვლად უდევს აზრი, რომ რელიგიის თავისუფლებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის თავისუფლებათა შორის, რადგან რელიგიური უფლებების გარეშე ადამიანის ყველა სხვა უფლებების არსებობა საფრთხის წინაშე დგება.

სწორედ ამიტომ, თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო

მეტი ყურადღება ეთმობა ადამიანის რელიგიური თავისუფლებისა და რელიგიური პლურალიზმის გავრცელებას, რომელიც რელიგიათა წინაშე მდგომ კიდევ ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს და საერთაშორისო კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში აღიარებასა და დადასტურებას მოითხოვს. დღევანდელ მსოფლიოში არსებულ მრავალრიცხოვან სეკულარიზებულ საზოგადოებებში წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი რელიგიები შეუძლებელს ხდიან რელიგიურ იზოლაციას, ხოლო კონფესიათაშორის კონტაქტებს კი აუცილებლობად აქცევენ. ასეთ პირობებში განსაკუთრებით მწვავედ ისმება რელიგიურ უმცირესობათა უფლებების სამართლებრივი დაცვის საკითხი.

როგორც ცნობილია, საქართველოში არსებულ მრავალრიცხოვან რელიგიურ უმცირესობათა უფლებების სამართლებრივი დაცვა ხშირად პრაქტიკულად ვერ ხერხდება.

ავტორებს იმედი აქვთ, რომ მოცემული წიგნი შეახსენებს საქართველოს ხელისუფლებას, ჩვენს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს საქართველოს ვალდებულებებს, რომლებიც მას ნაკისრი აქვს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე და აგრეთვე ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებასა და განვითარებას რელიგიის თავისუფლების სფეროში. ამით უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს ყველა მოქალაქის, როგორც რელიგიური უმრავლესობის, ისე რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების სრულად დაცვა, რაც ჩვენს ქვეყანაში პლურალისტური დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კარგი საფუძველი გახდება.

საქართველოს სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა უფლებების სამართლებრივი ცნობიერების

განვითარება ხელს შეუწყობს მათ შორის ნამდვილი დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარებას, რაც ჩვენს ქვეყანაში კონფლიქტების, მათ შორის არა მარტო რელიგიურის, არამედ ეთნოკონფლიქტების აცილების წყაროც გახდება (რამეთუ რელიგიური კონფლიქტები ხშირად ეთნოკონფლიქტებისა და ქვეყანაში დესტაბილიზაციის წყარო ხდება).

დაკვირვება აშკარად გვიჩვენებს, რომ ბოლო პერიოდში ჩვენში რელიგიური ძალადობის და შეიძლება ითქვას, ფაქტიურად რელიგიური ტერორიზმის აქტებში, ფართოდ ჩაება ჩვენი ახალგაზრდობა. ეს ფაქტი უაღრესად დამაფიქრებელია, რომელიც სასწრაფო შველას ითხოვს. ავტორებს მიაჩნიათ, რომ მოცემული წიგნი ხელს შეუწყობს ჩვენი ახალგაზრდობის, მათ რიცხვში სტუდენტი ახალგაზრდობის განათლებას რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი ბაზის სფეროში.

ავტორები იმედოვნებენ, რომ, მოცემული წიგნი დაედება საფუძვლად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სპეციალური კურსის – „ადამიანის უფლებები და რელიგია“ – შემდგომ სრულყოფას, რითაც ხელი შეეწყობა ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის, მომავალი სამართალმცოდნეების, სწორ იურიდიულ განათლებას რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტების სფეროში და მათ აღზრდას რელიგიური ტოლერანტიზმის სულისკვეთებით.

მოცემული წიგნი მიზნად ისახავს, რომ რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის გაცნობის საფუძველზე ჩვენში ხელი შეეწყოს ქვეყნის მოქალაქეთა შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის დამკვიდრებას და ამ გზით რელიგია ან

მრწამსი იქცეს საქართველოს მოქალაქეთა გამაერთიანებელ და არა მათ გამთიშველ ფაქტორად, რითაც საქართველოს საშუალება მიეცემა ჩადგეს მსოფლიოს მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების რიგში.

შინაარსი

შესავალი 5

თავი I. რელიგიის თავისუფლება, როგორც ადამიანის უფლება 11

თავი II. რელიგიის თავისუფლების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები 33

§1. **გაეროს სტანდარტები** 35

§2. **რელიგიის თავისუფლების დაცვის ევროსაბჭოს სტანდარტები** 91

§3. **რელიგიის თავისუფლების დაცვის ევროკავშირის სტანდარტები** 119

თავი III. რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი მოწესრიგების მდგომარეობა თანამედროვე საქართველოში 153

ბოლოთქმა 165

ვალერი ლორია
ბაადურ გელაშვილი
მანანა ბენდელიანი

ადამიანის უფლებები
და
რელიგია

გამოცემის ტექნიკური რედაქტორი
ნინო ჭუმბურიძე

ტირაჟი 1300 ეგზ.

გამომცემლობა „თობალისი“

დიღომი, ჭანტურიას 1
E-mail: tobalisi@posta.ge